საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№28 (452)
1 – 7 აგვისტო, 2018
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

9

## «რასაც გარე ძალები გავალებენ, შენ კი მთავრობას აკეთებინებ, ხალხის ნებას არ უნდა მიაწერო»

4

## მეორე თვეა, სვანეთსა და რაჭაში საქონელი იხოცება



### «გავუშვებმა თქვენ: ტურისტები ყრიდნენ მინდორში ფხვნილსო. შეისწავლეს ის ადგილიც, მაგრამ ჯერ შედეგები არ ვიცით»



დავით ჭიჭინაძე:

7

## როგორც დღეს ნიხლავენ თანამდებობიდან ნასულ კვირიკაშვილს, ეს ხალხი ოდესმე ასევე ჩანიხლავს ივანიშვილსაც



მამა გიორგი (რაზმაძე):

6

## ეს არის ანტიქართული გეგმა, რომლის საბოლოო მიზანი თურქეთის მიერ საქართველოს სრული ასიმილაციაა

„საკმარისია, სადმე ვინმემ გაბედოს თურქეთის მოხსენიება დამპყრობლად, თურქოფობის იარლიყი გარანტირებული აქვს. არადა, საინტერესოა, რას ნიშნავს თურქოფობი — იმას, რომ ჩემი ისტორია ვიცი?.. ეს არის სიძულვილი და, ბათუმში აზიზიეს მეჩეთი რომ უნდა წამოჭიმონ, დემოკრატია?!“

## განტევების ვაცებს შემოდგომაზე ითვლიან

2

„ინტერვიუმ აჩვენა, რომ ივანიშვილისთვის მნიშვნელოვანია, ჭარბვალიანობის პრობლემა მას კი არა, კვირიკაშვილსა და ბანკირებს დაბრალდეს“



## საით, ბატონო ბიძინა, საით მიგყავთ საქართველო?!

3



## ზაე@ბალი პროსტო!

### ნაცების საარჩევნო სლოგანი

5



## დასრულდა «გლობალიზაცია სოროსის სახელმძღვანელოების მიხედვით»

15





## ნიკო ნიკოლაძე

18

„როგორი ადამიანი სჭირდება ახალ დროს? ვინ უნდა აღზარდოს საზოგადოებამ? დროა, შეიგნონ, რომ პატიოსნება, გულწრფელობა, გატაცება, ერთგულება, მაგრამ არა ოქროსადმი, არამედ კაცობრიობის მაღალი იდეალებისადმი, დანაშაული კი არა, არამედ ძალაა აუცილებელი სახელმწიფოსათვის, სასარგებლო საქმეა ხალხის განვითარებისათვის“.

## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მოსახლეობას ყველაზე მეტად სიღარიბე და ვალები აწუხებს და ეს ივანიშვილის წინააღმდეგ შეიძლება სხვა, უფრო ძლიერმა და ჭკვიანმა მოწინააღმდეგეებმაც გამოიყენონ. სავარაუდოდ, სწორედ აქედან მოდის ყველაფრის კვირიკაშვილისთვის გადაბრალება და ბახტაძის მიერ მიღებული საგანგებო ზომებიც, თუმცა ამ პრობლემის მყისიერი მოგვარება გამორიცხულია. შესაბამისად, ის წლების განმავლობაში ივანიშვილის ხელისუფლების თავზე ჩამოკიდებულ დამოკლეს მახვილად დარჩება.**

# განტევების ვაცებს შემოდგომაზე ითვლიან

**ქართული პოლიტოლოგიის ყველაზე პოპულარული მიმართულება ისევ „ბიძინოლოგიაა“. ივანიშვილის ვრცელი ინტერვიუ ეთერში ახლახან გავიდა, მაგრამ საექსპერტო საზოგადოება არ ცხრება და ყოველდღე ახალ ინტერპრეტაციას გვთავაზობს — რა თქვა მმართველი პარტიის ლიდერმა და რა იგულისხმა სინამდვილეში. ეს მსჯელობა დროდადრო აღვირახსნილ კონსპიროლოგიაში გადადის, თუმცა მის გარეშე ქართული პოლიტიკა ფრიად მოსაწყენი იქნებოდა. ინტერვიუს განხილვის პროცესში გამოჩნდა, რომ პოლიტიკოსებსა და მოსახლეობას ყველაზე მეტად აინტერესებთ, ვინ იქნება საქართველოს მომავალი პრეზიდენტი. სხვა მნიშვნელოვან თემებს, რომლებზეც ივანიშვილმა ისაუბრა, ნაკლები ყურადღება დაეთმო და, ალბათ, მიზანშეწონილია, ამჯერად მათზე ვისაუბროთ.**

„სახელმწიფო ეს მე ვარ“, — იტყოდა საფრანგეთის მეთე ლუი XIV. ივანიშვილმა კი, ფაქტობრივად, თქვა, რომ ის საზოგადოებაა: **„იმას, რასაც მაბრალებენ და არაფორმალურ მმართველობას ეძახიან, მათ საზოგადოებრივ კონტროლში ერევათ. ერევათ იმაში, რაც მე ტელევიზიით ძალიან ხშირად მითქვამს, რომ მაქვს საზოგადოების გარკვეული ნდობა და ამ ნდობით შემიძლია ვისარგებლო ნებისმიერ მომენტში და გავაკრიტიკო ნებისმიერი ხელისუფალი“.** გამოდის, იმ პერიოდში, როდესაც ჩვენ გვეგონა, რომ ივანიშვილი ქვეყანას მართავდა, ის (მისი აზრით) საზოგადოების თვითგამოცხადებული რუპორის როლს ასრულებდა. ისევე, როგორც თავის დროზე **სააკაშვილი,** ივანიშვილიც თავის განსაკუთრებულ როლს საზოგადოების უმწიფრობით ამართლებს: „კონტროლი რასაც ჰქვია საზოგადოების და რაშიც ჩვენ, სამწუხაროდ, გამოცდილება ცოტა გვაქვს და საზოგადოება შეიძლება ამას ეფექტურად ვერ ახერხებს, მე გარკვეულწილად ვავსებ. ის, რაც მაქვს საზოგადოებიდან — ნდობა, საზოგადოებასვე ვუბრუნებ და მის ფუნქციას ვასრულებ და ვაძლიერებ, ასე შეიძლება ვთქვათ“.

საზოგადოების სახელით ლაპარაკს თანამედროვე საქართველოში მდიდარი ისტორია აქვს. წლების განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი ცდილობდა, თავისი პოზიცია ჯერ „სამოქალაქო საზოგადოების პოზიციად“, შემდეგ კი, უბრალოდ, „საზოგადოების პოზიციად“ წარმოეჩინა. ეს შტამპი მედიასა და სოციალურ ქსელებში ხშირად გვხვდება. ივნისის დასაწყისში, როდესაც ნაციონალები აპირებდნენ, სათავისოდ გამოეყენებინათ პროტესტი მოზარდების მკვლელობის არასათანადო გამოძიების გამო, ისინი აქციების ორგანიზებაში ღიად ჩაერთნენ, მაგრამ გამუდმებით იმეორებდნენ, რომ ეს „საზოგადოების პროტესტია“, მაშინაც კი, როდესაც რუსთაველზე მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ აქტივი დარჩა. ასე იქცევა ყველა პარტია და, პრინციპში, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ **ივანიშვილი ცდილობს, თავი საზოგადოების ნების გამხმოვანებლად წარმოაჩინოს. ის გვარწმუნებს, რომ თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ სინამდვილეში ხალხის მხარეს იყო და არა ხელისუფლების.**

„კვირიკაშვილი ვერ ახერხებდა გუნდურ მმართველობას, რაც აუცილებელია ზოგადად მართვაში, მით უმეტეს პატარა ქვეყნისა და ჩვენი გუნდის შემთხვევაში. პარლამენტი პრაქტიკულად ჩახსნილი იყო — გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არ მონაწილეობდა“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა (რატომ იყო პარლამენტი ჩახსნილი? მას ხომ აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის კონსტიტუციური ფუნქცია? ეს, ალბათ, უნებლიე აღიარებაა იმისა, რომ პარლამენტი უსაქმურთა ბრბოა, ან კიდევ ფარულ გარიგებაში იყვნენ აწ შერისხულებთან — რედ.) სამწუხაროდ, იქვე ვერ მოხერხდა იმის დაზუსტება, ვინ დანიშნა კვირიკაშვილი თანამდებობაზე: თემურლენგმა თუ შაჰ-აბასმა?! და **რა როლი შეასრულა ბიძინა ივანიშვილმა იმ პერსონის, რომელსაც შესაბამისი უნარ-ჩვევების დეფიციტი შუბლზე აწერია, აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში დასმაში? დღეს კვირიკაშვილი „განტევების ვაცია“ და, როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ ლიდერებს ჰგონიათ, რომ, ძველისძველი ინსტრუქციის შესაბამისად, „წაიღებს ვაცი თავისი თავით უდაბურ ქვეყანაში ყველა მათ ცოდვას“. ყოველი შემთხვევისთვის, ყოფილი მინისტრების სახით ორი სათადარიგო ვაციც ჰყავთ — დიმიტრი ქუმსიშვილი და ზურაბ ალავიძე, რომლებიც ამ ეტაპზე პროკურატურის კითხვებს სცემენ პასუხს.**

ეს ტრიუმვირატი, ინტერვიუს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოებას და თვით ივანიშვილს იუნისეფისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევების შედეგებს უმალავდა, რომელიც საქართველოში ჭარბვალოანობასთან და სიღარიბესთან დაკავშირებით შექმნილ კატასტროფულ სიტუაციას ასახავდა. ალბათ, სეიფში მალავდნენ, ქუმსიშვილის კაბინეტში, სამთაგან ყველაზე დიდი სეიფი მაგას ჰქონდა. **ივანიშვილს სურდა, სიტუაცია ისე წარმოეჩინა, თითქოს იმაში, რომ „საქართველოს მოსახლეობა თავისი შემოსავლის მესამედზე მეტს ბანკის პროცენტის მომსახურებაში იხდის“, მას წვლილი საერთოდ არ მიუძღვის, ხოლო დამნაშავე, უპირველესად, კვირიკაშვილია, როგორც მსხვილი ბანკირების ლობისტი.**



ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთი ინტერვიუში: „გასული წლის ოქტომბრიდან, როდესაც ვნახე, რომ სიტუაცია მძიმე იყო, ვუთხარი: საზოგადოებაში გამოვდივარ და ვამბობ, რომ საერთოდ არ ვერევი თქვენს მთავრობაში, საერთოდ აღარც შეკითხვებზე და არაფერზე აღარ დარეკო-მეთქი. ამან შეაშფოთა სწორედ, გუნდი დამეშლება მთლიანადო. გუნდის დაშლაზე მეტად იმას განიცდიდა, რომ საზოგადოებაში შეიძლებოდა მას გარკვეული რესურსი დაეკარგა. ეს არის ის, რასაც არაფორმალურ მმართველობას ეძახიან“. ანუ, ჯერ კიდევ ნოემბრის სამთავრობო როტაციამდე ივანიშვილმა (მისი ვერსიით) პრემიერის შემდგომ ნაბიჯებზე პასუხისმგებლობა მოიხსნა. შესაბამისად, კვირიკაშვილი გადადგომაზე უნდა დაფიქრებულიყო, მაგრამ ის დარჩა, შემდეგ კი შეიქმნა სიტუაცია, რომელიც ივანიშვილმა ასე აღწერა: „არსებობდა გუნდის დაშლის ძალიან დიდი ხიფათი და პროცესი დაწყებული იყო. ამას ყურადღებით ვაკვირდებოდი. დავინახე, რომ გარედან ჩემი კონტროლი საკმარისი არ იყო“.

დაშლას, ნებისმიერ შემთხვევაში, რაღაც ობიექტური მიზეზი უნდა ჰქონდეს. იდეოლოგიური უთანხმოება „ქართული ოცნების“ შემთხვევაში გამორიცხულია — მას ამ პოლიტიკურ გაერთიანებაში ყოველთვის „მეათეხარისხოვანი“ მნიშვნელობა ჰქონდა (ნაკლები, ვიდრე „მოქკავშირში“ და „ნაცმოძრაობაში“, რომელთაც ასევე არ ახასიათებდათ მწვავე იდეოლოგიური დისკუსია). ამავე დროს, არ არსებობდა გარე ფაქტორი, რომელიც პარტიის ერთიანობას დაემუქრებოდა — ოპოზიცია ძალზე დასუსტებული იყო; რეგიონულ მოთამაშეებს კი, მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენთვის არ ეცალათ. რეალურად, **ერთადერთი რამ, რაც 2012-18 წლებში „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირებას იწვევდა, იყო ბრძოლა გავლენის სფეროს გაფართოებისთვის პოლიტიკასა და ბიზნესში.** ადრე ის გარკვეულ წესებს ექვემდებარებოდა, დაპირისპირებული მხარეები ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ ივანიშვილისთვის, რომელიც „მთავარი არბიტრის“ როლს ასრულებდა, რომ მოწინააღმდეგის მოქმედება პარტიას ზიანს აყენებს. ივანიშვილი ამბობს, რომ 2017 წლის შემოდგომაზე კვირიკაშვილთან კომუნიკაცია გაწყვიტა თუ შეზღუდა. გამორიცხულია, რომ პარტიის სხვა ლიდერებს ეს ვერ შეემჩნიათ. შესაბამისად, ივანიშვილის დისტანცირების შემდეგ, „კონვენციური ბრძოლის პერიოდი“ დასრულდა, შეზღუდვები მოიხსნა, დაპირისპირება გამწვავდა და, საბოლოოდ, ჩვენ ვიხილეთ კრიზისების სერია: უმრავლესობის დეპუტატების დაპირისპირებით დაწყებული, ივნისის საპროტესტო აქციებით დასრულებული.

**თუ ივანიშვილის ლოგიკას მივყვებით, შემდეგ სურათს მივიღებთ: მან ჯერ დააწინაურა კვირიკაშვილი (ქუმსიშვილი და ზოგიერთი სხვაც), შემდეგ დაინახა, რომ ის ცუდად იქცევა, მაგრამ თანამდებობიდან მისი გადაყენების იმდენად უცნაური ტაქტიკა აირჩია, რომ გუნდში დამანგრეველი იმპულსების სერია გამოიწვია და მის გადასარჩენად პოლიტიკაში დაბრუნება დასჭირდა. მართვის თეორიისა და პრაქტიკის გადასახედიდან, ეს ეპიკური მარცხია.** კიდევ ერთხელ — ეს მოხდა სიტუაციაში, როდესაც ივანიშვილს არც ერთი სერიოზული მოწინააღმდეგე არ ემუქრებოდა, მან ყოველივე ეს საკუთარ თავსა და ქვეყანას თვითონ დამართა. ახლა კი, ფაქტობრივად, აღაირებს, რომ სისტემა, რომელიც მან პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ შექმნა, უეფექტო გამოდგა.

უკანასკნელი შტრიხი: ივანიშვილმა განაცხადა, რომ 7,5-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდაში წვლილი არა იმდენად კვირიკაშვილს, რამდენადაც ახალ პრემიერს, მამუკა ბახტაძეს, მიუძღვის. სხვათა შორის, მასზე საუბრისას, ივანიშვილმა აღნიშნა (მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ იყო), რომ ბახტაძე ნაყოფიერად თანამშრომლობდა ჩინელებთან. ეს, ალბათ, იყო ერთგვარი რევერანსი პეკინის მიმართ — ჩინეთის გავლენა საქართველოში სწრაფად და განუხრელად იზრდება, თუმცა აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ: ის, რომ ივანიშვილი უარს ამბობს, კვირიკაშვილს თუნდაც ერთი პოზიტიური თემა (თუნდაც 7,5%-იანი ზრდა) დაუკავშიროს, შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ ის ყოფილი პრემიერისა და მასთან დაახლოებული პირების ეტაპობრივი დემონიზაციის გზას დაადგა. და ეს, სავარაუდოდ, მხოლოდ იმიტომ როდი ხდება, რომ კვირიკაშვილისგან „განტევების ვაცს“ ქმნიან. შესაძლოა, ივანიშვილს სურს, დაანახვოს პოლიტიკურ ელიტას, როგორ ეპყრობა ურჩ თანაგუნდელებს. კვირიკაშვილი ნამდვილად არ იყო მეამბოხე, მაგრამ ივანიშვილის მიერ შექმნილი სისტემის შიგნით თუნდაც მცირე მინიშნების გაუთვალისწინებლობაც კი გათანაბრებულია ღალატთან.

**ინტერვიუმ აჩვენა, რომ ივანიშვილისთვის მნიშვნელოვანია, ჭარბვალიანობის პრობლემა მას კი არა, კვირიკაშვილსა და ბანკირებს (მოკლედ – სხვებს) დაბრალდეს. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის ნაწილმა უკვე ამოწურა ყოველგვარი რესურსი — პროცენტს ვეღარ იხდის და შეიძლება გადაიქცეს ფეთქებადსაშიშ მასალად პოლიტიკური ავანტიურისტების ხელში.** შემთხვევითი არაა, რომ ამ თემას მიხეილ სააკაშვილი „ეთამაშება“ — ამბობს, რომ „უსამართლო ვალების“ პრობლემას შეებრძოლება: ივანიშვილს „ქართუ“ ბანკს ჩამოართმევს, ქონებას დაუყადაღებს, მის ფულს ხალხს დაურიგებს და ა.შ. სააკაშვილს, მისი მიმდევრების გარდა, საქართველოში სერიოზულად არავინ აღიქვამს, მაგრამ თემა მან სწორად შეარჩია — მოსახლეობას ყველაზე მეტად სიღარიბე და ვალები აწუხებს და ეს ივანიშვილის წინააღმდეგ შეიძლება სხვა, უფრო ძლიერმა და ჭკვიანმა მოწინააღმდეგეებმაც გამოიყენონ. სავარაუდოდ, სწორედ აქედან მოდის ყველაფრის კვირიკაშვილისთვის გადაბრალება და ბახტაძის მიერ მიღებული საგანგებო ზომებიც, თუმცა ამ პრობლემის მყისიერი მოგვარება გამორიცხულია. შესაბამისად, ის წლების განმავლობაში ივანიშვილის ხელისუფლების თავზე ჩამოკიდებულ დამოკლეს მახვილად დარჩება.

**თუ ივანიშვილის ლოგიკას მივყვებით, შემდეგ სურათს მივიღებთ: მან ჯერ დააწინაურა კვირიკაშვილი (ქუმსიშვილი და ზოგიერთი სხვაც), შემდეგ დაინახა, რომ ის ცუდად იქცევა, მაგრამ თანამდებობიდან მისი გადაყენების იმდენად უცნაური ტაქტიკა აირჩია, რომ გუნდში დამანგრეველი იმპულსების სერია გამოიწვია და მის გადასარჩენად პოლიტიკაში დაბრუნება დასჭირდა. მართვის თეორიისა და პრაქტიკის გადასახედიდან, ეს ეპიკური მარცხია. კიდევ ერთხელ — ეს მოხდა სიტუაციაში, როდესაც ივანიშვილს არც ერთი სერიოზული მოწინააღმდეგე არ ემუქრებოდა, მან ყოველივე ეს საკუთარ თავსა და ქვეყანას თვითონ დამართა. ახლა კი, ფაქტობრივად, აღაირებს, რომ სისტემა, რომელიც მან პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ შექმნა, უეფექტო გამოდგა**

**მართალია, დღეს, ისევე როგორც სადისტი მიშარასტების დროს, ქუჩებში აღარ გვხვრეტენ და ციხეებში აღარ გვაუპატიურებენ, რაც სულაც არ არის ცოტა, მაგრამ, თუ მუდამ მხოლოდ ქოც-ნაცებს შორის გვექნება არჩევანი გასაკეთებელი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველები ამ „მუდმივობას“ შევეგუებით და აპრიორი გარანტირებულად მივცემთ ხმას ქოცებს.**



ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რაც არის — ის იყო, რაც იყო — ის იქნება და არაფერია მზის ქვეშ ახალი“ — ლათინთა ეს სენტენცია, რომ რაღაც მარადიულზე, ამაღლებულსა და ა.შ. სხვა მაღალ მატერიებზე ფიქრის შედეგია, ვგონებ, არ უნდა იყოს სადავო, ისევე, როგორც ის, რომ ქართველებს, ბოლო 25-30 წელიწადია, შინაურმა თუ გარეულმა ლიბერასტმა პოლიტიკანებმა ისე გაგვიხადეს საქმე, რომ „მაღალი მატერია“ ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ მიერ ნახმარი და შემდეგ „მათხოვარი“ ქართველებისთვის სამადლოდ გამოგზავნილი ე.წ. ძონძებით (იგივე მატერია, რა...) სავსე თოფრები გვგონია და, აქედან გამომდინარე, ევროპელ-ამერიკელთა აქოთებულ მეორად „შმოტკებში გაზმანული“ უთავმოყვარეო ქართველის პირველადი საზრუნავი, რომ მშიერი კუჭის, უკაცრავდ პასუხია, ამოყორვა იქნებოდა და არა ამაღლებულ მარადიულზე ფიქრი, გასაკვირია?**

# საით, ბატონო ბიძინა, საით მიგყავთ საქართველო?!



ეს, რა თქმა უნდა, ნახევრადხუმრობით და მით უმეტეს, არა ვინმეს შეურაცხყოფის მიზნით...სერიოზულად კი, ლათინთა ზემოთ ხსენებულ სენტენციას ასე დავაბოლოებდი: და არც ქართულ პოლიტიკაშია არაფერი ახალი!

**იქნებ პარადოქსია, მაგრამ უდავო ფაქტი — საქართველოს უახლეს ისტორიაში ე.წ. პოლიტიკურ პროცესს „საზიზღარმა კომუნისტებმა“ მისცეს დასაბამი, როდესაც ჯერ კიდევ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გამოაცხადეს პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელიც 1990 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა და რომლის შედეგად „დიქტატორმა კომუნისტებმა“ ე.წ. ეროვნული მოძრაობის სასარგებლოდ ნებაყოფლობით დათმეს ხელისუფლება.**

პირველი და, როგორც აღმოჩნდა, ჯერჯერობით უკანასკნელი არჩევნები, რომელიც მართლაც დემოკრატიულად, ყოველგვარი გაყალბების გარეშე ჩატარდა და იცით, რატომ? ათას „ზაბორზე“ გადამხტარმა კომუნისტებმა გაყალბების ტექნოლოგიები არ იცოდნენ.

მას შემდეგ კომუნისტების მიერ წამოწყებული პოლიტიკური პროცესი, როგორც ასეთი, საქართველოში აღარ განვითარებულა, მოკვდა და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ — მიზეზთა გამო (აფხაზეთი, ცხინვალი, სამოქალაქო ომი და ა.შ.) 28 ოქტომბრის შემდგომი უკლებლივ ყველა არჩევნები ტოტალურად გაყალბდა და იცით, რატომ? — იმიტომ, რომ **შევარდნაძემ** ხელისუფლებაში მოიყვანა **ზურაბ ჟვანიას** ლიბერალთა გუნდი, რომლის არჩევნების შედეგებზე პასუხისმგებელი წევრები (**მიშა მაჭავარიანი, გია ბარამიძე** და სხვები) გაყალბებების ტექნოლოგიების ასათვისებელ ტრენინგებს გადიოდნენ ევროპა-აშშ-სა თუ აქვე, გუდაურის „სემინარებზე“ და ისე ვირტუოზულად დაეუფლნენ ზემოთ ხსენებული „ამხანაგები“ გაყალბებათა ტექნოლოგიებს, რომ 1995 წლიდან დღემდე ხელისუფლებაში არიან.

**ჯერ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“, შემდეგ სააკაშვილის „ნაცმოძრაობა“ და ბოლოს, სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდა, ივანიშვილის „ქართული ოცნებაც“, ხატონიან თუ ვიტყვით, ერთი ლიბერალური იდეოლოგიური ხის სხვადასხვა ზომა-წონის განშტოებები არიან, თუმცა ყველაფერი შედარებითია და, თუ შევარდნაძის ხელისუფლებაში პრაქტიკულად ვერ იპოვიდით ლიბერასტებს და მათი ერთადერთი დანაშაული ტოტალური კორუფცია იყო, მომდევნო ხელისუფლებებში ყველა დონეზე კორუფცია ე.წ. ელიტულმა კორუფციამ ჩაანაცვლა, ხოლო კაცების (წაიკითხე: ეროვნულ-ტრადიციული ღირებულებების მიმდევართა) სიმცირემ ჯერ მიშნაცების ხელისუფლებაში მიაღწია კრიტიკულ ზღვარს. 2016 წლის საპარლამენტო და 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ კი „ქართულ ოცნებაში“ კაცები, რომ იტყვიან, დღისით სანთლით საძებნი გახდნენ, რის გამოც ბურთი და მოედანი კობახიძეების, თალაკვაძეების, მდინარაძეების, ჩუგოშვილების მსგავს „ქართული ოცნების“ უსახო სახეებს დარჩათ.**

დარჩათ თუ, ბიძინა ივანიშვილის უკანასკნელი ინტერვიუდან გამომდინარე, სოლოლაკის ჭორვილელმა ბინადარმა შეგნებულად გადასცა ეს ქვეყანა სამართავად (დასანგრევად) ყოველგვარი ეროვნული განცდისგან დაცლილ ნეოლიბერალ ახალგაზრდა ხლისტებს?

ქვემოთ ამ თემაზე და არა მხოლოდ ამაზე სწორედ ბიძოს ინტერვიუდან გამომდინარე ვისაუბრებთ, მაგრამ მავანთ ამთავითვე მინდა გავუცრუო იმედი და ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ გავიმეორებ: **თავქვე რომ დამკიდონ და ცეცხლი შემინთონ, ვერავინ და ვერაფერი მაიძულებს იმის თქმას, რომ მიშას სადისტურ-ფაშისტური რეჟიმი სჯობდა თუნდაც უუნარო „ქართულ ოცნებას“. და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ სწორედ ამ „ათასმეერთეს“ იყენებს ბოროტად, ანუ ქოცები 2012 წლის არჩევნების ტრიუმფით მოგების შემდეგ ხელისუფლების შენარჩუნებას შეფარული, მაგრამ მაინც კარგად ნაცნობი, გაცვეთილი ლოზუნგით ახერხებენ: მე თუ არა, აგერ ისევ პირსისხლიანი მიშარასტები მოდიან?!**

რაც ჯერჯერობით კარგად მუშაობს, რადგან საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, ანუ გონიერი ნაწილი ჩემს მიერ „ათასმეერთედ ნათქვამის“ შესაბამისად ფიქრობს, მაგრამ ქოცების ხელისუფლებას აქვე მკაცრად ვაფრთხილებთ: ეს „ჯერჯერობით“ უსასრულოდ ვერ გაგრძელდება, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებიდან „ნასკილს“ შემდეგ არავისთვისაა საიდუმლო, რომ ქვეყანა მისი უჩინარი ხელით იმართებოდა. რიგითი მინისტრების ხშირ დანიშვნა-გადაყენებას რომ თავი ვანებოთ, ბიძინას მსახვრალმა ხელმა ორი პერმიერმინისტრის კარიერა იმსხვერპლა და თანაც ორივე ერთნაირი სცენარით — ღარიბაშვილიც და კვირიკაშვილიც წინა დღეს არნახულ წარმატებებზე და, აქედან გამომდინარე, მომავალში საკუთარ მრავალწლიან გეგმებზე საუბრობნენ, მეორე დღეს კი ორივე პოლიტიკურ მოუსავლეთში გაისტუმრეს! თუმცა მცირე სხვაობა ამ ორ მოულოდნელ ფაქტს შორის ის იყო, რომ „ღარიბა“ ჯერ კიდევ სახელისუფლო კულისებიდან გაათავისუფლა „მოქალაქე“ ბიძინა ივანიშვილმა, ხოლო „კვირიკა“ — უკვე პოლიტიკაში პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის რანგში „დაბრუნებულმა“ ბიძინამ. ეს ერთი. და მეორე — თუ „ღარიბას“ გადაყენებას ხმაური არ მოჰყოლია „ქართული ოცნების“ შიგნით, „კვირიკას“ ჯერ პარლამენტის ფაქტიური მმართველი, ე.წ. ახალგაზრდა ნეოლიბერალები (კობახიძე, თალაკვაძე, მდინარაძე, ჩუგოშვილი) მისდგნენ და დიმიტრი ქუმსიშვილთან ერთად მიწასთან გაასწორეს, ხოლო შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა საკუთარ ინტერვიუში, ჟარგონით თუ ვიტყვით, კატოკივით ისე გადაუარ-გადმოუარა სულ რაღაც „გუშინ“ სახელწიფოს პირველ პირს, რომ, „მამაძალი“, ადამიანურად შემეცოდა.

**როგორც იტყვიან, ჯერ სადა ხარ. ბატონმა ბიძინამ იმდენი და ისეთი სისულელეები მიმოაბნია ინტერვიუში, რომ „კვირიკა“ და „ქუმსია“ რაღა სახსენებლები არიან (მითუმეტეს, რომ, დიდი ალბათობით, ცოლ-შვილი მშიერი არ დაურჩებათ), საქართველო შემეცოდა.**

აბა მე სად ჩავწვდები ბოლომდე საქართველოში ინტელექტის აღიარებულ მეტრს და ამიტომ ინტერვიუდან მხოლოდ რამოდენიმე „მარგალიტს“ შევთავაზებ ქართველ საზოგადოებას ჭაშნიკად:

**შედარებით უმნიშვნელოს შესახებ მოკლედ ვიტყვი: უკვე ანეკდოტადქცეული ასწლოვანი ხეების გადარგვა-გადმორგვას ლამის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენად აფასებს ბატონი ბიძინა. ჰოდა, აფასებს და შეაფასოს, თავად იხდის იმ ფასს. მერე რა, რომ ქვეყანაში ამდენი უსახლკარო, მშიერი ადამიანია?! ფული ბიძინასია და უნდა — ხეებს გადმოირგავს საკუთარ მამულში და უნდა — მთვარეზე მანდარინის პლანტაციებს გააშენებს. რომელ მილიარდერს არ აქვს უაზრო ხუშტურები?!**

რომ დავინახე, „ქართული ოცნების“ ხელში საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, გული მეტკინა და სხვა მრავალ მიზეზთა გარდა, ამისთვისაც დავბრუნდი პოლიტიკაშიო. ციტირებაზე თავს ვერ დავდებ (მოდით აქვე შევთანხმდეთ, რომ ციტირებაზე ვერც ქვემოთ დავდებ თავს) და შინაარსობრივად დაახლოვებით ეს ბრძანა ჭორვილელმა მილიარდერმა...

ზემოთ ხსენებული „გული მეტკინაზე“ გამომდინარე, საზოგადოების მე გულის ტკენის მიზეზებზეც ვიტყვით ორიოდე სიტყვას, რომელზეც კონკრეტულად არ უსაუბრია ბატონ ბიძინას:

**ნავთობბიზნესი, ფარმაცევტიკა და საბანკო ბიზნესი ე.წ. ბანანის რესპუბლიკების რანგის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ბიზნესებია, რომლებიც უმძიმეს ტვირთად აწევს და ახრჩობს უბრალო მოსახლეობას.**

ახლა არ მითხრათ, საქართველოსთან რა შუაშია ბანანიო?! მერე რა, რომ ჩვენში ანანასები არ ხარობენ?! ზემოთ ხსენებული ბიზნესები, ბანანის ქვეყნების მოსახლეობათა მსგავსად, არ ახრჩობს უბრალო ქართველებს?!

**ბატონო ბიძინა, თქვენი „გულის სპაზმების“ მოსახსნელად მარტივ გამოსავალს გთავაზობთ: ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში კერძო კომპანიების პარალელურად არსებობენ სახელმწიფო კომპანიები, რომლებიც ნავთობპროდუქტებისა და ფარმაცევტული საქონლის იმპორტს ეწევიან რეალურ ფასებში, რის გამოც ე.წ.მაფიოზურ-კარტელური შეთანხმებები თითქმის სრულად არის გამორიცხული, რადგან კერძო ბიზნესი სახელმწიფო იმპორტიორზე აღმატებულ ფასს ვერ დაადებს „ანალგინსა“ თუ „დევიანოსტა ტრეწი“ ბენზინს.**

**ევროპას არ მოსწონსო და დიახაც, სწორედ იმიტომ, რომ ევროპა-ამერიკას არ მოსწონს, ქოცებმა ნელ-ნელა დაიწყეს საკუთარი რიგებიდან მეტ-ნაკლებად ეროვნულად მოაზროვნე კადრების განდევნა**

რაც შეეხება თქვენს გულისტკივილს, ორმა ბანკმა („თიბისიმ“ და „საქართველომ“) შეჭამა საქართველო და თურმე ქვეყნის მოსახლეობა საკუთარი შემოსავლის ერთ მესამედს ბანკების ვალებში იხდის და ეს სრულიად ევროპული სირცხვილიაო, „თვალი დაუდგეს ევროპას“, სირცხვილიცაა და სასაცილოც, სატირალი რომ არ იყოს! **შე კაი კაცო, წინასაარჩევნოდ შეპირებული უფასო ფული თუ ვერა, დაბალპროცენტიანი მრავალწლიანი კრედიტი მაინც გაეცი საკუთარი „ქართუ ბანკიდან“ და ის ბანკები, რომლებმაც, როგორც ბრძანებთ, საქართველო შეჭამეს, სად ბებიაჩემის ბაბუასთან წავლენ?! ისინიც იძულებულნი გახდებიან, პროცენტი დაწიონ!**

ზემოთ ბიძინას პოლიტიკაში დაბრუნება ბრჭყალებში ჩავსვი, რადგან საიდანაც რეალურად არ წასულა, იქ ვერც დაბრუნდება!

**იმავე „ბრჭყალების გაკვრის“ სურვილი გამიჩნდა, როდესაც ბატონმა ბიძინამ 2030 წელს საქართველოს ევროკავშირში შესვლა და ევროპულ ოჯახში დაბრუნება ივარაუდა. ბიძინას პოლიტიკაში დაბრუნებისა არ იყოს, როდის, რომელ საუკუნეში იყო საქართველო ევროპული ოჯახის წევრი, რომ ახალა ძეშეცდომილივით იქ დაბრუნებას აპირებს?! ეგეც არ იყოს, რომელ ევროკავშირში აპირებს შესვლას საქართველო, რომლის დაშლის დე ფაქტო შეუქცევადი პროცესი უკვე დაწყებულია და დე იურე 2030 წლამდე გაცილებით ადრე, მომავალ წელს, „ბრექსიტის“ შემდეგ ოფიციალურად გაფორმდება?**

იმავეს თქმა ნატოზეც შეიძლება, რომლის არსებობას პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ხელში დიდი დღე არ უწერია — ყოველ შემთხვევაში, ამ მასშტაბითა და ზომით.

**ბატონმა ბიძინამ ინტერვიუში ერთი სახიფათო განცხადებაც გააკეთა: „ქართულ ოცნებას“ შეიძლება საკუთარი კანდიდატი არ ჰყავდეს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზეო, რადგან საპარლამენტო თუ ადგილობრივ ხელისუფლებებში ყველგან საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს „ქართულ ოცნებას“ და ეს ევროპას არ მოსწონსო. ჯანდაბას, პრეზიდენტობისთვის ოპოზიციამ იბრძოლოს, ჩვენ არ ჩავერევითო.**

რა არის ეს, თუ არა ქართველთა საძულველი კოაბიტაციის უფრო მაღალ რეგისტრში აყვანა...

ევროპას არ მოსწონსო და დიახაც სწორედ იმიტომ, რომ ევროპა-ამერიკას არ მოსწონს, ქოცებმა ნელ-ნელა დაიწყეს საკუთარი რიგებიდან მეტ-ნაკლებად ეროვნულად მოაზროვნე კადრების განდევნა.

ზოგი 2016 წლის საპარლამენტო სიაში არ შეიყვანეს და ამით მოიშორეს თავიდან, ზოგიც ოროსან მოსწავლესავით გარიცხეს გუნდიდან.

დასასრულ, ზემოთ ვთქვი, „ჯერჯერობით უსასრულოდ ვერ გაგრძელდება“-მეთქი. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ მართალია, დღეს, ისევე როგორც სადისტი მიშარასტების დროს, ქუჩებში აღარ გვხვრეტენ და ციხეებში აღარ გვაუპატიურებენ, რაც სულაც არ არის ცოტა, მაგრამ, თუ მუდამ მხოლოდ ქოც-ნაცებს შორის გვექნება არჩევანი გასაკეთებელი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველები ამ „მუდმივობას“ შევეგუებით და აპრიორი გარანტირებულად მივცემთ ხმას ქოცებს.

**არა, ბატონო! გამოჩნდება მესამე ძალა, რომელიც იდეოლოგიურად ერთსულ და ერთხორც ქოც-ნაცებს არას ეტყვის და, არჩევნებით თუ მის გარეშე, ხელისუფლებაში მოიყვანს ეროვნული თვითშეგნების, მართლმადიდებელ, ღვთის მოშიშ ძალას, რომელიც აზვირთებულ ნეოლიბერალისტური ოკეანიდან მყუდრო ნავსაყუდელში მოიყვანს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს.**

**დავით მხეიძე**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაახლოებით ორი თვის წინათ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ გამოძიება დაიწყო უცხოელი ტურისტების მიმართ, მაგრამ ვერავინ დააკავა, რადგან ეჭვმიტანილებმა ქვეყნის დატოვება მოასწრეს. ტურისტების ბრალი ბალახის მოწამვლაში ედებოდათ. რამდენიმე ადგილობრივი ყვებოდა, რომ ტურისტების ჯგუფი ერთი კვირის განმავლობაში დადიოდა საძოვრებზე და რაღაც ნარინჯისფერ ფხვნილს აბნევდა.**

**2012 წელს სათავეში მოსული ხელისუფლების ერთ-ერთი დაპირება სოფლის მეურნეობის განვითარება იყო. გარდა იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში მილიარდი ლარი უნდა ჩადებულიყო ყოველწლიურად, დამატებით თითო სოფელს მილიონამდე თანხა უნდა მიეღო. მილიარდმა ლარმა ჩაილურის წყალი დალია, აი, სოფლებისთვის დაპირებული მილიონი კი ათი ათასამდე დაპატარავდა, ახლა ყოველწლიურად თითო სოფელს ათი ათასი ლარი ერგება და, ძირითადად, გარე განათებაზე იხარჯება. რატომ? იმიტომ, რომ ამ თანხით 30 კვადრატული მეტრი გზის დაგებაა შესაძლებელი, აშენებით ვერაფერს ააშენებ და რა დარჩა?! ჰოდა, ნათდება სოფლები და ოღროჩოღრო გზები ისევ ტალახდება წვიმისას, ისევ კეთილმოუწყობელია ბაღები და სკოლები, ისევ უმუშევრობაა მთავარი პრობლემა და ისევ იცლება მამაპაპისეული სახლები. ლუკმაპურის საშოვნელად ახალგაზრდები ან დედაქალაქში მოდიან, ან ევროპაში და იმის გამო, რომ პროფესიული ტექნიკუმები მოვსპეთ (კომუნისტური გადმონაშთი იყო თურმე), პროფესია პრაქტიკულად არავის აქვს. ჰოდა, უცხო მიწაზე გადახვეწილი ბიჭების დიდი ნაწილი იპარავს, რასაც შედეგად ის მოაქვს, რომ ევროპული ქვეყნების სამართალდამცავები, პრაქტიკულად, ყოველკვირეულად აცხადებენ: კრიმინალური დაჯგუფებები დავიჭირეთ და ისინი საქართველოდან არიანო.**

# ვინ და რატომ მოწამლა ბალახი სვანეთსა და რაჭაში?

## მეორე თვეა, რაჭასა და სვანეთში საქონელი იხოცება



გასულ კვირას ტელეეთერში **ბიძინა ივანიშვილის** გამოჩენას საზოგადოება ინტერესით ელოდა. ექსპრემიერმა საინტერესოც ბევრი თქვა და უინტერესოც, მაგრამ ერთ-ერთი თემა, რომელსაც თითქოს გაკვრით შეეხო, სწორედ უმუშევრობა იყო. **„მე არ მიმაჩნია, რომ სოფელში, საკუთარ ნაკვეთში მომუშავე კაცი დასაქმებულია“,** — თქვა ივანიშვილმა და თემა აღარ განავრცო. ჟურნალისტი იქ დეკორაციის როლს რომ ასრულებდა, ცხადად ჩანდა და ამიტომ არ ჰკითხა, — დაპირებული მილიარდი და კიდევ მილიონები სად არისო...

**დღეს სოფლებში კატასტროფული სიტუაციაა. იმის გამო, რომ ადგილობრივებს ფული არ აქვთ (სახელმწიფომ ყველანაირი სუბსიდია მოხსნა და განაცხადა, რომ წელს სუბსიდია აღარც ყურძენზე იქნება), ამიტომ მიწის დიდ ფართობს, პრაქტიკულად, ვერავინ ამუშავებს. სამაგიეროდ, ირანელები, ინდოელები და კიდევ ათასი ჯურის ხალხი ჩადის ქართულ სოფლებში, ასეულობით ჰექტარს ამუშავებს, მუშებად ადგილობრივები ჰყავს, რომლებსაც კაპიკებს უხდის და ქართულ მიწაზე მოწეული დოვლათი თავის სამშობლოში გააქვს.** რატომ? — იმიტომ, რომ ქართულ მადლიან მიწაზე მოსავალი შხამ-ქიმიკატების გარეშე მოდის, გენმოდიფიცირებული არ არის და ამას ყველა აღიარებს. ისიც ვთქვათ, რომ, სულ რაღაც, **ორიოდე კვირის წინათ სერიოზული დაპირისპირება მოხდა საგარეჯოს რაიონში. ადგილობრივისგან იჯარით აღებულ მიწაზე ირანელებმა ხორბალი მოიყვანეს და მეპატრონეს იჯარის ფულის გადახდაზე უარი უთხრეს — აქაოდა, უცხოელები ვართ და, სადაც გინდა, გვიჩივლეო. მოიჯარემ იარაღი აიღო და ირანელებს მინდორში მიადგა: ჩემი ფული მომეცითო. მათ პოლიციაში დარეკეს და... მადლობა საგარეჯოელ პოლიციელებს, რომლებიც სიტუაციაში გაერკვნენ, ხელშეკრულებაც ნახეს, რომელიც ირანელებს თანხის გადახდას ავალდებულებდა, და... თანხა, 20 ათასი ლარი, იქვე გადაახდევინეს.**

ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ქართველთა დაუცველობის სინდრომი (და საკუთარი დაუსჯელობის სინდრომიც — რედ.) უცხოელებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. საკუთარ ქვეყანაში სტუმრებად ვიქეცით და ეს როგორც წინა, ისე მოქმედი ხელისუფლების დამსახურებაა, თუმცა თემა, რომელზეც ახლა ვაპირებთ საუბარს, ექსკლუზიურია და, რაც მთავარია, სახელმწიფო უწყებები მაქსიმუმს აკეთებენ, ინფორმაციამ რომ არ გაჟონოს, ვინაიდან, შესაძლოა, ამის შემდეგ ხელი ტურიზმს შეეშალოს, იმ ტურიზმს, რომელიც თურმე ბიუჯეტის შევსების მთავარი წყაროა.

**დაახლოებით ორი თვის წინათ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ გამოძიება დაიწყო უცხოელი ტურისტების მიმართ, მაგრამ ვერავინ დააკავა, რადგან ეჭვმიტანილებმა ქვეყნის დატოვება მოასწრეს. ტურისტების ბრალი ბალახის მოწამვლაში ედებოდათ. რამდენიმე ადგილობრივი ყვებოდა, რომ ტურისტების ჯგუფი ერთი კვირის განმავლობაში დადიოდა საძოვრებზე და რაღაც ნარინჯისფერ ფხვნილს აბნევდა.** როცა ადგილობრივებმა მიზეზი იკითხეს, უთხრეს, რომ ეს ფერების ერთგვარი ფესტივალი იყო, რომელიც მათ სამშობლოში აღინიშნება. ჰოდა, ეს „ფერების ფესტივალი“ ტურისტებმა აზერბაიჯანის რამდენიმე რეგიონში მოაწყვეს და ამის შემდეგ დაიწყო, რაც დაიწყო. ადგილობრივების საქონელი დაავადდა, გაურკვეველი ვირუსი გაუჩნდა და დაიხოცა. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ვერაფერი რომ ვერ გაარკვია, უცხოელი ექსპერტები მოიწვია და **ახალი ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინისთვის ასეულ მილიონობით დოლარი დახარჯა.** ექსპერტებმა კი დაადგინეს, რომ ბალახი სწორედ იმ ნარინჯისფერი საღებავით მოიწამლა. მაშინ ერთ-ერთმა ექსპერტმა ეს პროცესი კომპიუტერულ ვირუსებს შეადარა, როცა ჰაკერთა ჯგუფი ვირუსს ავრცელებს, კომპიუტერებს აფუჭებს და მერე ანტივირუსს მილიონობით დოლარად ყიდის.

**ადგილობრივები ეჭვობენ, რომ ბალახი მოწამლულია, რადგან მთაში ნახეს არაერთი ადგილი, სადაც ბალახი, მწვანე კი არა, ნარინჯისფერია**

**მეორე თვეა, რაჭასა და სვანეთში საქონელი იხოცება. ადგილობრივები ყვებიან, რომ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს კანი ებერება, შემდეგ გამობერილი ადგილი უჩირქდება და პირუტყვი კვდება. მისი ხორცი კი მთლიანად დამპალია, ანუ საკვებად მისი გამოყენება შეუძლებელია. მთავარი კი ის არის, რომ ადგილობრივები ეჭვობენ, რომ ბალახი მოწამლულია, რადგან მთაში ნახეს არაერთი ადგილი, სადაც ბალახი, მწვანე კი არა, ნარინჯისფერია.**

**„ყველა დარწმუნებულია, რომ ბალახი მოწამლეს. მოწამლეს იმიტომ, რომ რაჭასა და სვანეთში ეკოლოგიურად სუფთა რძის პროდუქტებსა და ხორცს აწარმოებენ. აქ ხომ არ არის არც ქარხნები, არც იმდენი ავტომობილი დადის სოფლებში, რომ გამონაბოლქვი იყოს და ამიტომ ჯანსაღია ბუნება. პრაქტიკულად, არ მომხდარა, რომ აქ სერიოზული დაავადება ყოფილიყოს, ახლა კი საქონლის 40 პროცენტი გაწყდა. არ ვამბობ, რომ ვეტექიმები არ ცდილობენ; ამოდიან, სწავლობენ, წვალობენ, მაგრამ ვერაფერს უხერხებენ. ათასი ნემსი და ვაქცინა სცადეს, მაგრამ არაფერი ეშველა. ბავშვებმა თქვეს: ტურისტები ყრიდნენ მინდორში ფხვნილსო. შეისწავლეს ის ადგილიც, მაგრამ ჯერ შედეგები არ ვიცით“,** — გვითხრა სვანეთის ერთ-ერთმა მცხოვრებმა.

**«ბავშვებმა თქვეს: ტურისტები ყრიდნენ მინდორში ფხვნილსო. შეისწავლეს ის ადგილიც, მაგრამ ჯერ შედეგები არ ვიცით»**

სხვათა შორის, **გასულ კვირას ხელისუფლებამ სვანეთში სპეცდანიშნულების რაზმიც შეიყვანა და ხეტყის უკანონო ჭრასთან დაუნდობელი ბრძოლა გამოაცხადა.** რა თქმა უნდა, უკანონოდ არაფრის კეთება არ შეიძლება; მეტიც, ხეტყის განადგურებას კანონითაც უნდა მოვუფრთხილდეთ, მაგრამ **იმას არავინ ამბობს, რომ იმ დაანონსებული ჰესების აშენების შემთხვევაში, სვანეთში იმდენი ხე მოიჭრება, სრულიად საქართველიმ ათი წელი რომ ჭრას, ბოლოს ვერ გავა.**

**„ხეტყის ჭრის წინააღმდეგი ჩვენც ვართ,** მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთი ტოტიც არ უნდა გავიდეს სვანეთიდან. არის ტყეები, რომლებსაც, წლებია, ვიყენებთ, ვხშირავთ. **სვანი თავის სადგომ-სამყოფელს არ გაანადგურებს,** მაგრამ აქ სხვა ამბავია. რეალურად, **ხეტყის ბიზნესს თბილისში ჰყავს მფარველები და ტყის მასივების განადგურება მათი დაკვეთაა, უზარმაზარ ფულს იხდიან და ვიღაცას წასცდება ხოლმე ხელი.** გვითხრა კიდეც ხელისუფლებამ: ჩვენ მათ ვეძებთ, მათზე გვინდა გასვლა, თორემ სვანებთან პრეტენზია არ გვაქვსო. სამაგიეროდ, ჩვენ გვაქვს პრეტენზია, თანაც, არაერთი: **არ შეიძლება, ამდენი ტურისტი უკონტროლოდ მოძრაობდეს სვანეთში, ულრან ტყეშიც კი შეიძლება გადააწყდე კარავს და ათასი ჯურის ხალხს. ან ეს რა უბედურებაა, სახედაფარულები რომ დადიან ქალები, მომრავლდნენ ბოლო დროს. ვერ გაიგებ, ვინ არის, რას წარმოადგენს. მათი სახლში შეშვება არ უნდა არავის და მერე ამბობენ: დისკრიმინაციააო. რა დისკრიმინაცია, სახლში ვინ შემოგყავს, სახეზე ხომ უნდა ცნობდე?!“ — ამბობენ სვანეთის მცხოვრებნი.**

შევეცადეთ, შეგვეტყო, **სვანეთსა და რაჭაში ბალახის მოწამვლის შემთხვევებს თუ იძიებენ სახელმწიფო სტრუქტურები, მაგრამ ოფიციალურად ვერაფერს გავხდით. რეალურად, მოსახლეობის გარდა, სვანეთსა და რაჭაში საქონლის მასობრივი მოწამვლისა და დახოცვის ფაქტს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არ ადასტურებენ, კულუარულად კი გვითხრეს: ამ მიმართულებით არა მხოლოდ სფეროს ექსპერტები, არამედ ძალოვანი უწყებებიც მუშაობენ და გამოძიება დაწყებულიაო.** რას დაადგენს გამოძიება, მომავალში გამოჩნდება, მანამდე კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ **სვანეთსა და რაჭაში მოსახლეობა მკვდარ პირუტყვს ყოველდღე მარხავს.**

**სვანეთსა და რაჭაში საქონლის მასობრივი მოწამვლისა და დახოცვის ფაქტს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არ ადასტურებენ, კულუარულად კი გვითხრეს: ამ მიმართულებით არა მხოლოდ სფეროს ექსპერტები, არამედ ძალოვანი უწყებებიც მუშაობენ და გამოძიება დაწყებულიაო**

**ბესო ბარბაქაძე**

**რთულია, თქვა, რომელი უფრო ამაზრზენი და გულისამრევი საყურებელია: ისინი, ვინც ბატონ ბიძინას მიმართ ხოტბის შესხმაში ერთმანეთს ეჯიბრებიან სოციალურ ქსელებში, თუ ისინი, ვისთვისაც 2012-დან 2016 წლამდე ივანიშვილი იყო „პელე“, „ფენომენი“, „გენიოსი“, „მხსნელი“, ახლა კი, რადგან მისგან ნატრული მილიონები და თანამდებობები ვერ მიიღეს, ბიძინა არის ყველაზე ცუდი, ბოროტი, უტვინო, ქვეყნის გამანადგურებელი...**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თერთმეტი ოპოზიციური პარტიის მიერ წამოყენებული პრეზიდენტობის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძის მიერ ტვ „პირველის“ პირდაპირ ეთერში წამოცდენილი ეს უხამსი რუსული ფრაზა ყველაზე ზუსტად ასახავს ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას. დაწყებული იმით, რომ რუსეთთან ვითომ თავგანწირვით მებრძოლი პროდასავლელი პრეზიდენტობის კანდიდატი პირდაპირ ეთერში სწორედ რუსი „სალდაფონის“ ლექსიკით ლაპარაკობს, და დამთავრებული იმით, რომ სახელისუფლო პარტიამ პრეზიდენტის პოსტი ოპოზიციას უნდა დაუთმოს, რადგან ასე თურმე „საინტერესო იქნება“.**

# ზაე@ბალი პროსტო!

## ანუ გასაოცარი დემოკრატიის საფუძვლები




სწორედ ამ „არგუმენტით“ გაამართლა ბიძინა ივანიშვილმა თავისი მოსაზრება, როდესაც „პირველი არხის“ ეთერში, სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოს მომავალ პრეზიდენტზე მსჯელობდა. ადრეც გამიხსენებია ჩემს სტატიებში ივანიშვილის მიერ ჯერ კიდევ 2011 წელს ნათქვამი ფრაზა: **„მე მიყვარს ადამიანების თავის ნებაზე მიშვება და მათზე დაკვირვება“.** შეიძლება, ადამიანების მართვის ეს მეთოდი გარკვეულ შემთხვევებში ეფექტიანიც იყოს და გამართლებულიც. ბოლოს და ბოლოს, არაფერი არსებობს ქვეყნად ისეთი, ბატონ ბიძინას ექსკლუზიურ „გამოგონებად“ რომ მივიჩნიოთ. ხსენებული მეთოდით ბიძინამდეც ძალიან ბევრი პერსონა მოქმედებდა, მაგრამ განა არ უნდა იფიქროს ადამიანმა, სად და რა ვითარებაში იყენებს ამ მეთოდს? **მსგავსი მეთოდებით, ძირითადად, მეტროპოლიები მართავდნენ ხოლმე დაპყრობილ კოლონიებს** ან კიდევ: შეიძლება რომელიმე მსხვილმა ბიზნესმენმა მართოს ასე თავისი კანტორის რომელიმე ფილიალი. **იმ ქვეყნის მართვა ასეთი მეთოდებით, რომელიც შენი სამშობლოა, რომელზეც პასუხისმგებელი ხარ და რომელიც ნამდვილად არ არის შენი „კანტორა“, „ცეხი“ ან „ფილიალი“, განა გამართლებულია?!**

თუმცა ივანიშვილს იქნებ მიაჩნია კიდეც საქართველო მის მიერ „დაპყრობილ ქვეყნად“ ან საკუთარ „ცეხად“, რაც კიდევ უფრო სარწმუნოა, და სულაც არ ფიქრობს იმაზე, რომ ასეთი მეთოდებით მართვის პირობებში ეს „ცეხი“, შესაძლოა, მნიშვნელოვნად, გამოუსწორებლადაც კი დაზიანდეს, ვიდრე შენ შენთვის „საინტერესო“ ექსპერიმენეტებს ატარებ?!

ბიძინას ექსპერიმენტი ამჯერად შეეხება იმას, რომ თურმე „საინტერესო“ იქნება, თუ მმართველი ძალა არ დაასახელებს პრეზიდენტობის კანდიდატს და ამ პოსტზე ოპოზიციური ძალების ბრძოლას „გარედან დააკვირდება“. ეს თურმე, როგორც მილიარდერმა ბელადმა გვითხრა, „დემოკრატიისთვის იქნება საინტერესო“. აჰ, სულ დაგვავიწყდა — ჩვენ ხომ გასაოცარ დემოკრატიას ვაშენებთ!

საზოგადოდაც, ბიძინა ივანიშვილის საათნახევრიანი სატელევიზიო გამოსვლა ძალიან ჰგავდა ე.წ. შესავალ ლექციებს პირველკურსელთათვის. შემდეგ ასეთ ლექციებს წიგნად შეკრებენ და სახელმძღვანელოდ გამოსცემენ. როგორც წესი, სათაური ასეთია ხოლმე: „ეგზისტენციალური ფილოსოფიის საფუძვლები“ ან „მაკროეკონომიკის საფუძვლები“, ან „აღქმის ფსიქოლოგიის საფუძვლები“ და ა.შ.

ზუსტად ასევე, ბიძინას ამ საათნახევრიან ლექციას შეგვიძლია **ვუწოდოთ „გასაოცარი დემოკრატიის საფუძვლები“. აკი, მილიარდერი ბელადი, ძირითადად, სწორედ იმაზე საუბრობდა, რა წაადგება დემოკრატიას, რით გაოცდებიან და მოიხიბლებიან ჩვენი ევროპელი თუ ამერიკელი პარტნიორები, ხოლო უცხოელთა წინაშე ასეთი პოზიორობის ფონზე რა დაემართება ჩვენს ქვეყანასა და სახელმწიფოს, ამ მიმართულებით „ცეხის უფროსი“, მგონი, არც კი ფიქრობს.**

კი, ბატონო, დემოკრატიისთვის, მით უფრო გასაოცარი დემოკრატიისთვის, შეიძლება მართლაც საინტერესო იყოს ის, რომ მმართველობაში საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსული ძალა დიდსულოვნად უთმობს ოპოზიციას პრეზიდენტის თანამდებობას დემოკრატიის განვითარების მიზნით. მაგრამ **ჩვენ ოპოზიცია რომ არ გვყავს?! ჩვენ გვყავს მკვლელების, სადისტების, მანიაკების ბანდა, რომელსაც ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილის მონდომებითა და რუდუნებით „ოპოზიციას“ ვუწოდებთ.**

ვსვამ კითხვას: **აი, ასეთი „ოპოზიიციის“ პირობებში გამართლებულია თუ არა ის, რასაც ივანიშვილი თავის „გასაოცარი დემოკრატიის საფუძვლებში“ გვეუბნება?**

**ეგ მანიაკების ჯგუფი, პარლამენტში რომ ზის საკმაოდ სოლიდური წარმომადგენლობით, მერე, საერთოდ, რომ არსებობს და მონაწილეობს არჩევნებში საკუთარი კანდიდატურით, „გასაოცარი დემოკრატია“ კი არა, უკვე „წარმოუდგენელი კატასტროფაა“ სწორედ დემოკრატიისთვის და ახლა პრეზიდენტის სავარძელიც ჩავაბაროთ?**

იმის გაკვეთლს კი, რა შეიძლება გააკეთონ და დაატრიალონ მათ თუნდაც ძალიან დასუსტებული საპრეზიდენტო ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდგომ, უკვე გვაძლევს ჯერარგაპრეზიდენტებული **გრიგოლ ვაშაძე. იგი ოპონენტებსა და ჟურნალისტებს პირდაპირ ეთერში უკვე ელაპარაკება „ზაე@ალი პროსტო“-თი და თანაც ისეთი ტონით, ვინც არ დაემორჩილება, აუცილებლად დახვრეტს, უფლება რომ ჰქონდეს.**

ჰო, სწორედ უფლებებზე შეიძლება შემედავოს ვინმე, რა იყო, რას აწიეთ ერთი ამბავი, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება პრეზიდენტი?! ისედაც არავითარი უფლებები არ აქვს და ფორმალური პოსტია, გინდ ვაშაძე იჯდეს მანდ და გინდ **სააკაშვილიო...**

სიმართლე გითხრათ, პრეზიდენტის პოსტისადმი ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულების დამკვიდრებაც მავანის წინასწარი გაზრახვა მგონია. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტს სულაც არ აქვს უმნიშვნელო უფლებები. თუნდაც ასე მასხრად აგდებულ „ვეტოს უფლებას“ ძალიანაც ნუ შევეხუმრებით, თორემ **2020 წელს პარლამენტში „ოცნება“ ისევ საკონსტიტუციო უმრავლესობით რომ ვერ მოვიდეს, რის დიდ ალბათობასაც ყველა აღიარებს, მერე ვნახოთ, პარლამენტარები რა ჯადოთი დაძლევენ პრეზიდენტ ვაშაძის ვეტოს?!**




ანდა, ვეტო სულაც რომ არ ვახსენოთ, განა ასეთი მცირე ფუნქცია და უფლებაა პატიმრების უპირობო შეწყალების უფლება? აკი, სწორედ ეს შეწყალებებია, რომელთა გამოც ერთი პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ხოლო მეორე პრეზიდენტს ყველაზე „მსუქან“ პრეტენზიად სწორედ შეწყალების ექსკლუზიური უფლების ბოროტად გამოყენებას უყენებენ.

მართალია, ორივე ეს ამბავი კომიკურია, რადგან, თუ ვინმეს ანიჭებ ექსკლუზიური შეწყალების უფლებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მას უფლება აქვს, შეიწყალოს ვინც უნდა და როცა უნდა, ყოველგვარი არგუმენტაციისა და ახსნა-განმარტების გარეშე, მაგრამ ფაქტია, რომ ორივე პრეზიდენტს სწორედ ამას ედავებიან.

უბრალოდ, საქმე ის არის, რომ, **თუკი მარგველაშვილმა მხოლოდ ორიოდე შემთხვევაში იკადრა ეს, სააკაშვილმა, უბრალოდ, ვერ მოასწრო. ვინ იცის, როდის, რისთვის და ვისთვის გამოიყენებს ახალი პრეზიდენტი ამ ექსკლუზიურ უფლებას?** მოკლედ, ოპოზიციის სავარაუდო პრეზიდენტის ენით რომ ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილმა უკვე ზაე@ბალ ამ თავისი „გასაოცარი დემოკრატიით“.

ისე კი, რა უშავდა, თუკი ასე მხოლოდ ივანიშვილი მოიქცეოდა. საქმე ისაა, რომ საქართველოში უკვე ისეთი წინაქაოსური მდგომარეობაა, რომ ყველამ, მართლაც, **ზაე@ბალი** პროსტო!

თანაც **ზაე@ბალი არა მხოლოდ ივანიშვილმა და მმართველი ძალის წარმომადგენლებმა, არამედ ოპოზიციამაც, ექსპერტებმაც, საზოგადოდ, პოლიტიკოსებმა, კულტურის მოღვაწეებმაც, მეტისმეტად საეჭვოდ „ცნობადმა“ ჟურნალისტებმაც და ასე განსაჯეთ — პუბლიცისტებმაც კი.**

ხალხს უკვე ყელში აქვს ამოსული მთელი ეს სრულიად უტვინო და უაზრო ორომტრიალი და მართლაც **რთულია, თქვა, რომელი უფრო ამაზრზენი და გულისამრევი საყურებელია: ისინი, ვინც ბატონ ბიძინას მიმართ ხოტბის შესხმაში ერთმანეთს ეჯიბრებიან სოციალურ ქსელებში, თუ ისინი, ვისთვისაც 2012-დან 2016 წლამდე ივანიშვილი იყო „პელე“, „ფენომენი“, „გენიოსი“, „მხსნელი“, ახლა კი, რადგან მისგან ნატრული მილიონები და თანამდებობები ვერ მიიღეს, ბიძინა არის ყველაზე ცუდი, ბოროტი, უტვინო, ქვეყნის გამანადგურებელი...**

ამ უკანასკნელთა მომრავლება უკვე აშკარაა და მათ რიგებს **შალვა შავგულიძეც** და **გუბაზ სანიკიძეც** შეურთდნენ ბოლო დღეებში. აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ **თაკო ჩარკვიანი, მურმან დუმბაძე, არმაზ ახვლედიანი...**

**საქართველოში უკვე ისეთი წინაქაოსური მდგომარეობაა, რომ ყველამ, მართლაც, ზაე@ბალი პროსტო! თანაც ზაე@ბალი არა მხოლოდ ივანიშვილმა და მმართველი ძალის წარმომადგენლებმა, არამედ ოპოზიციამაც, ექსპერტებმაც, საზოგადოდ, პოლიტიკოსებმა, კულტურის მოღვაწეებმაც, მეტისმეტად საეჭვოდ «ცნობადმა» ჟურნალისტებმაც და ასე განსაჯეთ — პუბლიცისტებმაც კი**

ფაქტობრივად, მთელი ის შემადგენლობა, რომელიც თავის დროზე „ბიძინას რჩეულები“ იყვნენ და რომელთა შესახებაც ოდნავ გადაბრუნებულის თქმა „ოცნების“ და პირადად ივანიშვილის „მტრობად“ აღიქმებოდა. ბიძინა ივანიშვილს, შეიძლება ითქვას, ფულის სიყვარულში სახელგანთქმული ადამიანებისგან მხოლოდ **ეკა ბესელია** და **ზვიად ძიძიგურიღა** შერჩა და, ალბათ, იმის წყალობით, რომ მათ მართლაც ფენომენალური ალღო აქვთ „გამოძრომებისა“.

მაგალითად, გენიალური იყო ეკა ბესელიას ფრაზა ტვ „პირველთან“ საუბრისას: **„მე, რა თქმა უნდა, არ ვაქებ და ვადიდებ ბატონ ბიძინას, მაგრამ ეს ადამიანი არის საოცრად მოაზროვნე და მისი ყოველი სიტყვა მართლაც დასამახსოვრებელია. მას არაფერი გაუკეთებია, კარგის და დადებითის მეტი...“** დამეთანხმებით, „წინდახედული მლიქვნელის“ კლასიკური ნიმუშია... ეს არც არის გასაკვირი, როდესაც ბელადი ასეთ რამეს ამბობს: **„მე არ ვიყავი არაფორმალური მმართველი. მე არავის ვმართავდი, მხოლოდ ვაკონტროლებდი და, როდესაც დავინახე, რომ ჩემს კონტროლს აღარ ემორჩილებოდნენ, დავბრუნდი და გავუშვი სახლში!“**

ამ ადამიანს „არმართვის“ თავისებური მეთოდებიც ჰქონია თურმე. „გასაოცარი დემოკრატიის საფუძვლებში“ შესატანი თვალსაჩინო ნიმუშია... ცალკე თემაა **ნიკა გვარამიას, ეკა კვესიტაძის, გიორგი გაბუნიას** და მათნაირი „მიშას დადებული კვერცხების“ მხრიდან ბიძინა ივანიშვილის სრულიად შტერული ლანძღვა და ბოღმიანი ფრაზების სროლა...

მოკლედ, **2003 წელს დაწყებული მანიაკთა „წესრიგი“, რომელიც 2012-დან უნიათოთა სრულმა უწესრიგობამ განაგრძო, შეუფერხებლად გრძელდება. ახლა ისევ ამ სტატიის სათაურს შეხედეთ და მიხვდებით, რატომ არის იქ გრიგოლ ვაშაძის „საავტორო ფრაზა“ გამოტანილი ბრჭყალების გარეშე.**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ეს არის უბედურება, როცა კაცი ერთი ხელით თითქოს კარგ საქმეს აკეთებს და მეორეთი ძირს გითხრის. ისე, ეკლესიამ ამ დროს სჯულის კანონით უნდა იმოქმედოს და ასეთი ხალხისგან შესაწირი არ უნდა მიიღოს... დღეს 150-ზე მეტი მეჩეთია რეგიონში და მხოლოდ 43 ეკლესია. ჩნდება მარტივი შეკითხვა: ვის სჭირდება კიდევ ერთი გრანდიოზული მეჩეთი? ეს არის იმპერიალისტური გეგმა თურქეთის ხელისუფლებისა, რომელსაც საქართველოში ბევრი მოკავშირე ჰყავს“.



მამა გიორგი (რაზმაძე):

# ეს არის ანტიქართული გეგმა, რომლის საბოლოო მიზანი თურქეთის მიერ საქართველოს სრული ასიმილაციაა

**ბოლო პერიოდში კვლავ მნიშვნელოვანი და აქტუალურია რელიგიური უმცირეობების უფლებები. კერძოდ, ომბუდსმენის მოხსენების კვალდაკვალ ბათუმში გრანდიოზული მეჩეთის აშენების საკითხი ისევ დადგა დღის წესრიგში. მეტიც, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე მამუკა რიჟვაძემ 23 ივლისს მედიასთან განაცხადა, რომ მეჩეთი (საუბარია აზიზიეს მეჩეთზე), აუცილებლად უნდა აშენდეს, თანაც არა რომელიმე კომპანიის ან კონკრეტული ბიზნესმენის ხელშეწყობით, არამედ ქართული ფულით. მისი თქმით, თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ეს საკითხი პრობლემა არ უნდა იყოს, მაგრამ დღეს საქართველოში გარკვეული ძალები ამ თემით სპეკულირებენო.**

რიჟვაძის განცხადებაზე არანაკლებ თამამი და კატეგორიული (გნებავთ, პროვოკაციული ან დესტრუქციული დაარქვით) ყოფილი პრემიერის, „ქართული ოცნების“ მთავარი შემოქმედისა და აწ უკვე რუხ კარდინალად წოდებული ბიძინა ივანიშვილის კომენტარი იყო. მისი თქმით, იგი მზად არის, მეჩეთის მშენებლობა ათი, ოცი და, თუ საჭირო გახდა, ოცდაათი მილიონითაც დააფინანსოს: „რაც შეეხება მილიონებს, იქ ათ მილიონზე იყო მაშინ საუბარი, ოციც რომ დაჯდეს და ოცდაათიც, მე მზად ვარ, დავაფინანსო... საოცრად მიყვარს ჩვენი მუსლიმანები...“

მისივე განცხადებით, მან პრემიერის პოსტზე ყოფნის პერიოდში მეჩეთის პროექტის მოსამზადებლად ბევრი რამ გააკეთა, თუმცა შემდეგ ეს თემა გარკვეული მიზეზების გამო მიივიწყეს და მშენებლობაც დროებით გადაიდო...

შეგახსენებთ, რომ ბათუმში თურქი დამპყრობლის — აზიზიეს, სახელობის გრანდიოზული მეჩეთის აშენების საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც სააკაშვილის მიერ თურქეთის მოქალაქეებისთვის ქართული პასპორტების მასობრივად დარიგებამ რეგიონში მუსლიმანი მოსახლეობის რაოდენობა მოკლე პერიოდში საგრძნობლად გაზარდა. მათი ძირითადი „არგუმენტი“ კი, რომლის გამოც თურმე ქალაქს ახალი მეჩეთი სჭირდება, არის ის, რომ ადგილობრივებს რელიგიური რიტუალების ჩასატარებლად საკმარისი ფართობი არ აქვთ, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმში და მთლიანად რეგიონში დღეს ათეულობით (ასეულობით თუ არა) დიდი ზომის მეჩეთია, ახალი მუსლიმანური სალოცავის აშენების აუცილებლობა თავისთავად შეკითხვებს აჩენს...

რა ძალები დგანან ან შეიძლება იდგნენ მეჩეთების მშენებლობის უკან, რატომ დაეთმო ამ თემას ომბუდსმენის მოხსენებაში განსაკუთრებული ადგილი დ რა ინტერესი ამოძრავებს ივანიშვილს, როცა მეჩეთის მშენებლობის 30-მილიონიან დაფინანსებაზე საუბრობს? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი **მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, როგორც კი რამდენიმე დღის წინათ პარლამენტში გამოვიდა ომბუდსვუმენი ნინო ლომჯარია და ყოველწლიური ანგარიშის ფარგლებში უკმაყოფილება გამოთქვა, რომ თურმე საქართველოში რელიგიური უმცირესობების უფლებები (სხვა უმცირესობების მსგავსად) ფეხქვეშ ითელება, ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენების საკითხი ისევ დღის წესრიგში დადგა. მეტიც, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ამბობს, რომ იგი ქართული ფულით უნდა აშენდეს. აქეთ ივანიშვილიც მზადაა, მშენებლობას 30 მილიონი მოახმაროს. როგორც სასულიერო პირი, როგორ აფასებთ ამ ყველაფერს?**

— **ლომჯარიაზე** ვიტყვი იმას, რაც ადრეც არაერთხელ მითქვამს თქვენი გაზეთის მეშვეობით: **ამ ქალბატონსა და სხვა მსგავს ნომრიან აგენტებს ვერაფერი გააჩერებთ, სანამ საქართველო, როგორც სახელმწიფო, მსოფლიო გლობალისტური ძალების ექსპერიმენტის ობიექტად დარჩება.**

რაც შეეხება მეჩეთის აშენების საკითხს და იმ შხამიან ლიბერალურ პროპაგანდას, რომელიც ბოლო დღეებში ლამის 24-საათიან რეჟიმში გვესმის, პირდაპირ გეტყვით: **თურქეთის ხელისუფლება ფულს უხდის ქართულ ტელევიზიებს, რათა ეს საკითხი რეგულარულად გაშუქდეს მათთვის სასურველი კუთხითა და პოზიციით.** ახლა ამას, გნებავთ, შეთანხმება დაარქვით; გნებავთ, შეთქმულება ან სხვა რამ, მაგრამ ფაქტია: **„რუსთავი 2“, პირველი არხი და სხვები თურქული პროპაგანდის, მათი ანტიქართული რიტორიკის ფლაგმანები არიან.** მეტიც, საკმარისია, სადმე ვინმემ გაბედოს თურქეთის მოხსენიება დამპყრობლად, თურქოფობის იარლიყი გარანტირებული აქვს. არადა, **საინტერესოა, რას ნიშნავს თურქოფობი? — იმას, რომ ჩემი ისტორია ვიცი? იმას, რომ დაკარგული ტერიტორიები, მათ შორის, თურქეთის მიერ მიტაცებული, მახსოვს? იმას, რომ დიდგორის ბრძოლა უდიდესი გამარჯვებაა მტერზე, რომელსაც ჩვენი განადგურება და ამოძირკვა სურდა?! ეს არის სიძულვილი და, ბათუმში აზიზიეს მეჩეთი რომ უნდა წამოჭიმონ, დემოკრატია?! ამაზე მეტი ცინიზმი და აბუჩად აგდება რა გინდა!**

**დამპყრობლის სახელობის მეჩეთი უნდა აგიშენონ შენს ქვეყანაში, შენ კი ამ დროს, არათუ ცუდი თვალით არ უნდა შეხედო ამ ყველაფერს, ფიქრადაც არ უნდა გაივლო პროტესტი და უკმაყოფილება. ეს არის ხანგრძლივი და კონკრეტული ანტიქართული გეგმა, რომლის საბოლოო მიზანი თურქეთის მიერ საქართველოს სრული ასიმილაციაა.**

**— გასაგებია, რომ თურქეთის ხელისუფლება ქართულ ტელევიზიებს შეიძლება ფულს უხდიდეს, მაგრამ სახალხო დამცველის აპარატსაც აფინანსებენ?**

— დარწმუნებული ვარ, **სახალხო დამცველის ანგარიშში მეჩეთების აშენების საკითხის წამოწევა თურქეთის სახელისუფლო ძალების აქტიური ჩარევით ხდება.** შეიძლება თავზე არ ადგას ლომჯარიას და მის თანამშრომლებს რომელიმე თურქი მაღალჩინოსანი, მაგრამ ზემოქმედების უამრავი საშუალება არსებობს. დარწმუნებული ვარ, თავის დროზე კონსულტაციებს გადიოდა **ივანიშვილიც.**

რაც შეეხება მის განცხადებას, რომ, თუ საჭირო შეიქნა, მეჩეთის ასაშენებლად 30 მილიონსაც არ დაიშურებს, ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **2012 წლის არჩევნების შემდეგ საქართველოში სააკაშვილის სახით არსებული სომხური ლობი ივანიშვილის ებრაულმა ლობიმ შეცვალა. შესაბამისად, მეჩეთს ააშენებენ თუ სატანის საკრებულოს, მათთვის სულერთია.**

**— თუმცა, როგორც ცნობილია, ივანიშვილს მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობაც აქვს თავის დროზე დაფინანსებული.**

— ეს არის უბედურება, როცა კაცი ერთი ხელით თითქოს კარგ საქმეს აკეთებს და მეორეთი ძირს გითხრის. ისე, ეკლესიამ ამ დროს სჯულის კანონით უნდა იმოქმედოს და ასეთი ხალხისგან შესაწირი არ უნდა მიიღოს. მეტსაც გეტყვით: სჯულის კანონში პირდაპირ წერია, რომ, როდესაც ურწმუნო კაცის ხელით შენდება ეკლესია-მონასტრები, ეპისკოპოსი ვალდებულია, მივიდეს და საძირკვლამდე დაანგრიოს ეს ყველაფერი. აი, ეს რომ არ ხდება, ამიტომაა, ყველას, ვისაც ფული აქვს, შეუძლია, რაღაც ქულები დაიწეროს. იყო შემთხვევები, როცა ტაძარი ქურდებმა ააშენეს და ამაზეც იმავეს ვიტყვი: **კაცი ჯერ სწორ აზროვნებაზე, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე უნდა მოექცეს და მერე შეიძლება ეკლესიამ მისგან შესაწირი მიიღოს.**

**— დავუბრუნდეთ ისევ აჭარის საკითხს, ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს იმის გამო, რომ მეჩეთები არ ჰყოფნით.**

— დღეს 150-ზე მეტი მეჩეთია რეგიონში და მხოლოდ 43 ეკლესია. ჩნდება მარტივი შეკითხვა: ვის სჭირდება კიდევ ერთი გრანდიოზული მეჩეთი? კიდევ ვიმეორებ: ეს არის იმპერიალისტური გეგმა თურქეთის ხელისუფლებისა, რომელსაც საქართველოში ბევრი მოკავშირე ჰყავს. სხვათა შორის, ამ დღეებში თურქეთი აამოქმედებს (შეიძლება უკვე აამოქმედა კიდეც) კანონს, რომლის თანახმად, საქართველოდან გადასულ მანქანებს იქ ქართული ნომრებით გადაადგილება შეეზღუდებათ. საინტერესოა, ამაზე რატომ არავინ ლაპარაკობს, ან სად არიან ეს ჩვენი ევროლიბერალი არასამთავრობოები, ყველაფერზე თურქოფობია და ისლამოფობია რომ ელანდებათ?!

**— თქვით, რომ, როდესაც ურწმუნო ადამიანი ცდილობს, ტაძრის აშენება დააფინანსოს, ეპისკოპოსი ვალდებულია, მას ამის საშუალება არ მისცეს. საქართველოში უამრავი ავტორიტეტული ეპისკოპოსია. რატომ არ ხდება რეაგირება კონკრეტულ შემთხვევებში?**

— ეპისკოპოსების თემა ბოლო პერიოდში ისეთი მტკივნეულია, ამაზე, უბრალოდ, აღარ ვსაუბრობ. იქნებ მათ დაუსვათ ეს შეკითხვა. საინტერესოა, რას გიპასუხებენ. სხვათა შორის, არც ის მოგვწონს, როცა „რუსთავი 2“-ს, „იმედს“, პირველ არხსა და სხვა ლიბერალურ მედიასაშუალებებს მუდმივად უზით ეთერში სასულიერო პირები, რომლებიც ზუსტად ისე საუბრობენ, როგორც **ლომჯარია, გვარამია** და მისთანები...

**— რამდენიმე დღის წინათ მეუფე გრიგოლმა მედიასთან განაცხადა, რომ გარკვეული პირები პატრიარქს გადადგომას ურჩევდნენ. მისი თქმით, ისინი არ იყვნენ სასულიერო პირები. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ამის თაობაზე?**

— მე არანაირი ინფორმაცია არ მაქვს — სად, ვინ და რატომ ეუბნებოდა ამას პატრიარქს, მაგრამ ეს, ალბათ, ისევ და ისევ „ციანიდის საქმის“ გაგრძელებაა, თუმცა, სიმართლე გითხრათ, მეუფე გრიგოლის სიტყვები ნაკლებად მაინტერესებს. საერთოდ, მე დიდ საფრთხედ უფრო ეს ხალხი მიმაჩნია, ვიდრე რაღაც განცხადებები. ამაზე უნდა იფიქროს ჩვენმა ეკლესიამ.

**— კონკრეტულად რა საფრთხეს გულისხმობთ?**

— გაიხსენეთ, ვინ ითხოვდა პატრიარქის ტახტის გაუქმებას და სინოდური მმართველობის შემოღებას... ვფიქრობ, ეს უფრო დიდი ▶

«დღევანდელ პარლამენტში არიან ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლამდე ტაძარში დადიოდნენ, მაგრამ, როგორც კი შევიდნენ პარლამენტში, არც ერთი აღარ მინახავს»

«თურქეთის ხელისუფლება ფულს უხდის ქართულ ტელევიზიებს, რათა ეს საკითხი რეგულარულად გაშუქდეს მათთვის სასურველი კუთხითა და პოზიციით... საკმარისია, სადმე ვინმემ გაბედოს თურქეთის მოხსენიება დამპყრობლად, თურქოფობის იარლიყი გარანტირებული აქვს. არადა, საინტერესოა, რას ნიშნავს თურქოფობი — იმას, რომ ჩემი ისტორია ვიცი? იმას, რომ დაკარგული ტერიტორიები, მათ შორის თურქეთის მიერ მიტაცებული, მახსოვს? იმას, რომ დიდგორის ბრძოლა უდიდესი გამარჯვებაა მტერზე, რომელსაც ჩვენი განადგურება და ამოძირკვა სურდა?! ეს არის სიძულვილი და, ბათუმში აზიზიეს მეჩეთი რომ უნდა წამოჭიმონ, დემოკრატია?!»

„პარლამენტი ისეთ კანონებს იღებდა, რომ, ბანკირების გარდა, სხვა ბიზნესმენებს საშუალება არ ეძლეოდათ განვითარების. ფაქტობრივად, ყველა კანონს, რომელიც პარლამენტში მიიღეს, ბანკირები ლობირებდნენ“.

დაპირისპირება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საფრთხეა დღევანდელ ვითარებაში ქვეყნისთვის, ვიდრე სხვა რამ. მეტი რა გითხრათ, ვინაა დღეს ქვეყანაში ისეთი თავხედი, რომ პატრიარქთან მივიდეს და უთხრას, გადადექიო. ყოველ შემთხვევაში მე ვერ წარმომიდგენია. ეს, ალბათ, უფრო ვითარების დასაძაბავად მოგონილი ამბავია. თუ ასე არ არის, მაშინ უნდა დასახელდეს კონკრეტული პიროვნება.

**— მცირე ხნის წინათ პარლამენტმა ომბუდსმენის 303 რეკომენდაციიდან 226 დადგენილების პროექტში შეიტანა და შესაბამისი კომიტეტების სამოქმედო გეგმებში ასახა, რაც ნიშნავს, რომ მალე აქ ჩვენთვის მიუღებელი კანონების ახალ ტალღას ვიხილავთ. რას ეტყვით იმ დეპუტატებს, რომლებმაც ამ ყველაფერს ხელი უნდა მოაწერონ?**

— დღევანდელ პარლამენტში არიან ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლამდე ტაძარში დადიოდნენ; მაგალითად, **ზვიად ძიძიგური** და **ბიძინა გუჯაბიძე.** მაგრამ, როგორც კი შევიდნენ პარლამენტში, არც ერთი მინახავს და არც მეორე. სხვათა შორის, ახლა ძიძიგური უნდა ვამხილო თქვენი გაზეთის მეშვეობით. ამას წინათ მაღაზიაში შემხვდა ეს ადამიანი და მისვლა დავაპირე. მინდოდა, მეთქვა: ამდენ უზნეობასა და უმსგავსობას ხელს როგორ აწერთ-მეთქი, მაგრამ, როცა დამინახა, თავი მიატრიალა. მერე ტელეფონი ამოიღო, ვითომ რეკავდა და წავიდა... აი, ასე გაურბიან და ემალებიან ესენი ადამიანებს. **გუჯაბიძე კი ადრე ათონის მთაზე წავიყვანე, იქნებ რამე გაიგოს-მეთქი, მაგრამ ახლა ტელეფონსაც არ პასუხობს. ეს არის მათი კაცობა, ისინი ფულს დახარბებული უსინდისო ადამიანები არიან, რომლებმაც „ქართული ოცნება“ ქართულ ჯოჯოხეთად აქციეს. დამსვან ეთერში ნებისმიერ მათგანთან და ამას ყველაფერს პირდაპირ ვეტყვი...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S. 3 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხანგრძლივი მსჯელობისა და დროში გაწელილი პროცესების შემდეგ არაკონსტიტუციურად ცნო ის მუხლი, რომლის თანახმად, საპატრიარქო ეკლესია-ტაძრების მშენებლობისას დღგ-ისგან თავისუფლდება. მოსარჩელე მხარეს საქართველოში მოქმედი სხვადასხვა რელიგიური კონფესიები წარმოადგენდნენ, მათ შორის ქართველ მუსლიმთა კავშირი, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია და სხვ.**

**დადგენილების გამოცხადების შემდეგ „ლიბერალი უფლებადამცველები“ სოციალურ ქსელში ხარობდნენ და წერდნენ, რომ „სასამართლომ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო“, თუმცა, როგორც ჩანს, იმ ძირეული საკანონმდებლო რეორგანიზაციის ფარგლებში, რომელიც პარლამენტს, უკვე დიდი ხანია, დაწყებული აქვს, ეს არ არის ერთადერთი „ისტორიული გადაწყვეტილება“, რომელსაც უახლოეს მომავალში ვიხილავთ...**



დავით ჭიჭინაძე:

# როგორც დღეს წიხლავენ თანამდებობიდან წასულ კვირიკაშვილს, ეს ხალხი ოდესმე ასევე ჩაწიხლავს ივანიშვილსაც

**არ ცხრება „ქართული ოცნებიდან“ პარლამენტარ დავით ჭიჭინაძის გარიცხვის გამო ატეხილი სკანდალი, რადგან ირკვევა, რომ უმრავლესობასთან მისი დაპირისპირება მხოლოდ „კოლექტიური ზარდიაშვილების“ ხსენებას არ გამოუწვევია. დავით ჭიჭინაძემ გადაწყვიტა, მხოლოდ პრესასთან ითანამშრომლოს და ამ ფორმით მიმართოს ყოფილი გუნდის წევრებს. რას ედავებოდა პარლამენტარი საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს, ამჯერად „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში საუბრობს.**

**— როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ უკვე მიმართეთ პოლიტსაბჭოს განცხადებით, რათა გადაიხედოს პარტიიდან თქვენი გარიცხვის საკითხი...**

— განცხადება არსად არ შემიტანია... პარტიიდან ჩემი გარიცხვის საკითხი მედიასაშუალებებით შევიტყვე და პასუხსაც მედიასაშუალებით მოვითხოვ. სხვა რამის გაკეთებას არ ვაპირებ. მე არც პარტიაში შესვლაზე დამიწერია განცხადება, ყველაფერი სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა... ან ვინმემ ნახა იმ ხუთი ადამიანის მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომლითაც პარტიიდან გამრიცხეს? — არავის უნახავს. ასე რომ, მეც ანალოგიურად მოვიქცევი — მათ თქვენი დახმარებით მივმართავ, სწორედ ისე, როგორც თვითონ იქცევიან.

**— ბატონო დავით, ბიძინა ივანიშვილმა პირველ არხს ვრცელი სატელევიზიო ინტერვიუ მისცა, სადაც ზუსტად ის თქვა, რაც თქვენ — გუნდის მუშაობა დაიწუნა. თქვენი პარტიიდან გაშვების მიზეზიც კრიტიკა იყო...**

— ბიძინა ივანიშვილს თავისი მოსაზრებები აქვს, მე — ჩემი, მაგრამ ბანკების მიმართ, რომელთა გამოც გამუდმებით ვაწყდებოდი წინააღმდეგობას კომიტეტის სხდომებზე, ჩემი და ბიძინა ივანიშვილის აზრი ემთხვევა.

ბანკებზე ყოველთვის ვამბობდი, რომ მათი განუსაზღვრელი შესაძლებლობები უნდა შეკვეცილიყო, მაგრამ პრემიერი **კვირიკაშვილი** და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ჩემს აზრს არ ითვალისწინებდნენ; მეტიც, ამბობდნენ, რომ ბანკები ცდილობენ, ეკონომიკა წინ წასწიონო და ა.შ. მოკლედ, კვირიკაშვილს, როგორც შემდეგ ყველასთვის შეიქნა ცნობილი, ბანკები ძალიან უყვარდა. გახსოვთ, ალბათ, ბანკირებთან ერთად დადიოდა ყველგან და გვაჯერებდა, რომ სამაგალითონი იყვნენ. პარლამენტი ისეთ კანონებს იღებდა, რომ, ბანკირების გარდა, სხვა ბიზნესმენებს საშუალება არ ეძლეოდათ განვითარების, ფაქტობრივად, **ყველა კანონს, რომელიც პარლამენტში მიიღეს, ბანკირები ლობირებდნენ. ეს ძალიან შესამჩნევი იყო და სულ ვამბობდი, რომ ბანკირები ზღუდავენ საზოგადოებას, ზღუდავენ ეკონომიკის განვითარებას, ბიზნესის დამწყებ ადამიანებს განვითარების შანსს უკარგავენ, რასაც მათი მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვებოდა ხოლმე.** დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრები ყოველთვის ვაპროტესტებდით კანონებს, რომლებიც ბანკების სასარგებლოდ იწერებოდა, ჩვენ მთელი კომიტეტი ერთმანეთის სოლიდარულები ვიყავით, მაგრამ დანარჩენები უჭერდნენ მხარს. **ახლა დაიწყეს კვირიკაშვილის ლანძღვა, მაგრამ ორი წლისა და ხუთი თვის განმავლობაში მის ყველა მოთხოვნას ასრულებდნენ, ხელს უწყობდნენ ქვეყნის დაღუპვას.**

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა უმეტესობა არიან ადამიანები, რომლებიც შემთხვევით აღმოჩნდნენ თანამდებობაზე. ახალგაზრდები, რომლებსაც „კოლექტიური ზარდიაშვილები“ ვუწოდე, მედროვეები არიან, ქართველი ხალხისა და ივანიშვილის ხარჯზე აისრულეს ოცნება, მაგრამ ამავე დროს, ოცნებები დაუნგრიეს ქართველ ხალხს“.**

ბანკები უნდა მოთოკონ! ამას უნდა ხვდებოდეს ყველა პოლიტიკოსი. ამ სისტემას რეგულირება სჭირდება. სხვა შემთხვევაში, მათი მუშაობა და უკიდეგანო შესაძლებლობები ქვეყანაში დაძაბულობას გამოიწვევს და იწვევს კიდეც. ხალხი გაალატაკა ბანკებმა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ვალების გადახდით არის დაკავებული და არა ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნვით. აი, ამაზე ვსაუბრობდი გამუდმებით, რასაც პარტიიდან ჩემი გარიცხვა მოჰყვა.

**— რა როლს ასრულებდა დედაქალაქის მერი კახა კალაძე?**

— კახა კალაძე ხშირად განმუხტავდა ხოლმე დაძაბულ ვითარებას. როდესაც სერიოზულ უსიამოვნებაში გადაიზრდებოდა კამათი, მაშინვე ერეოდა საქმეში და ყველას აწყნარებდა.

**— ხუთეულში, რომელმაც თქვენი პარტიიდან გარიცხვას ხელი მოაწერა, კახა კალაძეც არის...**

— კალაძეზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი. ის ხშირად განმუხტავდა ხოლმე დაძაბულ ვითარებას. როდესაც სერიოზულ უსიამოვნებაში გადაიზრდებოდა კამათი, მაშინვე ერეოდა საქმეში და ყველას აწყნარებდა.

რადგან გამომიშვეს, კალაძის ლანძღვას ვერ დავიწყებ, მაგრამ, როგორც კი რაიმე კომპრომატი ჩამივარდება ხელში ან კალაძის საქმიანობაში გადაცდომას დავინახავ, მასაც იმავეს ვეტყვი, რასაც დანარჩენებს ვეუბნებოდი. ამჟამად კალაძეზე არაფერი მაქვს სათქმელი.

**— უმრავლესობას „კოლექტიური ზარდიაშვილები“ უწოდეთ, რაც შეიქნა თქვენსა და უმრავლესობას შორის განხეთქილების მიზეზი. თუ „ზარდიაშვილი“ ასეთი შეურაცხმყოფელი მიმართვაა და თქვენ სწორედ ეს ბრალდება წაგიყენეს — შეურაცხმყოფელი მიმართვა, მაშინ რატომ უზით ზარდიაშვილი უმრავლესობაში? ვისი მოყვანილია ის?**

— ლოგიკური შეკითხვაა. **რატომ ზის პარლამენტში ზარდიაშვილი, თუ ასეთი ცუდია?** გარდა ამისა, თუკი ცუდ კონტექსტში ნათქვამად ჩათვალეს მისი გვარის ხსენება, შეეძლოთ ჩემთვის სასამართლოში ეჩივლათ. ნორმალურ ქვეყნებში ასე ხდება. პარლამენტარებს შეუძლიათ იჩივლონ და მე პასუხს გავცემდი. ზარდიაშვილის ხსენება და მასთან გაიგივება შეურაცხყოფად მიიღეს, მაგრამ ის გვერდით უზით, მასთან ერთად წყვეტენ ქვეყნისა და პარტიის საკითხებს, ეს ხომ წარმოუდგენელი რამ არის?! **ვერ ვიტან „ნაცმოძრაობის“ წევრებს და იმ ადამიანებს, რომლებიც მათ ემსახურებოდნენ, არ მინდა იმ ხალხის დანახვა, რომლებიც 2012 წელს ჩვენს ამომრჩეველს სასტიკად უსწორდებოდნენ. სამწუხაროდ, ამ ცუდმა ადამიანებმა მოახერხეს და დღეს „ქართული ოცნების“ ფლაგმანებად, ლიდერებად მოგვევლინენ. ასეთია ზარდიაშვილიც.** მე ისინი ვერ შეურაცხმყოფენ, ეს მათ აქვთ საქმე ცუდად და ყველა მართალი სიტყვა სწყინთ. პიროვნულად არასოდეს არავინ მიწყენინებია, კანონპროექტებსა და კანონებზე მიწევდა დავა, ჩემი და მათი ღირებულებები არ ემთხვეოდა ერთმანეთს. **2012 წელს იდეის გარშემო გაერთიანდა ხალხი და არა ზარდიაშვილის, „კოლექტიური ზარდიაშვილების“ და კვირიკაშვილის გარშემო.** ვერ ვხვდები, საიდან მოვიდნენ ეს ადამაინები პარლამენტში. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამომრჩეველი ყველაფერს გასცემს პასუხს, აუცილებლად დადგება ეს დროც.

ხომ ნახეთ და მოისმინეთ, თვითონ ბიძინა ივანიშვილი როგორი უკმაყოფილოა აღმასრულებელი ხელისუფლებითაც და საკანონმდებლო ორგანოთიც. იმაზე მეტი, რაც მან თქვა, რა უნდა ვთქვა?! არადა, გამოდიან პარლამენტარები და აღფრთოვანებულები არიან, რა კარგად ილაპარაკა ივანიშვილმაო; ვერ ხვდებიან, რა თქვა და როგორი უკმაყოფილოა მათი. ხანდახან მგონია, შეგნებულად იქცევიან ისე, რომ ბიძინა ივანიშვილის უკმაყოფილება გამოიწვიონ. მგონია, რომ, როგორც დღეს წიხლავენ თანამდებობიდან წასულ **კვირიკაშვილს**, ისე ჩაწიხლავენ ოდესმე ივანიშვილსაც, ყოველ შემთხვევაში, გულში მაინც ექნებათ ასეთი განზრახვა.

**— ბიძინა ივანიშვილმა თქვა: სასურველია „ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო კანდიდატი არ წამოაყენოსო... მოგწონთ ეს იდეა?**

— ივანიშვილს გული ისე აქვს გატეხილი, რომ ხალხისთვის დაპირების მიცემა აღარ უნდა, რასაც ვეთანხმები. ივანიშვილი ვისაც ენდო, ყველამ უღალატა და ზურგი აქცია. ამომრჩევლის იმედი მაქვს, ვიმედოვნებ, „ნაციონალებს“ ხმას არ მისცემენ და არასოდეს დაუშვებენ, რომ ის რეჟიმი დაბრუნდეს.

**— გამოდის, თქვენ ხალხის იმედი გაქვთ და არა „ქართული ოცნების“...**

— თუ პოლიტიკოსი სწორად ცხოვრობს, ხალხის — ამომრჩევლის — იმედი უნდა ჰქონდეს. ის პოლიტიკოსი და პოლიტიკური პარტია, რომელიც ხალხს არ მოსწონს დიდხანს ვერ იცოცხლებს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა უმეტესობა არიან ადამიანები, რომლებიც შემთხვევით აღმოჩნდნენ თანამდებობაზე. ახალგაზრდები, რომლებსაც «კოლექტიური ზარდიაშვილები» ვუწოდე, მედროვეები არიან, ქართველი ხალხისა და ივანიშვილის ხარჯზე აისრულეს ოცნება, მაგრამ ამავე დროს, ოცნებები დაუნგრიეს ქართველ ხალხს»**



ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ „სამი მილიონ სჩემტოდან“ ნახევარ მილიონზე მეტი ლუკმაპურის საშოვნელად რუსეთშია გადახვეწილი, ერთი ამდენი — ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, დაახლოებით 50 ათასამდე — ამერიკაში და გამოდის, რომ რეალურად აქ 2 მილიონზე ცოტა მეტი ვართ. მითითებული არ არის არც იმ უცხოელთა რაოდენობა, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ, ბინადრობის ნებართვა მიიღეს და ცხოვრობენ. ჰო, ის ადამიანები, რომლებითაც სავსეა დედაქალაქის ქუჩები და თუ დავითვლით, ეგებ კონკრეტულ უბნებში ადგილობრივებზე მეტიც იყვნენ.**

# არ გეშინიათ, ბატონებო, ეს დამშეული ხალხი შინ რომ მოგადგეთ?!

**ვიკიპედიაში საქართველოს შესახებ ინფორმაცია რომ ნახოთ, შეიტყობთ, რომ, 2014 წლის აღწერის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში 3 720 400 ადამიანი ცხოვრობს. ამ „სამი მილიონ სჩემტო“ მცხოვრებთა შორის 86%-ია ქართველი, 2% — აზერბაიჯანელი, 4,5% — სომეხი, ხოლო დანარჩენი — ბერძნები, რუსები, ებრაელები, იეზიდები, ასირიელები... ის, რომ საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, არავინ დავობს და ქვეყანას კარიც არაერთხელ გაუღია უცხოტომელებისთვის და უმასპინძლია კიდეც.**

სანამ აღნიშნული ციფრები გაგაოცებთ, გეტყვით, რომ ეს სტატისტიკა მცდარია. დიახ, სახელმწიფოს მიერ ჩატარებული აღწერის შედეგები ყალბია, რადგან აქ მითითებულია არა ის, რამდენი ადამიანი ცხოვრობს რეალურად საქართველოში, არამედ ის, რამდენი ადამიანია აქ რეგისტრირებული, თორემ **ამ „სამი მილიონ სჩემტოდან“ ნახევარ მილიონზე მეტი ლუკმაპურის საშოვნელად რუსეთშია გადახვეწილი, ერთი ამდენი — ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, დაახლოებით 50 ათასამდე — ამერიკაში და გამოდის, რომ რეალურად აქ 2 მილიონზე ცოტა მეტი ვართ. მითითებული არ არის არც იმ უცხოელთა რაოდენობა, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ, ბინადრობის ნებართვა მიიღეს და ცხოვრობენ. ჰო, ის ადამიანები, რომლებითაც სავსეა დედაქალაქის ქუჩები და, თუ დავითვლით, ეგებ კონკრეტულ უბნებში ადგილობრივებზე მეტიც იყვნენ.**

**ქართველები საქართველოში 86%-იც რომ აღარ ვართ, ყველაზე კარგად ხელისუფლებამ იცის,** მაგრამ ფონს უფრთხილდებიან, პროტესტის ეშინიათ და ამიტომ აქვეყნებენ ამ ყალბ ციფრებს. და, თუ ვინმე გააპროტესტებს, ეტყვიან, რომ ოფიციალურად ასეა და არაოფიციალურ ინფორმაციას ვერ გაავრცელებენ. ქართველ ერს გადაშენების საფრთხე რომ ემუქრება, საერთაშორისო კვლევებითაც დასტურდება. არაერთხელ გამოაქვეყნეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა იმ ერების სია, რომლებიც გადაშენების რეალური საფრთხის წინაშე უკვე 2050 წელს დადგებიან. მათ შორის ქართველებს მოწინავე პოზიციები გვიკავია.

დემოგრაფიული საფრთხე ყველაზე პირველმა პატრიარქმა იგრძნო. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ამიტომ მოიფიქრა პროექტი, ყოველ მესამე შვილს მე მოგინათლავთო და ერი წაახალისა. მოიკითხეთ საახლობლო-სამეგობროში, რამდენმა ოჯახმა გააჩინა მესამე შვილი მხოლოდ იმიტომ, რომ პატრიარქი მონათლავდა და მისი უწმინდესობის მადლი გადავიდოდა მათ ოჯახებზე. მაგრამ **მხოლოდ პატრიარქი ამ პრობლემას ვერ გამოასწორებს, მხოლოდ ის ვერ მოერევა იმას, რასაც სახელმწიფო ელემენტარულ ყურადღებას არ აქცევს და, მრავალშვილიან ოჯახებს თვეში ათ ლარს რომ უმატებს თითო ბავშვზე, დაცინვა და აბუჩად აგდებაა, სხვა არაფერი.**

ისევ სტატისტიკას დავუბრუნდეთ. ოფიციალური მონაცემებით, ბოლო 5 წელიწადში, საქართველოში განქორწინების 46 031 შემთხვევა აღირიცხა. ეს მაჩვენებელი წლების მიხედვით ასე გამოიყურება: 2017 წელს იყო განქორწინების 10 222 შემთხვევა, 2016 წელს – 9 539, 2015 წელს – 9 112, 2014 წელს – 9 119 და 2013 წელს – 8 039.

რაც შეეხება ქორწინებას, ბოლო 5 წლის მონაცემებით, ქორწინების მაჩვენებელი შეადგენს 144 161-ს. კერძოდ, 2017 წელს 23 684 წყვილი დაქორწინდა, 2016 წელს — 25 101, 2015 წელს — 29 157, 2014 წელს — 31 526 და 2013 წელს — 34 693.

აღსანიშნავია, რომ განქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისშია, შემდეგ იმერეთის რეგიონი მოდის. 2017 წელს თბილისში 3 731 წყვილი განქორწინდა, იმერეთის რეგიონის სხვადასხვა ქალაქში – 1 739.

ეს ოფიციალური ციფრებია, რომლებსაც ვერსად გავექცევით და, წლების მიხედვით თუ გავაანალიზებთ, კატასტროფული შედეგები გვაქვს: **2013 წელს საქართველოში 34693 წყვილი დაქორწინდა, 2017 წელს — 23 684, ანუ 11009 ოჯახით ნაკლები შეიქმნა. მარტივად რომ ვთქვათ, 2018 წელს, სულ ცოტა, 10 ათასი ბავშვით ნაკლები დაიბადება საქართველოში. სამომავლოდ ეს ციფრი გეომეტრიული პროგრესიით რომ წავა კლებისკენ, ადვილი მისახვედრია.**

და რას ვაკეთებთ ამ სტატისტიკის გასაუმჯობესებლად? — ერთ სიტყვაში ეტევა ყველაფერი, რასაც სახელმწიფო ამ მიმართულებით აკეთებს — არაფერს! დიახ, არაფერს, ბატონებო, საერთოდ არაფერს!

წლიდან წლამდე გვესმის დაპირება, რომ ეს სფერო დასახვეწია, რომ არის ხარვეზები კანონში, რომ სოციალურად დაუცველ ოჯახებს ხანდახან კომპიუტერი უნიშნავს ყოველთვიურად 12-ლარიან დახმარებას (სამ სულზე 12 ლარს და ეს დადასტურებული ფაქტია), ადამიანური ფაქტორებია გასათვალისწინებელი და ამას ვერ ითვალისწინებენ, რადგან, **თუ ელექტროენერგიის დანახარჯი გადასცდა დაშვებულ ზღვარს, მაშინ ოჯახს სოციალურ დახმარებას უწყვეტენ და იყო შემთხვევა, როცა ოჯახის უფროსი გარდაიცვალა, ცხედარს სპეციალურ მაცივარში ინახავდნენ სამ დღეს და ამის გამო მრიცხველმა დასაშვებზე მეტი დაწერა, ოჯახმა კი, მარჩენალდაკარგულმა ოჯახმა, უკვე სოციალური დახმარებაც დაკარგა.**



## ნორმალურ ადამიანს დღეში 1,18 ლარის პროდუქტი ჰყოფნისო... და თქვენ არანორმალურები ხართ, 6 თვეში ორი ათასამდე კაცმა 4 მილიონი რომ ვერ იმყოფინეთ?



ასეთ პირობებში ძნელია იმის მოსმენა, რომ გასული ექვსი თვის განმავლობაში ადმინისტრაციულ ხარჯებში, ანუ პურ-მარილში ხელისუფლებამ ოთხ მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. გასაგებია, რომ დელეგაციებს გამასპინძლება უნდა. გაუმასპინძლდნენ. ამაზე არავინ დავობს, მაგრამ მუნიციპალიტეტების პირველი პირები, საძმაკაცოსთან ერთად, კვირაში ორჯერ 2-3-ათასლარიან ქეიფებს რომ „არტყამენ“ და ხალხის ხარჯზე ივსებენ სტომაქს, ესეც უცხოური დელეგაცია და ევროპის მასშტაბით თავის მოჭრა ხომ არ არის?! **რომ ამბობენ ხელისუფალნი, სოციალური პროგრამებისთვის თავისუფალი ფული არ რჩებაო, აგერ, ქეიფებიდან, სულ ცოტა, 2 მილიონის ამოღება შეიძლება, თვეში ორი ტონა საწვავი რომ მიდის თითო მანქანაზე, მაგის შემცირებაც შეიძლება...** ან სულაც ხორვატიის პრეზიდენტისგან მაგალითის აღება, როცა გაპრეზიდენტების შემდეგ, პრეზიდენტის კუთვნილი თვითმფრინავი 15 მილიონად გაყიდა და თანხა ბიუჯეტში შეიტანა. ხედავთ, რა მარტივია, ბატონებო? **სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ნაყიდი „ფორმულა-1“-ის ბოლიდები, რომლის მოვლა-პატრონობაც მარნეულის მუნიციპალიტეტს ჰქონდა ბიუჯეტში გათვალისწინებული, სად არის? რატომ არ ყიდით აუქციონზე? ან იმ კატარღებს, მიშა რომ დასეირნობდა და... ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რომ იყო ის კატარღები, სად არის?! ან ახმეტის მუნიციპალიტეტი რომ უვლიდა მაღალი გამავლობის 44 ჯიპს და ახმეტაში ეს მანქანები თვალითაც არავის უნახავს, სად არის?!** ამოიღეთ, გაყიდეთ, ბიუჯეტში შეიტანეთ ფული და ის პრობლემა მოაგვარეთ, რომელსაც ქვეყნის გადარჩენა ჰქვია. **თითო ოჯახს ყოველ მესამე შვილზე სოლიდური თანხა რომ დაუწესოთ, იმდენი მაინც, რომ ბავშვი სასკოლო ასაკამდე უზრუნველყოფილი იყოს, როგორ გგონიათ, არ ექნება შედეგი?** ექნება და მერე როგორი, მაგრამ არ გინდათ, **არ გცალიათ თქვენ ჩვენი შვილებისთვის, რადგან ყველა თქვენგანს დეკლარაციაში უწერია, რომ შვილი საზღვარგარეთ ან პრესტიჟულ სკოლაში სწავლობს, სწავლის გადასახადი რამდენიმე ათასი ლარია და, ჩვენს შვილებს რომ დაახარჯოთ ბიუჯეტი, მერე თქვენებს რა ეშველებათ, რიგითი მოკვდავებივით ხომ არ ივლიან რიგით სკოლებში და რიგით უმაღლეს სასწავლებლებში?!** ეს არის, ბატონებო, მთავარი მიზეზი და არა ის, რომ ქვეყანას ფული არ აქვს. თქვენ ქვეყნის განვითარება-გაძლიერებაში არ გსურთ ფულის გაღება, მხოლოდ საკუთარი მომავლის გასაძლიერებლად ზრუნავთ და ამისთვის არც თავს ზოგავთ, არც ქვეყნის ბიუჯეტს და არც ჩვენს ნერვებსა და ჯანმრთელობას.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ ხელისუფლება აღიარებს: უარესობისკენ მივდივართ, პრობლემების შესახებ ვიცით, ხარვეზები გვაქვს აღმოსაფხვრელი კანონმდებლობაშიო და, აგერ უკვე მეექვსე წელია, ვერ აღმოფხვრეს. ვერ შეიმუშავეს კანონი, რომელიც წაახალისებდა მრავალშვილიან ოჯახებს. პირიქით, **ისეთი კანონები მიიღეს, თავმოყვარეობას ეხებიან, სულში აფურთხებენ და გმირ დედებს ცხოვრების ხალისს უკარგავენ. თვითონ განსაჯეთ:**

ექვსი შვილის დედას რომ ეტყვიან, დახმარება გერგება და თვის ბოლოს ბანკში დაგერიცხებაო და იქ მისულს 50 ლარიც არ ხვდება... **ექვსი შვილი 50 ლარად თვეში როგორი სარჩენია, როგორი შესანახია, როგორი გამოსაკვები?!** და ამ დროს ტელეეთერში რომ გამოვლენ და გეტყვიან: ნორმალურ ადამიანს დღეში 1,18 ლარის პროდუქტი ჰყოფნისო... და თქვენ არანორმალურები ხართ, 6 თვეში ორი ათასამდე კაცმა 4 მილიონი რომ ვერ იმყოფინეთ? თუ ადამიანების მოთმინებას ცდით ბოლომდე?!

ვინც არ იცის, ვეტყვით: გადმოცემის თანახმად, **ციხის საჭმელს ბალანდა შემდეგი მიზეზის გამო დაერქვა. უკრაინაში იყო ციხის უფროსი გვარად ბალანდა, რომელიც პატიმრებს სასტიკად ეპყრობოდა და აშიმშილებდა. ერთ დღესაც შიმშილით შეწუხებულმა პატიმრებმა ციხის უფროსი დაკლეს, მისგან წვნიანი მოამზადეს და შეჭამეს. ამის შემდეგ დაერქვა ციხის საკვებს ბალანდა.**

არ გეშინიათ, ბატონებო, ეს დამშეული ხალხი შინ რომ მოგადგეთ და ისედაც მდიდარ ქართულ სუფრას კიდევ რამდენიმე სახეობისა და სახელობის „კერძი“ რომ შემატონ?!

**თითო ოჯახს ყოველ მესამე შვილზე სოლიდური თანხა რომ დაუწესოთ, იმდენი მაინც, რომ ბავშვი სასკოლო ასაკამდე უზრუნველყოფილი იყოს, როგორ გგონიათ, არ ექნება შედეგი? ექნება და მერე როგორი, მაგრამ არ გინდათ, არ გცალიათ თქვენ ჩვენი შვილებისთვის, რადგან ყველა თქვენგანს დეკლარაციაში უწერია, რომ შვილი საზღვარგარეთ ან პრესტიჟულ სკოლაში სწავლობს, სწავლის გადასახადი რამდენიმე ათასი ლარია და, ჩვენს შვილებს რომ დაახარჯოთ ბიუჯეტი, მერე თქვენებს რა ეშველებათ, რიგითი მოკვდავებივით ხომ არ ივლიან რიგით სკოლებში და რიგით უმაღლეს სასწავლებლებში?!**

**ბესო ბარბაქაძე**

„თქვა, 2003 წლის რევოლუციით აღფრთოვანებული ვიყავიო. „ვარდების რევოლუციით“ იმხანად აღფრთოვანებული არ ყოფილა მოაზროვნე საზოგადოება, რადგან აშკარად ჩანდა, რომ ავანტიურისტები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში. ადამიანმა, რომელმაც ვერ შეამჩნია, რომ ხელისუფლებაში ავანიურისტები მოვიდნენ, პოლიტიკაზე არ უნდა ილაპარაკოს. კიდევ გვითხრა, რომ 2012 წლის შემდეგ ნამდვილი ეკონომიკური აღმავლობა გვაქვსო. ...ეკონომიკურ აღმავლობას ხალხის შემოსავლების ზრდა თუ არ სდევს თან, რა ეკონომიკური აღმავლობაა?! თუ ხალხის შემოსავლების ზრდას იმას ეძახის, ათასი ჯურის სახელმწიფო მოხელეები ხელფასებს რომ იმატებენ? რა, სახელმწიფო მოხელე თუ არ ვარ, ადამიანიც აღარ ვარ?! თუ ეკონომიკა იზრდება, სად მიდის ამ ზრდის შედეგად მიღებული ფული? რატომ იზრდება ფასები ყველაფერზე ან რატომ იზრდება ქვეყნის საგარეო ვალი?“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ტარიელ სუხიაშვილი:

# ფარატინა ქაღალდი გაცილებით მეტს ნიშნავს მთავრობისთვის, ვიდრე ადამიანი

**„ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა, ყოფილმა პრემიერმინისტრმა, შემდეგ „მოქალაქემ“ და ახლა უკვე პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში დაბრუნების შემდეგ პირველი სატელევიზიო ინტერვიუ საზოგადოებრივ მაუწყებელს მისცა.**

ივანიშვილის ინტერვიუს დიდი ნაწილი ქვეყანაში არსებულ სიღარიბესა და დემოკრატიას შორის არაპროპორციულობასა და **გიორგი კვირიკაშვილთან** კონფლიქტს მიეძღვნა. ივანიშვილმა არაფორმალურ მმართველობაზეც ილაპარაკა და „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატზე განსხვავებული პოზიციაც გამოთქვა. ივანიშვილის ინტერვიუ 24 ივლისს გავიდა სატელევიზიო ეთერში და ერთ კვირაზე მეტია, მხოლოდ ამ ინტერვიუზე მსჯელობენ. საზოგადოებამ მოისმინა თითქმის ყველა პოლიტიკოსის აზრი ბიძინა ივანიშვილის გამოსვლაზე, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს, ალბათ, არ მოუსმენია, რას ამბობენ მასზე და მის მოსაზრებებზე საზოგადოების რიგითი წევრები, მოქალაქეები, რომელთა სახელით, როგორც თვითონ განაცხადა, მართავს ქვეყანას.

**გვესაუბრება გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთგული მკითხველი, თბილისელი ტარიელ სუხიაშვილი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აქტიურად ადევნებს თვალს:**

— სანამ ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუზე დავიწყებ საუბარს, მინდა, ზოგადად მიმოვიხილო ვითარება.

2011 წელს ივანიშვილის გააქტიურებისა და კულუარებიდან გამოსვლის მიზეზი იყო ის, რომ დასავლურ ძალებს კრიზისი შეექმნათ. სააკაშვილის გუნდი გაკოტრდა და ის ნებისმიერი გზით უნდა მოეშორებინათ. დასავლეთს ეშინოდა, რომ ხელისუფლებაში მოვიდოდა ეროვნულ-კონსერვატიული ძალა, ამიტომ საჭირო შეიქნა, წინა პლანზე წამოეწიათ კარგად დაფინანსებული სხვა პოლიტიკური გუნდი; ძალები, რომლებიც თავის დროზე სააკაშვილთან იყვნენ და მერე გაეცალნენ, თავისთან გადაიყვანეს, რადგან მათაც კარგად იცოდნენ ადამიანებით მანიპულირების ტექნოლოგიები. „ოცნებაში“ გაერთიანდნენ „ჭრელი“ ადამიანები, მათ შორის ცოტა ე.წ. ეროვნულებიც, და ადვილად შეძლეს განზრახვის შესრულება — სააკაშვილის მოშორება.

„ოცნებაც“ და „ნაცმოძრაობაც“ ერთგულნი არიან იმ კურსის, რომ არ გაჭაჭანდეს ეროვნული და კონსერვატორული იდეის გამტარებელი არც ერთი ძალა.

**ბიძინა ივანიშვილის** დაბრუნება ქვეყანაში არსებულმა პრობლემებმა განაპირობა. „ოცნებამ“ ვერ შეასრულა დაპირებები, ქვეყანაში გაუსაძლისი ეკონომიკური მდგომარეობაა, არჩევნებიც კარს მოადგათ და ივანიშვილმა საჭიროდ ჩათვალა პირადი რესურსის გამოყენება. სამწუხაროდ, მას ეს რესურსი კიდევ შერჩა.

**— ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუში რომელმა საკითხებმა მიიპყრო თქვენი ყურადღება?**

— უპირველესად იმან, რომ თურმე გასაოცარი დემოკრატია გვაქვს. ივანიშვილმა აღნიშნა, ღარიბი ქვეყანა ვართ, მაგრამ ევროპული სტანდარტებით ვცხოვრობთო, რაც წარმოუდგენელი შეუსაბამობაა. **არ შეიძლება ადამიანი 24 საათის განმავლობაში კუჭის ამოვსებაზე ფიქრობდეს და ღირებულებებსაც ქმნიდეს.** ისაუბრა დემოკრატიაზე, თუმცა ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. **ივანიშვილმა თქვა: ადამიანის დაცვის უმაღლესი ხარისხი გვაქვსო, მაგრამ, როგორც ცნობილია, ადამიანის უპირველესი უფლება სიცოცხლისა და შრომის უფლებებია. ამ მხრივ კი დაცულები არ ვართ. თოფს არ გვესვრიან, მაგრამ შეიძლება შიმშილმა მოგვიღოს ბოლო, რადგან შრომის უფლება წაგვართვეს.**

**«ივანიშვილმა განაცხადა, ბანკებმა ქვეყანა გადაჭამესო. თუკი ბანკებმა ქვეყანა გადაჭამეს და ამას ხვდება, რა უშლის ხელს, რომ მათი თავნებობა აღკვეთოს?! ივანიშვილს აქვს თავისი ბანკი და შეუძლია კონკურენცია გაუწიოს სხვა ბანკებს, შესთავაზოს ხალხს უკეთესი პაკეტი, დაბალი პროცენტი. ხომ დაგვპირდა საარჩევნოდ, რატომ არ გააკეთა?»**

ივანიშვილმა თქვა ძალიან საინტერესო რამ: მაისში ეკონომიკა 7,5 პროცენტით გაიზარდაო. ამჟამად ისეთი მაჩვენებელი, რაც ივანიშვილმა თქვა, მსოფლიოში ერთ-ორ ქვეყანას თუ ექნება. მან ახსნა ასეთი მატების მიზეზი და თქვა: ეს ჩინეთთან ვაჭრობის შედეგად მოხდაო, რაც ახალდანიშნულ პრემიერს მიაწერა. თურმე **მამუკა ბახტაძემ**, რომელმაც ფინანსთა მინისტრად ერთ თვეს იმუშავა, 7,5 პროცენტით გაზარდა ეკონომიკა. საინტერესოა, როგორ მოახერხა ბახტაძემ ეს?

**— ვინ-ვინ და ბიზნესმენმა კაცმა უნდა იცოდეს პროცენტების დათვლა. რატომ გვითხრა ასეთი ტყუილი?**

— ამაზე პასუხი მარტივია: ბახტაძე შეაქო და, თქვენ წარმოიდგინეთ, მისი სიტყვები ხალხმა დაიჯერა.

მაგრამ იმაზე არავინ არ ფიქრობს, რომ, თუ ეკონომიკა ასე მაღალია, მაშინ ქვეყანაში ფული უნდა ტრიალებდეს და წესით, დოვლათი უნდა იქმნებოდეს. არავინ ფიქრობს, რომ ერთ თვეში ამის შექმნა წარმოუდგენელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთი საწარმოც კი არ არის ქვეყანაში.

**ივანიშვილმა განაცხადა, ბანკებმა ქვეყანა გადაჭამესო. თუკი ბანკებმა ქვეყანა გადაჭამეს და ამას ხვდება, რა უშლის ხელს, რომ მათი თავნებობა აღკვეთოს?** მარტივად შეუძლია ამ პრობლემის მოგვარება. ივანიშვილს აქვს თავისი ბანკი და შეუძლია კონკურენცია გაუწიოს სხვა ბანკებს, შესთავაზოს ხალხს უკეთესი პაკეტი, დაბალი პროცენტი. ხომ დაგვპირდა საარჩევნოდ, რატომ არ გააკეთა? პრობლემაც მოგვარდება და ხალხიც დაუჯერებს, რომ მას აწუხებს ბანკების ვალების პრობლემა. მისი ბანკიც ისეთივეა, როგორიც სხვები. „ქართუში“ რიგითი მოკვდავი ვერ შევა, დამიჯერეთ, მაქვს ამის გამოცდილება. ევროპას ვუტოლდებით ღირებულებებითო, — ამბობს, მაგრამ ევროპაში არ არის ამხელა პროცენტები, როგორიც ჩვენთან — ამ გაღატაკებულ ქვეყანაში. ასე რომ, აქაც მოგვატყუა ივანიშვილმა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისი ინტერვიუდან მომენტი, როდესაც თქვა, 2003 წლის რევოლუციით აღფრთოვანებული ვიყავიო. **„ვარდების რევოლუციით“ იმხანად აღფრთოვანებული არ ყოფილა მოაზროვნე საზოგადოება, რადგან აშკარად ჩანდა, რომ ავანტიურისტები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში. ადამიანმა, რომელმაც ვერ შეამჩნია, რომ ხელისუფლებაში ავანიურისტები მოვიდნენ, პოლიტიკაზე არ უნდა ილაპარაკოს.**

ხო, კიდევ გვითხრა, რომ 2012 წლის შემდეგ ნამდვილი ეკონომიკური აღმავლობა გვაქვსო. ეს აშკარად თვალებში ნაცრის შეყრაა, რადგან **იშვიათად თუ იპოვით ადამიანს, რომელმაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ შვება იგრძნო და ეკონომიკურად მოძლიერდა. არაფერს წარმოადგენდა ხალხი მანამდეც და არაფერს წარმოდგენს ახლაც. ფარატინა ქაღალდი გაცილებით მეტს ნიშნავს მთავრობისთვის, ვიდრე ადამიანი. დავუშვათ და, გვაქვს ეკონომიკური აღმავლობა, ეკონომიკურ აღმავლობას ხალხის შემოსავლების ზრდა თუ არ სდევს თან, რა ეკონომიკური აღმავლობაა?! თუ ხალხის შემოსავლების ზრდას იმას ეძახის, ათასი ჯურის სახელმწიფო მოხელეები ხელფასებს რომ იმატებენ? რა, სახელმწიფო მოხელე თუ არ ვარ, ადამიანიც აღარ ვარ?! თუ ეკონომიკა იზრდება, სად მიდის ამ ზრდის შედეგად მიღებული ფული? რატომ იზრდება ფასები ყველაფერზე ან რატომ იზრდება ქვეყნის საგარეო ვალი?**

**«რასაც გარე ძალები გავალებენ, შენ კი მთავრობას აკეთებინებ, ხალხის ნებას არ უნდა მიაწერო»**

ბიძინამ ხაზი გაუსვა ქვეყანაში არსებულ სტაბილურ მდგომარეობას და იქვე ჩაურთო: 2030 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 12 ათას ლარამდე გაიზრდებაო. თურმე დღეს, მისივე განცხადებით, ეს მაჩვენებელი 4 500 ყოფილა. მოკლედ, 2030-ისთვის სამჯერ მეტი მშპ გვექნება. ამისთვის ივანიშვილს კიდევ 12 წელი დასჭირდება. 6 წელიწადი გავიდა და არ ვიცით, სად რამ მოიმატა, მაგრამ, ცხოვრება ერთი-ორად რომ გაჭირდა, ფაქტია. ვფიქრობ, **ბიძინა ივანიშვილის გეგმის განხორციელებამდე სული არ მიგვყვება.**

ბიძინამ თქვა, რომ მას არაფორმალურ მმართველობას აბრალებენ; რომ მას საზოგადოების მაღალი ნდობა აქვს და, თუ ვინმეს შენიშვნას აძლევს, ამას ხალხის სახელით აკეთებს. **ოღონდ არ დაუკონკრეტებია, რომელი ხალხის სახელით, რადგან პარლამენტში მიღებული არც ერთი კანონი ხალხის მოთხოვნას არ შეესაბამება. ხალხის ნება სხვაა, ბიძინასი და მთავრობისა — სხვა.** შორს რომ არ წავიდეთ, სულ ახლახან რატომ არ მისცა ხალხის სახელით შენიშვნა პარლამენტს, როცა მან სახალხო დამცველის, სინამდვილეში სოროსის ემისრის, ლომჯარიას მავნებლური რეკომენდაციები კანონპროექტში შეიტანა? რატომ არ მისცა შენიშვნა ხალხის სახელით საკონსტიტუციო სასამართლოს, როცა ამ ორი დღის წინათ ამ უკანასკნელმა ნარკოტიკის ლეგალიზაციას აუნთო მწვანე შუქი? ან როცა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ათასი ჯურის სექტანტებს გაუთანაბრა მათივე მოთხოვნით? სად იყო ხალხის სახელით მოსაუბრე ივანიშვილი ამ დროს? მართალია, მას მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაუჭირა მხარი, მაგრამ ეს მხარდაჭერა ბოროტად გამოიყენა. **რასაც გარე ძალები გავალებენ, შენ კი მთავრობას აკეთებინებ, ხალხის ნებას არ უნდა მიაწერო.** პარლამენტში არ განხილულა საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არც ერთი საკითხი.

ისაუბრა ხეების გადარგვაზეც, რაც ყბადაღებული თემაა. თქვა, რომ ხეების გადარგვაში არ აქვს ჩადებული ბიზნესინტერესები და იქვე დასძინა, 14 მილიონი ჩავდე ამ საქმეშიო, აქედან 5 მილიონი გზების რეაბილიტაციას მოვახმარეო, ტექნიკაც შემოვიყვანე, რომელიც საქართველოს დარჩებაო. დენდროლოგიურ პარკსაც სახლში არ წავიღებ და ხალხს დარჩებაო. კი, ეს ასეა, სახლში არაფერს წაიღებს, მაგრამ, თუ თვითონვე აღიარებს, რომ უაღრესად გაჭირვებული ქვეყანა ვართ, ტოტალური უმუშევრობაა, რატომ არ იფიქრა, რომ ხალხს ერჩივნა, ნაცვლად ბაღისა, რომელზეც მილიონებს ხარჯავს, რამდენიმე რაიონში მინიქარხნები აეშენებინა?! ხალხი დასაქმდებოდა, სტიმული მიეცემოდა მოსავლის მოყვანის და ა.შ. თუ ქვეყნისთვის სიკეთე გსურს და საშუალებაც გაქვს, ეს უნდა გააკეთო, რადგან მშიერ ადამიანს დენდროლოგიური პარკისთვის არ სცხელა.

**«ივანიშვილმა თქვა: ადამიანის დაცვის უმაღლესი ხარისხი გვაქვსო, მაგრამ, როგორც ცნობილია, ადამიანის უპირველესი უფლება სიცოცხლისა და შრომის უფლებებია. ამ მხრივ კი დაცულები არ ვართ. თოფს არ გვესვრიან, მაგრამ შეიძლება შიმშილმა მოგვიღოს ბოლო, რადგან შრომის უფლება წაგვართვეს»**

ივანიშვილმა ისაუბრა პრეზიდენტის არჩევნებზეც. ხელისუფლებაში მყოფი ძალა, როგორც წესი, ისეთ პოსტს, როგორიც არის პრეზიდენტის, არ თმობს, მაგრამ ესენი ჰარიჰარალეზე საუბრობენ. მიზეზი ამისა არის ის, რომ ქვეყანაში მომდევნო წლებშიც არაფერი გაკეთდება სასიკეთო, შესაძლოა, სიტუაცია გაუარესდეს კიდეც. არადა, მთავრობა მათია, საკანონმდებლო ორგანოც და, თუკი მომავალი პრეზიდენტიც მათი იქნება, ხელს ვერავისკენ გაიშვერენ. **ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ გუნდი პრეზიდენტს არ დაასახელებს, იყო ერთგვარი მანევრი, აიცილოს ხალხის რისხვა და „ქართულ ოცნებას“ საშუალება მიეცეს, თითი სხვისკენ გაიშვიროს.**

მოკლედ, ბიძინა ივანიშვილის ბოლო სატელევიზიო გამოსვლა მიმართული იყო მოსახლეობის დამშვიდებისკენ, იმედის ჩასახვისა და დროის მოგებისკენ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

მოტივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ, რომელიც საჯარო პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნებით და გიორგი კვირიკაშვილის გადადგომით დასრულდა, „ქართული ოცნების“ ლიდერი, შესაძლოა, მივიდა დასკვნამდე, რომ ის ჯგუფები, რომლებიც ახლა პარტიაში დომინირებენ, არასაკმარისად საიმედო დასაყრდენია და მან ახალი უნდა შექმნას. პრეზიდენტის პოსტზე ფორმალურად დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერა ამ კონტექსტში სავსებით ლოგიკურია.**

# ქართული დემოკრატიის ხელოვნური განაყოფიერება

## რა შედეგით შეიძლება დასრულდეს ივანიშვილის ექსპერიმენტი?

**მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა ურჩია „ქართულ ოცნებას“, პრეზიდენტობის კანდიდატი არ დაასახელოს, არჩევნებმა, რომლის ბედს თითქმის ყველა გადაწყვეტილად თვლიდა, მოულოდნელად ინტრიგა შეიძინა. რა მოტივი ამოძრავებდა ივანიშვილს და რა შედეგით შეიძლება დასრულდეს მისი ექსპერიმენტი?**

„თუ ჭეშმარიტად გვსურს, რომ საქართველო დემოკრატიული მიმართულებით სწრაფად განვითარდეს, მე პოზიცია მაქვს, რომ გუნდიდან არ დავასახელოთ კანდიდატი. არ დავასახელოთ ელემენტარული მიზეზის გამო, ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის უფრო კარგი იქნება, რომ ან დამოუკიდებელ კანდიდატს დავუჭიროთ მხარი, სამწუხაროდ, პარტიებიდან ვერავის დავუჭერთ მხარს და, თუ არ იქნება ღირსეული კანდიდატი, მაშინ არც არავის დავუჭიროთ და ოპოზიციამ წაიღოს და გაინაწილოს ეს ინსტიტუტი. პოზიცია ძალიან მარტივია, დღეს გამგებლით დაწყებული, პრემიერმინისტრის ჩათვლით, ეკუთვნის „ქართულ ოცნებას“, ასევე, პარლამენტში ჩვენ გვაქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა, ეს ცოტა ველურად ჟღერს ევროპაში. ევროპას მოსწონს მრავალპარტიულობა, სამწუხაროდ, ისევე, როგორც ეკონომიკა, ღარიბია ჩვენი პოლიტიკური ისტემბლიშმენტი, ესეც საჭიროებს განვითარებას. ამ ფონზე, ქვეყნისთვის, ჩემი აზრით, უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი კანდიდატი არ დაასახელოს“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ამის თაობაზე მედიასა და სოციალურ ქსელებში რამდენიმე ვერსია გაჩნდა:

**პირველი** ვერსიის თანახმად, **ივანიშვილს ამის გაკეთება დასავლელმა პარტნიორებმა მოსთხოვეს** და სწორედ ამაზე მიანიშნებს აპელირება „ევროპის“ მიმართ;

**მეორე**, ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, **ივანიშვილს, უბრალოდ, სურს, შეალამაზოს დემოკრატიული ფასადი, თორემ ფორმალურად დამოუკიდებელი კანდიდატი მის მიმართ ლოიალური იქნება.**

არის შედარებით ჩახლართული ვერსიებიც, მაგალითად, იმასთან დაკავშირებით, რომ **ივანიშვილი მიხვდა, რომ ფაქტობრივი ერთპარტიულობა, რომელიც თანამედროვე საქართველოში ტრადიციად იქცა, დამღუპველია მისი ხელისუფლებისთვის, ამიტომ ცდილობს, პოლიტიკური სპექტრი გადააწყოს, კონკურენტული მრავალპარტიული გარემო შექმნას და, შესაძლოა, 2020 წლიდან კოალიციურ მმართველობაზე გადავიდეს.**

არც ერთი ჩამოთვლილი ვერსიიდან მტკიცებულებებით გამყარებული არ არის. ხშირ შემთხვევაში კომენტატორები, უბრალოდ, ივანიშვილს საკუთარ სურვილებსა და ვარაუდებს მიაწერენ. მაგალითად, **„ევროპული საქართველოს“ ზოგიერთი მხარდამჭერი სოცქსელებში წერს, რომ ივანიშვილი აპირებს, ხელისუფლება თანდათან მათ გადააბაროს,** ხოლო მათი მოწინააღმდეგეების მნიშვნელოვანი ნაწილი ამას სრული სერიოზულობით აღიქვამს.

საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ პრეზიდენტი, ერთი შეხედვით, საბოლოოდ გადაიქცა „საპატიო ნოტარიუსად“, თუმცა სომხეთში ახლახან განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ კრიზისის პირობებში უუფლებო პრეზიდენტის მნიშვნელობა შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს. ხელისუფლების შეცვლის პროცესში არმენ სარქისიანმა ერთ-ერთი საკვანძო როლი შეასრულა. პრეზიდენტი შეიძლება იქცეს ცენტრალურ ფიგურად სხვა კრიზისულ სიტუაციებში, ომისა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს. ის წარმოადგენს ქვეყანას საერთაშორისო არენაზე და შეიძლება მოუწიოს არა მხოლოდ ცერემონიალური როლის შესრულება, არამედ საკმაოდ რთული მოლაპარაკების გამართვაც; მაგალითად, ვლადიმერ პუტინთან, თუ რუსეთი და საქართველო პირდაპირ დიალოგს დაიწყებენ. და ბოლოს, მას გახლეჩილი საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტისთვის მედიატორის როლის შესრულება უნდა შეეძლოს.

მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში მისი ურთიერთობა მმართველი პარტიის ხელმძღვანელობასთან საკმაოდ რთული იყო. ამან გამოიწვია კონფლიქტების მთელი სერია (ვინ უხელმძღვანელებს დელეგაციას? ვინ მოაწერს ხელს? და ა.შ.). მარგველაშვილისა და ღარიბაშვილის დაპირისპირების შედეგად ქვეყანაში ორი „პარალელური“ უშიშროების საბჭო შეიქმნა. მარგველაშვილს ჰყოფნიდა კეთილგონიერება (ან არ ჰყოფნიდა სითამამე) იმისთვის, რომ რადიკალურ დაპირისპირებაზე წასულიყო. ერთ-ერთი ბოლო მაგალითი აჭარის მთავრობის მეთაურის პოსტზე თორნიკე რიჟვაძის დანიშვნას უკავშირდება. მარგველაშვილი და მისი გარემოცვა თითქოს მიანიშნებდნენ, რომ პრეზიდენტმა შეიძლება „ქართული ოცნების“ აზრი უგულვებელყოს და სხვა კანდიდატი დაასახელოს. ამ და სხვა მსგავსი ეპიზოდების იურიდიული მხარის ანალიზს მარტივ დასკვნამდე მივყავართ: უფლებაშეზღუდულ პრეზიდენტს მაინც რჩება საკმარისი ბერკეტები იმისთვის, რომ მწვავე კრიზისი გამოიწვიოს.

მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ არჩევნებში გამარჯვების (ანუ გრიგოლ ვაშაძის გაპრეზიდენტების) შემდეგ ივანიშვილს „ქართუ“ ბანკს ჩამოართმევს, ქონებას დაუყადაღებს და ა.შ. პრეზიდენტს ამის უფლება, რა თქმა უნდა, არ აქვს, თუმცა სააკაშვილი, როგორც ჩანს, პრეზიდენტის ინსტიტუტს უყურებს, როგორც ინსტრუმენტს, რომელიც კრიზისის მოწყობის და ხელისუფლებაში დაბრუნების შესაძლებლობას მისცემს. ამგვარად, ამ პოსტზე „ქართულ ოცნებასთან“ დაპირისპირებული პოლიტიკოსის არჩევა ქვეყნის დესტაბილიზაციის ალბათობას მკვეთრად გაზრდის. აქ საქმე მხოლოდ იურიდიულ ბერკეტებში როდია, ჯერ კიდევ 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისია მიუთითებდა, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ არჩეული პრეზიდენტის კონფლიქტი ასევე უმრავლესობის მიერ არჩეულ პარლამენტთან (და, შესაბამისად, მთავრობასთან) შეიძლება ძალიან საშიში გამოდგეს.

**ივანიშვილის ინტერვიუმდე „ქართული ოცნების“ ლიდერები უყურებდნენ პრეზიდენტის პოსტს, როგორც მორიგ მწვერვალს, რომელსაც პარტია გარანტირებულად დაიპყრობს.** სხვადასხვა ჯგუფი შიდაპარტიული კონკურენციის პროცესში თავის კანდიდატებს ასახელებდნენ. ყველაზე მეტად ბოლო პერიოდში ირაკლი კობახიძის გარშემო გაერთიანებული ახალგაზრდა პარლამენტარების ჯგუფი აქტიურობდა.

ამაზე პარტიაში „კვირიკაშვილის კრიზისამდეც“ საუბრობდნენ, ძირითადად დემოკრატიული ფასადის გალამაზების კონტექსტში. განიხილებოდა **სალომე ზურაბიშვილის, დავით უსუფაშვილისა** და რამდენიმე აპოლიტიკური საზოგადოებრივი მოღვაწის კანდიდატურა. იგულისხმებოდა, რომ არჩევნები დაახლოებით ისე წარიმართებოდა, როგორც მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში, სადაც 2016 წელს მმართველმა პარტიამ საკუთარი კანდიდატი არ დააყენა და მხარი სალომე ზურაბიშვილს დაუჭირა, რომელმაც, განსაკუთრებული გართულებების გარეშე, დაამარცხა „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი **ნიკა რურუა**, მიუხედავად იმისა, რომ მას საკმაოდ ინტენსიური საარჩევნო კამპანია ჰქონდა.

პრობლემას პოლიტტექნოლოგიური განზომილებაც აქვს — სოციოლოგიური გამოკითხვები ცხადყოფს, რომ უნდობლობა ძველი პარტიების მიმართ ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა. სწორედ ამ გარემოებამ უზრუნველყო **ალეკო ელისაშვილის** შთამბეჭდავი შედეგი თბილისის მერის არჩევნებში, მიუხედავად იმისა, რომ მისი კამპანია მთლიანობაში საკმაოდ სუსტი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სამოყვარულო“ იყო. ყველა პარტია ცდილობს, ახალი ნიღაბი მოირგოს. „ნაციონალური მოძრაობა“ ჯიუტად ამტკიცებს, რომ გრიგოლ ვაშაძე წარმოადგენს სამოქალაქო მოძრაობას „ძალა ერთობაშია“. შეიძლება ისე გამოვიდეს, რომ საკუთარი პარტიის სახელს დაუფარავად მხოლოდ დავით ბაქრაძე გამოიყენებს, ხოლო დანარჩენები ლიდერთა ხუთეულში ფორმალურად დამოუკიდებელი თუ „საზოგადოებრივი“ კანდიდატები იქნებიან.

ივანიშვილის მეორე იდეა — „არც არავის დავუჭიროთ (მხარი) და ოპოზიციამ წაიღოს და გაინაწილოს ეს ინსტიტუტი“ — შეიძლება საკმაოდ საშიშ სცენარს დაუკავშირდეს. ბოლო წლების არჩევნებში აპრობირებული ალგორითმის თანახმად, მეორე ტურში „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი გარანტირებულად მარცხდება, რადგან მის წინააღმდეგ ყველა ერთიანდება (ეს „ევროპულ საქართველოსაც“ ეხება), მაგრამ **იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ მხარს არავის დაუჭერს, ხოლო დამოუკიდებელი კანდიდატი ბევრი იქნება და ისინი ამომრჩეველთა ძირითადი მასის ხმებს „გახლეჩენ“, გაჩნდება მეორე ტურში „ნაცმოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ კანდიდატების გასვლის თეორიული შანსი. ეს სააკაშვილის ძველ მოწინააღმდეგეებს, სავარაუდოდ, შოკში ჩააგდებს და ქვეყანას უმწვავესი კრიზისის საფრთხის წინაშე დააყენებს.**



**იმ შემთხვევაში, თუ «ქართული ოცნება» მხარს არავის დაუჭერს, ხოლო დამოუკიდებელი კანდიდატი ბევრი იქნება და ისინი ამომრჩეველთა ძირითადი მასის ხმებს «გახლეჩენ», გაჩნდება მეორე ტურში «ნაცმოძრაობისა» და «ევროპული საქართველოს» კანდიდატების გასვლის თეორიული შანსი. ეს სააკაშვილის ძველ მოწინააღმდეგეებს, სავარაუდოდ, შოკში ჩააგდებს და ქვეყანას უმწვავესი კრიზისის საფრთხის წინაშე დააყენებს**

დღეს თითქმის არავინ დაობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ივანიშვილისთვის სასურველი კანდიდატი გაიმარჯვებს. მას ამისთვის, ბოლოდროინდელი კრიზისის მიუხედავად, ჯერჯერობით საკმარისი რესურსი აქვს. ამავე დროს, საპრეზიდენტო არჩევნები წარმოადგენს ტრამპლინს 2020 წლის საეტაპო საპარლამენტო არჩევნების წინ. სწორედ ახლა გადაწყდება, მოახერხებენ თუ არა უსუფაშვილი, მარგველაშვილი და მათი პოტენციური მოკავშირეები ახალი პოლიტიკური გაერთიანების შექმნას, რომელიც „კონსტრუქციული პროდასავლური ოპოზიციის“ ნიშაში დარჩენილ სიცარიელეს შეავსებს, შემდეგ კი „ქართული ოცნების“ კოალიციური პარტნიორი გახდება. ამ პერსპექტივაზე ბევრს საუბრობენ, თუმცა ეს დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა „ქართული ოცნება“, უარი თქვას შემდგომ ექსპანსიაზე და ხელი შეუწყოს კონკურენტული პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებას. „მოქალაქეთა კავშირსა“ და „ნაცმოძრაობას“ ეს არ გამოუვიდა (პრინციპში, არც უცდიათ).

ყველაზე შემაშფოთებელი ამ სიტუაციაში, ალბათ, ისაა, რომ **ბიძინა ივანიშვილი აშკარად მოწადინებულია, შეცვალოს ძველი სისტემა, რომელმაც მმართველი პარტია სერიოზულ კრიზისამდე მიიყვანა, მაგრამ თითქმის არაფერს ამბობს იმაზე, რა შედეგის მიღწევას აპირებს და რა იდეებით ხელმძღვანელობს.** პროცესი მთლიანობაში ძალიან ჰგავს მშენებლობას, რომლის ნახაზი არავის აქვს, ხოლო მთავარი არქიტექტორი და ინჟინერი დროდადრო ძნელად აღსაქმელ, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის საწინააღმდეგო მითითებებს იძლევა. პროცესი თითქოს წინ მიდის, მაგრამ სულ უფრო მეტი მშენებელი შიშობს, რომ ის შეიძლება შენობის ჩამონგრევით დასრულდეს.

**ლუკა ნემსაძე**

ისტორიული თარიღი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1783 წლის 18 ივლისს გეორგიევსკის ციხესიმაგრეში, წინასწარ შემუშავებული ცერემონიის მიხედვით, საქართველოს დელეგაცია დიდი ზეიმით მიიღეს. დაიწყო სხდომები ხელშეკრულების მუხლების დაწვრილებით განსახილველად. 24 ივლისს ტრაქტატს ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან იოანე მუხრან-ბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ, ხოლო რუსეთის მხრიდან — გენერალ-პორუჩიკმა პავლე სერგის ძე პოტიომკინმა.**

# გეორგიევსკის ტრაქტატი — 245 წელი

**245 წლის წინათ, 1783 წლის 24 ივლისს (4 აგვისტოს), ჩრდილოეთ კავკასიაში, ციხესიმაგრე გეორგიევსკში რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დაიდო „სამეგობრო შეთანხმება“, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობის ქვეშ გადავიდა.**





ირანისა და ოსმალეთის მხრიდან მზარდი გავლენა საქართველოს სახელმწიფოებრივ არსებობას საფრთხეს უქმნიდა. ამ ვითარებაში ქართლ-კახეთის მეფე **ერეკლე II-ს** ერთადერთ გამოსავლად რუსეთთან კავშირის გამყარება მიაჩნდა.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში მკვეთრად შეიცვალა რუსეთის მმართველი წრეების დამოკიდებულება საქართველოსადმი. მას შემდეგ, რაც რუსეთმა თავისი გავლენა გაავრცელა ყირიმზე და მისი საზღვრები თითქმის კავკასიონის ქედს მიებჯინა, საიმპერატორო კარს აშკარად გაუძლიერდა ინტერესი ამიერკავკასიისადმი. თუკი აქამდე საქართველოს მეფეების თხოვნას კავკასიონის გადმოღმა ქვეყნების საქმეებში აქტიური ჩარევის შესახებ რუსი პოლიტიკოსები მაინცდამაინც დიდი ხალისით არ ეკიდებოდნენ, ახლა საწინააღმდეგო მდგომარეობა შეიქნა. რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურებმა დაიწყეს კავკასიის გზით წინა აზიაში რუსეთის გავლენის გავრცელების გეგმების შედგენა. ამ გეგმებში ქრისტიანულ საქართველოს უპირველესი ადგილი ეკავა. აქედან გამომდინარე, **ერეკლე მეორის კარზე გახშირდა რუსი მოხელეების, ელჩების, მოგზაურების სტუმრობა, ისინი ურჩევდნენ ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთთან კავშირის აღდგენას, იმპერატორისთვის მფარველობის ოფიციალურად თხოვნას. ერეკლე მეორე საქმის ასეთ შემობრუნებას კმაყოფილი შეხვდა.**

**1782 წლის ბოლოს ერეკლე II-მ ეკატერინე II-ს მიმართა თხოვნით საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ აეყვანა.** ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების გამყარების მიზნით, ეკატერინე II-მ თავად **პავლე პოტიომკინს** გაფართოებული უფლებამოსილება მიანიჭა ერეკლე მეფესთან სამოკავშირეო შეთანხმების მისაღწევად. ქართული მხრიდან მეფის მიერ ხელდასხმული იყვნენ თავადები **ი. ბაგრატიონი** და **გარსევან ჭავჭავაძე.**

1783 წლის 18 ივლისს გეორგიევსკის ციხესიმაგრეში, წინასწარ შემუშავებული ცერემონიის მიხედვით, საქართველოს დელეგაცია დიდი ზეიმით მიიღეს. დაიწყო სხდომები ხელშეკრულების მუხლების დაწვრილებით განსახილველად. 24 ივლისს ტრაქტატს ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან **იოანე მუხრან-ბატონმა** და **გარსევან ჭავჭავაძემ,** ხოლო რუსეთის მხრიდან — გენერალ-პორუჩიკმა **პავლე სერგის ძე პოტიომკინმა.**

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა, როგორც მასზე დამოკიდებული და მის მფარველობაში მყოფი ქვეყანა. ტრაქტატი ზღუდავდა, მაგრამ არ აუქმებდა ქართლ-კახეთის საგარეო-პოლიტიკურ ქმედუნარიანობას. მართალია, მისი სუვერენიტეტი იზღუდებოდა, იგი ეკედლებოდა, ექვემდებარებოდა რუსეთს, მაგრამ არ იყო გაუქმებული მისი სახელმწიფოებრიობა, ე.ი. მაშინდელი საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, საქართველო რჩებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ორგანოებით. 1783 წლის ხელშეკრულებით რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის მყარდებოდა მფარველობითი კავშირი პირველისადმი უკანასკნელის დაქვემდებარების პირობით, მაგრამ არსებითად იყო ორი არათანაბარი სიძლიერის სახელმწიფოს ნებაყოფლობითი შეთანხმება, რომელიც ორივე მხარის საგარეო-პოლიტიკურ ამოცანებს ემსახურებოდა. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობის დარღვევა მეორეს უფლებას აძლევდა, უარი ეთქვა ურთიერთობის გაგრძელებაზე, რაც ორივე მხარეს პირვანდელ მდგომარეობაში დააბრუნებდა — ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ერთეულებად აქცევდა.

**გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება საქართველოში დიდი ზეიმით აღინიშნა. გენერალი პოტიომკინი წერდა იმპერატორ ეკატერინე მეორეს: „საქართველოში მყოფმა პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა მაუწყა, რომ ხელშეკრულების დადების შემდეგ ქართველ დესპანთა დაბრუნებამ გეორგიევსკის ციხესიმაგრიდან აუწერელი სიხარული და კმაყოფილება მოუტანა მეფე ერეკლეს, რომ ამ ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ, ხალხი კი ლოცავს თქვენს იმპერატორულ უდიდებულესობის მარჯვენას, რომელიც დაამტკიცებს, რომ მისთვის სიმშვიდე და კეთილდღეობა მოაქვს“.** 1783 წლის 20 აგვისტოს სიონის ტაძარში შეკრებილი ხალხის წინაშე **გაიოზ რექტორმა** წარმოთქვა ვრცელი სიტყვა, მან შესანიშნავი ორატორული ხელოვნებით დაახასიათა ერეკლეს მოღვაწეობა და მისი პოლიტიკური კურსი. იგი მსმენელებს აუწყებდა, რომ რუსეთთან დაკავშირებით ერეკლემ

**„დაამტკიცა საუკუნო მშვიდობა და მყუდროება ერისა თვისისა“.**

ერეკლე მეორე რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას შორს მიმავალ გეგმებს უკავშირებდა. ჯერ ერთი, იგი იმედოვნებდა, რომ ძლიერი მფარველის დახმარებით ქართლ-კახეთში ლეკიანობა საბოლოოდ აღიკვეთებოდა და ქვეყანას საშუალება მიეცემოდა, ფართო აღმშენებლობითი მუშაობა გაეშალა, აგრეთვე, შეიქმნებოდა შესაძლებლობა, მოეშალათ ლეკიანობის ბუდე ჭარ-ბელაქანსა და კაკ-ელისენში და ეს ძირძველი ქართული ტერიტორია (საინგილო) კვლავ საქართველოს შემოუერთდებოდა. ასევე რუსეთ-თურქეთის მომავალ ომში ერეკლეს იმედი ჰქონდა, რომ მესხეთის მიწა-წყალსაც დაიბრუნებდა. რუსეთის მხარდაჭერით განმტკიცდებოდა ერეკლეს მფარველობა მეზობელ მაჰმადიანურ სახანოებზე.

1801 წელს აღმოსავლეთი საქართველო, 1803-1864 წლებში კი დასავლეთი საქართველო შევიდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, როგორც ტიფლისისა და ქუთაისის გუბერნიები.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

# რუსეთში ქრისტიანობის მიღებიდან 1030 წლისთავი იზეიმეს

**ამა წლის 28 ივლისს ერთმორწმუნე რუსეთში მართლმადიდებლებმა ლოცვითა და ტაძრების სამრეკლოებიდან ზარების რეკვით, აგრეთვე, მსვლელობით აღნიშნეს რუსეთის გაქრისტიანების 1030-ე წლისთავი. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილემ მოსკოვის კრემლთან ღია ცის ქვეშ ჩაატარა ღვთისმსახურება.**



ამ საზეიმო თარიღის აღსანიშნავად რუსეთის დედაქალაქს ეწვია 10 მართლმადიდებელი ქვეყნის დელეგაციები. მათ შორის იყვნენ საქართველოს, იერუსალიმის, სერბეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, ალბანეთის, პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები, აგრეთვე, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქი **თევდორე II.** ეს დღე სიმბოლურია მოძმე მართლმადიდებელი ხალხებისთვის: რუსებისთვის, უკრაინელებისა და ბელარუსებისთვის, რადგან ისინიც მონინათლნენ იმ მომენტში, როდესაც თავადმა ვლადიმირმა მიიღო ქრისტიანობა. ეს მოხდა 988 წელს ხერსონესში, დღეს ეს ტერიტორია ყირიმის ნახევარკუნძულზეა...

მიუხედავად იმისა, რომ კიევის სათავადოს ტერიტორიაზე მართლმადიდებლობის მიღებას რამდენიმე ეტაპი დასჭირდა, ხოლო ზოგ ადგილებში თითქმის 2 საუკუნემდე გაგრძელდა, სწორედ 988 წელი ითვლება ძველრუსული სახელმწიფროს ახალი ეპოქის დასაწყისად.

კიევის თავადი **ვლადიმირი** 30 წლის განმავლობაში იყო თავგამოდებული კერპთაყვანისმცემელი, ამასთანავე, შორსმჭვრეტელი მმართველი. კიევის მიწების გასაერთიანებლად საჭირო იყო ერთობლივი რელიგია. გადმოცემის თანახმად, 986 წელს თავადმა „სარწმუნოების გამოცდა“ ჩაატარა — მიიღო ელჩები მუსლიმანებისგან, კათოლიკეებისა და იუდეველებისგან. ჟამთააღმწერელი დაწვრილებით აღწერს დელეგაციების ვიზიტებს, მათთან საუბრისას თავადის ერთი ფრაზა კი ისტორიაში შევიდა: „რუსეთში, როცა მხიარულობენ, სვამენ“. თითქოს ეს იყო საბაბი, რომ კიევმა ისლამი არ მიიღო. მოიძებნა არგუმენტები სხვა რელიგიების წინააღმდეგაც.

თავადი ვლადიმირი მხოლოდ ცარგრადიდან ჩამოსულმა ბიზანტიელმა მღვდელმა დააინტერესა — მართლა მოხდა თუ არა „რწმენის გამოცდა“, უცნობია, მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიასთან კავშირის განმტკიცება საერთო რელიგიით პოლიტიკური თვალსაზრისითაც არ იყო ურიგო. თანაც თავადისთვის, ასე თუ ისე, ნაცნობი იყო მართლმადიდებლობა. მისი ბებია, თავადის ასული **ოლღა,** 957 წელს მოინათლა ქრისტიანად. სწორედ ის იყო პირველი ქრისტიანი რუს მმართველებს შორის.

988 წელს თავადი ვლადიმირი გაქრისტიანდა. ეს მოხდა მის მიერ დაპყრობილ ბიზანტიურ კორსუნში (ხერსონერი სევასტოპოლთან ახლოს). იქვე ვლადიმირმა ქრისტიანული წესით იქორწინა ბიზანტიის იმპერატორის დაზე — ანაზე. კიევში დაბრუნებულმა ვლადიმირმა ყველა კერპის განადგურება და ყველა კიეველის ქრისტიანად მონათვლა ბრძანა. ქალაქის მცხოვრებლები მასობრივად მოინათლნენ იქ, სადაც მდინარე პოჩაინა უერთდება მდინარე დნეპრს.

კიევის შემდეგ კი მართლმადიდებლობა მიიღეს კიევის რუსეთის სხვა ქალაქების მცხოვრებლებმაც.

რუსეთის გაქრისტიანება ოფიციალურად პირველად 1988 წელს აღნიშნეს.

2013 წელს რუსეთის გაქრისტიანების 1025 წლისთავი კი მოსკოვში, მინსკსა და კიევში საზეიმოდ აღინიშნა.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინი ერთი საუკუნით უსწრებდა როგორც თავის ეპოქას, ისე თანამებრძოლებს. რევოლუციურ თვითნებობას შეჩვეული ბრბო ვერ ეგუებოდა სახელმწიფო მშენებლობის მჭყობრ რიტმს და კვლავ რევოლუციური ხერხებით ცდილობდა ცხოვრების გაგრძელებას. სტალინმა არაერთხელ მიუთითა თანაპარტიელებს, რომ რევოლუცია დამთავრდა და რევოლუციური წესრიგით სახელმწიფოლს მშენებლობა დაუშვებელია. როდესაც ტრიბუნიდან ვერ შეაგნებია ყოველივე ეს ვერც თანაპარტიელებს და ვერც თავისი ახლო გარემოცვის წევრებს, ტრიბუნიდან ჩამოვიდა და საქმეს მოჰკიდა ხელი.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №26-27 (450-451)

# სტალინის პორტრეტისთვის

## 1931-1941 წლები. იდუმალების სამყარო

**ძნელია, გულგრილად წაიკითხო სტალინის მიერ 1930-იან წლებში დაწერილი წერილები ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხებზე. იმხანად საბჭოთა კავშირი იყო უკიდეგანო სახელმწიფო თავისი დაბალი განათლების მქონე ხალხით, შრომის დაქვეითებული ორგანიზაციით, უცოდინარი კადრებით, დაცარიელებული ხაზინით, შიშველ-ტიტველი და შეუიარაღებელი არმიით, გარშემორტყმული უზარმაზარი ამბიციების მქონე დიდი თუ პატარა ქვეყნებით, რომლებიც მზად იყვნენ, ხელში ჩაეგდოთ ძვირფასი ნედლეულით გაძეძგილი ქვეყანა.**



სტალინი და ნადეჟდა ალილუევა

გამორჩეული ქართველი კაცი, ხელში პოლიტიკური თუ ფოლადისპირიანი ხმლით, ცარიცინიდან ვლადივოსტოკამდე ებრძოდა შინაურ თუ გარეშე მტრებს, მათ შორის, უახლოეს ადამიანებსაც კი ორჯონიკიძეების, ენუქიძეების, ლომინაძეებისა და სხვათა სახით, რაც ნაწილობრივ წინა წერილებში გაგაცანით.

უკრაინის საკითხს სტალინი ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა, რაც პოლიტბიუროს წევრებისადმი გაგზავნილ მის ყოველ წერილში ნათლად ჩანს. **რედენსმა, ნადეჟდა ალილუევას** დის ქმარმა (სტალინის ქვისლმა), რომელიც სათავეში ედგა უკრაინის უშიშროების ორგანოებს, ვერ გაამართლა სტალინის იმედები, მაშინ სტალინმა პოლიტბიუროს ურჩია, რედენსი **ა. ბალიცკით** შეეცვალათ, **კოსიორსა** და **ჩუბარს** კი მოსკოვში გადაყვანა დაუპირა. ამავე წერილში სტალინი კატეგორიულად ითხოვს თანამებრძოლებისაგან, ყველაფერი გააკეთონ, რათა უკრაინა საბჭოთა კავშირის ციხესიმაგრედ იქცეს და ამისთვის ფული არ დაინანონ. სტალინი ფიქრობდა, რომ აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში უკრაინა შეიძლება დაკარგულიყო. გლეხობამ მთავრობის ნდობა დაკარგა, ქაოსურად ხორციელდებდა თვითნებური მიგრაცია ქალაქისკენ. ქალაქს, მართალია, არ შიოდა, მაგრამ პროდუქტების ნაკლებობა მაინც იგრძნობოდა. **სოფლის საზრუნავს, ქალაქების ქარხნებში დაბალკვალიფიციური მუშებისა და მავნებლების მოქმედება ემატებოდა, შედეგად მწყობრიდან გამოდიოდა ოქროთი შეძენილი, ძვირად ღირებული დანადგარები და მოწყობილობები. ყოველივე ამან სტალინს მოთმინება დააკარგვინა.**

ვითარების გაანალიზების შემდეგ, 1932 წლის 20 ივლისს, სტალინმა ხელში კალამი აიღო და **კაგანოვიჩსა** და **მოლოტოვს** მრისხანებით აღსავსე წერილი მისწერა:

**„ძარცვები, ძირითადად, კულაკების მიერ არის ორგანიზებული. ამ ბატონებს კანონის მიხედვით ორ-სამ წელს უსჯიან და, საბოლოო ჯამში, 6-8 თვეში ამნისტიით ციხიდან გამოდიან. შექმნილი მდგომარეობის მოთმენა აღარ შეიძლება, ამიტომ გთავაზობთ ისეთი კანონი შემოვიღოთ, რომელიც:**

**ა) სარკინიგზო ტვირთს სახელმწიფოს საკუთრებას გაუტოლებს;**

**ბ) მინიჭებული კატეგორიის მქონე საკუთრების ქურდობას, სულ ცოტა, ათი წლით, და ყველაზე მეტი დახვრეტით დასჯის;**

**გ) მსგავსი „პროფესიის“ დამნაშავეებს ამნისტიას მოუხსნის.**

**ასეთი დრაკონული სოციალისტური მეთოდების გარეშე ახალი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება შეუძლებელი იქნება.**

**წესრიგის გარეშე კი აღმშენებლობით საქმიანობას ვერ განვამტკიცებთ.**

**ვფიქრობ, ასეთი კანონის გამოცემა არ უნდა დავაგვიანოთ“.**

კანონი სახელმწიფო და კოლექტიური საკუთრების დაცვის შესახებ 7 აგვისტოს გამოიცა. შედეგმაც არ დააყოვნა. 1932 წელს **მენჟინსკის** მიერ სტალინისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ნათლად ჩანს, რომ შესაბამისი ორგანოების მხრიდან რეაგირება სწრაფი იყო. მენჟინსკი აღნიშნავდა, რომ გასულ თვეებთან შედარებით აგვისტოში სატრანსპორტო საშუალებების ძარცვა 58%-ით შემცირდა.

8 სექტემბერს პოლიტბიურომ დაამტკიცა „საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის შესახებ კანონი“, 16 სექტემბერს კი ამ კანონის გამოყენების ინსტრუქცია გამოსცა. სახელმწიფო ამ გადაწყვეტილებით აცხადებდა, რომ სოციალისტურ საკუთრებას თვითონ დაიცავდა. ეს საკანონმდებლო აქტი სტალინის წინადადებიდან გამომდინარეობდა: **„თუ საზოგადოებრივი საკუთრება ხელშეუხებლად არ გამოცხადდება, სოციალიზმი ქვეყანაში არსებულ კაპიტალისტურ ელემენტებს ვერაფრით გაანადგურებს. ახალი კანონი სწორედ ამისთვის გვჭირდება. ასეთი კანონი ჩვენ არ გვაქვს და ეს სიცარიელე უნდა შევავსოთ“** (სტალინი და კაგანოვიჩი. მიმოწერა. 1931-36 წწ., გვ. 240,241). სტალინმა აღიარა, რომ ინდუსტრიალიზაციაში სიმშვიდის პერიოდი დასრულდა, რომ ეკონომიკაში კერძო მეწარმეობის ტრადიციები აღმოუფხვრელი დარჩა. ამასთანავე, საჭირო ზომები იქნა მიღებული გადამყიდველების მიმართ, რომლებიც კერძო ბაზრებში ფასებს ხელოვნურად ზრდიდნენ. კანონის გამოყენების ინსტრუქცია სამოქალაქო ომის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი, ამიტომ სოციალური დაცვის ფარგლებში უნდა ემოქმედათ:

**1) ორგანიზაციებისა და დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებიც ხანძრის, აფეთქებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებით ორგანიზებულად ანადგურებენ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ საკუთრებას, გამოყენებულ იქნას სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა;**

**2) კულაკების, ყოფილი ვაჭრებისა და სხვა დანარჩენი სოციალური ელემენტების, აგრეთვე, სახელმწიფო დაწესებულებების თანამდებობის პირებისა და საწარმოების თანამშრომლების მიმართ გამოყენებულ იქნეს უმაღლესი სასჯელი. შემამსუბუქებელი გარემოებიდან გამომდინარე, სასჯელი შეიცვალოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთით.**

**ზემო ხსენებული პირების მიერ წვრილმანი ქურდობისთვის, რაც სახელმწიფო საწარმოს მუშაობის შეფერხებას გამოიწვევს, აგრეთვე, გამოყენებულ იქნას უმაღლესი სასჯელი;**

**3. კულაკებს, ყოფილ ვაჭრებსა და სხვა მტრულ ელემენტებს, რომლებიც ვაჭრობისა და კოოპერატიულ სისტემაში ჩართვის მცდელობაში იქნებიან შემჩნეულნი, მიესაჯოთ უმაღლესი სასჯელი;**

**4. სატრანსპორტო ტვირთის გატაცებაში მხილებულ პირებს მიესაჯოთ უმაღლესი სასჯელი. აგრეთვე, კოლექტიური პროდუქციის სისტემატიური ძარცვისთვის ორგანიზებულ დაჯგუფებებს მიესაჯოთ უმაღლესი სასჯელი;**

**7. კოლმეურნეობების წევრებსა და ხელმძღვანელებს, რომლებიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების მიტაცებაში იქნებიან შემჩნეულნი, მიესაჯოთ უმაღლესი სასჯელი.**

1932 წელს სტალინმა პურის ჩაბარების ორგანიზებისთვის მოლოტოვი უკრაინაში მიავლინა, ხოლო კაგანოვიჩი — ჩრდილოეთ კავკასიაში. 2 ნოემბერს რაიონული კომიტეტების თათბირი ჩატარდა, ხოლო 4 ნოემბერს საბჭოთა მეურნეობის დირექტორებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების. რაიონულმა კომიტეტებმა, წარმოების ხელმძღვანელებთან ერთად, მიიღეს დადგენილება გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად და დამზადების ტემპის სასწრაფოდ ასამაღლებლად. დადგენილება გაეგზავნა სტალინს, რომელმაც მასში შესწორებები შეიტანა. დადგენილება გამოქვეყნდა ცენტრალურ და რაიონულ პრესაში.

ქვეყანაში დრაკონული კანონების მიღება გახდა საჭირო ძარცვა-ყაჩაღობის, პურის გადამალვა-განიავებისა და ქარხნებში შეგნებულად ჩადენილი ბოროტმოქმედებების აღმოსაფხვრელად, თუმცა სტალინი ასევე ზრუნავდა ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებაზე.

1932 წლის 24 აპრილს გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც ლიტერატურული ორგანიზაციების გარდაქმნას ეხებოდა. აგვისტოში ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც მწერალი მაქსიმ გორკი დასახელდა. კომკავშირელმა პოეტმა **ალექსანდრე ბეზიმენსკიმ** ენთუზიაზმით გაავრცელა მთავარი ლოზუნგი: **„გავანადგუროთ პროლეტარ-მწერალთა პოლიტასოციაცია“** სტალინმა გადაწყვიტა, რევოლუციური აზარტი ნელნელა ჩაეცხრო და მწერალთა კორპუსი დემოკრატიზაციის გზაზე დაეყენებინა.

1932 წლის 26 ოქტომბერს გორკის ინიციატივით მისსავე ვილაში გაიმართა სტალინისა და **შოლოხოვის** შეხვედრა, რომელსაც, აგრეთვე, ესწრებოდნენ, **ვალენტინ კატაევი, ლიდია სეიფულინა, მიხეილ კოლცოვი, ედვარდ ბაგრიცკი** და სხვები. აღნიშნული შეხვედრა თითქმის კონსპირაციული იყო, მაგრამ „არა არის დაფარული, რომ არ გამჟღავნდეს“, სწორედ ამას მოწმობს **კორნელი ზელინსკის** ზუსტი ჩანაწერი შეხვედრის თაობაზე, რომელიც ახლახან შეიქნა ცნობილი.

დარბაზში გორკისა და სტალინის მოულოდნელი შემოსვლის გამო მწერლები აჩურჩულდნენ: „ამხანაგი სტალინი წარბებს ქვემოდან დამსწრეებს სწრაფად ათვალიერებს...“ სეიფულინას ყურადღება მოულოდნელად პოლიტიკურმა თემამ მიიქცია. ყველასთვის მოულოდნელად იგი გორკის წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა, საორგანიზაციო კომიტეტში პოლიტასოციაციის ყოფილი წევრების შეყვანის გამო.

ატყდა ხმაური, ყველა სეიფულინას დამშვიდებას ცდილობდა, მაგრამ სტალინმა მას სიტყვის დასრულების საშუალება მისცა და შემდეგ თავისი თვალსაზრისი გამოთქვა: „შიშის დანერგვა და ადამიანების აქეთ-იქით მოსროლა ადვილია, მათი ჩვენიანებად ქცევა კი — რთული. პროლეტართა პოლიტასოციაცია რატომ გავაუქმეთ? სწორედ იმიტომ, რომ მან ლიტერატურული საქმიანობა შეწყვიტა, ისინი მხოლოდ „შიშს ნერგავდნენ“. „შიშის დანერგვა“ კი არ კმარა. „ნდობის დანერგვაა საჭირო“. კამათის შემდეგ ვახშამი გაიმართა. გორკი შოლოხოვს სთხოვდა, სიტყვით გამოსულიყო, მაგრამ მან უარი თქვა. სტალინს მისი თავმდაბლობა (ან სიამაყე) მოეწონა და სადღეგრძელო წარმოთქვა: „შოლოხოვის სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ! კინაღამ დამავიწყდა, თქვენთვის მეთქვა: ადამიანს ცხოვრება ცვლის. თქვენ კი მათ სულის გადაკეთებაში უნდა დაეხმაროთ. ადამიანის სული მნიშვნელოვანი რამეა. თქვენ ადამიანების სულების ინჟინრები ხართ. მოდი, ამიტომაც მწერლების სადღეგრძელო შევსვათ და მათ შორის ყველაზე თავმდაბალს, ამხანაგ შოლოხოვს გაუმარჯოს!“

ნიშანდობლივია, რომ შეხვედრაზე სტალინმა ორი არაორდინარული აზრი გამოთქვა, რაც მის შინაგან განცდას ნათელს ჰფენს.

**„...ლენინმა, იცოდა რა, რომ უკვე კვდებოდა... როცა მარტონი ვიყავით, კალიუმის ციანიდის მიტანა მთხოვა. „პარტიაში თქვენ ყველაზე სასტიკი ადამიანი ხართ, — მითხრა ლენინმა, — ამის გაკეთებას შეძლებთ“.** ზოგიერთი ძველის წინააღმდეგ გამოდის, — განაგრძობდა ბელადი, — რატომ არის ყველაფერი ძველი ცუდი? ვინ თქვა ეს? ფიქრობთ, რომ აქამდე ყველაფერი ცუდი იყო და ყველაფერი ძველი უნდა განადგურდეს, ახალი კი მხოლოდ ახლიდან უნდა დაიწყო? ვინ გითხრათ ეს? ახლის შენებას ჩვენ ძველიდან ვიწყებთ. ძველს ვასუფთავებთ და ახლისთვის ვამზადებთ, შემდეგ მას ჩვენთვის ვიყენებთ. ზოგჯერ ძველმანებში ვიმალებით, უფრო მეტად რომ გავთბეთ. თამამები იყავით და ყველაფერს ხელის ერთი მოსმით ნუ გაანადგურებთ...“ ( ვ. ოსიპოვი. მიხეილ შოლოხოვის საიდუმლო ცხოვრება, გვ. 57).

**რატომ გაამხილა სტალინმა ლენინის სასტიკი შეფასება?** შეიძლება შიმშილისგან დახოცილი გლეხების ტრაგედიის გამოძახილი იყო, მაგრამ, ალბათ, ამით ყველას დაანახვა, რომ იქ დამსწრეების მიერ გატარებული არაერთგვაროვანი პოლიტიკა საკმაოდ კარგად ესმოდა. **რატომ დაიცვა ძველი?** მისი მხატვრული გემოვნება, ისევე როგორც მოსახლეობის უმეტესობის გემოვნება, ტრადიციულობის ზღვარს არ სცდებოდა. ამ სიტყვებით სტალინმა მწერლებს კულტურული მოღვაწეობის უწყვეტობისკენ მოუწოდა.

1933 წელს შოლოხოვმა სტალინს გაუგზავნა უაღრესად მძიმე შინაარსის წერილი, რომელშიც ადგილობრივი მცხოვრებლების დუხჭირ ცხოვრებას აღწერდა. სტალინი ჯეროვან ყურადღებას აქცევდა მწერლების აზრს, მით უმეტეს — შოლოხოვის. შოლოხოვმა თავის წერილზე ორი პასუხი მიიღო:

**პირველი.** სტალინმა დონში, **შკირიატოვის** მეთაურობით, სპეციალური კომისია გაგზავნა, კომისიამ ნაყოფიერად იმუშავა და საქ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „რუსეთის იმპერიაში ფორმაციის შეცვლას, — წერდა გენიოსი მენდელეევი, — 100 მილიონი ადამიანის სიცოცხლე დასჭირდება“. სწორედ ეს „სიბრძნე“ გამოიყენეს შემდგომ, შაგინიანების მეთაურობით, ლიბერალებმა, როდესაც რეპრესირებულთა რაოდენობა 681 000-დან 100 მილიონამდე გაზარდეს.

**ძნელია, გულგრილად წაიკითხო სტალინის მიერ 1930-იან წლებში დაწერილი წერილები ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხებზე. იმხანად საბჭოთა კავშირი იყო უკიდეგანო სახელმწიფო თავისი დაბალი განათლების მქონე ხალხით, შრომის დაქვეითებული ორგანიზაციით, უცოდინარი კადრებით, დაცარიელებული ხაზინით, შიშველ-ტიტველი და შეუიარაღებელი არმიით, გარშემორტყმული უზარმაზარი ამბიციების მქონე დიდი თუ პატარა ქვეყნებით, რომლებიც მზად იყვნენ, ხელში ჩაეგდოთ ძვირფასი ნედლეულით გაძეძგილი ქვეყანა. გამორჩეული ქართველი კაცი, ხელში პოლიტიკური თუ ფოლადისპირიანი ხმლით, ცარიცინიდან ვლადივოსტოკამდე ებრძოდა შინაურ თუ გარეშე მტრებს, მათ შორის, უახლოეს ადამიანებსაც კი ორჯონიკიძეების, ენუქიძეების, ლომინაძეებისა და სხვათა სახით**

◀ მეც მეტ-ნაკლებად მოაწესრიგა. საქმის გამოსწორების შემდეგ სტალინმა „წყნარი დონის“ ავტორს მწარე წერილი, ეტყობა, არ აპატია და პასუხად წერილიც გაუგზავნა, რომელშიც ტრაგიზმის სული ტრიალებდა:

**„ძვირფასო შოლოხოვ!**

როგორც იცით, დახმარება, რომელსაც ითხოვდით, უკვე გაგიწიეთ. საქმის განსახილველად გამოვაგზავნეთ ტ. შკირიატოვი, რომელსაც პირადად ვთხოვე, დაგხმარებოდათ. მაგრამ, ამხანაგო შოლოხოვო, საქმე ის არის, რომ თქვენი წერილები ცალმხრივ შთაბეჭდილებას ტოვებს, რის შესახებაც რამდენიმე სიტყვა მინდა გითხრათ. თქვენი წერილების გამო მადლობას გიხდით, რადგან ისინი ჩვენი საბჭოთა-პარტიული საქმიანობის მიღმა არსებულ ტკივილს გვიმხელენ. ისევე, როგორც ზოგჯერ ჩვენი თანამშრომლები, რომლებიც მტრის დასამარცხებლად შემთხვევით მეგობრებს ურტყამდნენ და სადიზმამდეც კი მისულან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ყველაფერში გეთანხმებით. თქვენ მხოლოდ ერთ მხარეს ხედავთ და ძალიან კარგადაც ხედავთ, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. **პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დავუშვათ, მეორე მხარის დანახვაც უნდა იცოდეთ. სხვა მხარე კი არის ის, რომ თქვენი რაიონის პატივცემული პურის მწარმოებლები საბოტაჟით იყვნენ დაკავებული და წინააღმდეგენი არ ყოფილან, წითელი არმია პურის გარეშე დაეტოვებინათ.** ის, რომ არეულობა ხმაურიანი და სისხლიანი არ ყოფილა იმ ფაქტს არ ცვლის, რომ პატივცემული პურის მწარმოებლები, საქმის არსიდან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ „ჩუმ ომს“ აწარმოებდნენ. რა თქმა უნდა, ეს გარემოება, როგორც თქვენ ირწმუნებით, ჩვენი თანამშრომლების მიერ ჩადენილ უმსგავსობას ვერ გაამართლებს. ამ უმსგავსობის ყველა მონაწილემ სათანადო სასჯელი უნდა მიიღოს. ისიც დღესავით ნათელია, რომ პატივცემული პურის მწარმოებლები არც ისე უწყინარი ადამიანები ყოფილან, როგორც ეს შორიდან ჩანდა. ახლა კი კარგად ბრძანდებოდეთ.

ხელს გართმევთ. თქვენი ი. სტალინი“.

**შოლოხოვისა და სტალინის მიმოწერაზე საუბრისას სტალინის პირადი ტრაგედიაც აუცილებლად უნდა ვახსენოთ, რომელიც 1932 წლის 8 ნოემბერს მოხდა — სტალინის მეუღლე ნადეჟდა ალილუევამ თავი მოიკლა. როგორც მემუარისტები გვიამბობენ, მეუღლის სიკვდილის შემდეგ სტალინი სულ სხვა ადამიანი გახდა.**

ქრისტიანული წარმოდგენების მიხედვით, თვითმკვლელობა საშინელი ცოდვაა. თვითმკვლელი ღმერთის მოწყალების გარეშე რჩება და სულს სატანას აჩუქებს. სტალინს ესმოდა, რომ მეუღლემ დასაჯა... **სიცოცხლის ბოლომდე ეს ტვირთი უნდა ეტარებინა და ვეღარაფერს შეცვლიდა. მისთვის, უდიდესი შესაძლებლობების მქონე პიროვნებისთვის, რომელსაც მსოფლიოს შეცვლის ძალა შესწევდა, თავს დამტყდარი უბედურება ორმაგად მძიმე ასატანი იყო. საყვარელმა ადამიანმა მას ცხოვრების ფსკერისკენ უბიძგა. ცოტა ხნის წინათ ნახევრად ღმერთი, ინტელექტუალი, სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი სიცარიელეში აღმოჩნდა.** აი როგორ მოხდა ეს: 7 ნოემბერს მთელი დღის განმავლობაში ნადეჟდას თავის აუტანელი ტკივილი აწუხებდა. რამდენჯერმე ტკივილისგან დაიყვირა კიდეც. 7 ნოემბერს აღინიშნებოდა საბჭოთა კავშირის მთავარი დღესასწაული — ოქტომბრის რევოლუციის მე-15 წლისთავი. დილიდანვე საშინლად ყინავდა. **ნადეჟდა მავზოლეუმის გაყინული ტრიბუნიდან, ქვეყნის ხელმძღვანელობასთან ერთად, მეწარმეთა აკადემიის კოლონას ესალმებოდა. დემონსტრაციის შემდეგ იგი მივიდა მავზოლეუმის მარჯვენა ტრიბუნასთან, სადაც მისი შვილები იდგნენ, და შეჰპირდა, მათაც დასთან გაუშვებდა აგარაკზე. მეორე დღეს სტალინი და მისი მეუღლე ვოროშლოვთან იყვნენ მიწვეულნი ვახშამზე, სადაც მოულოდნელად კამათი დაიწყეს. კამათის რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, ნადეჟდამ ქმარზე იეჭვიანა; მეორე ვერსიის თანახმად კი, ქალი სტალინის უხეშმა შენიშვნამ გაანაწყენა. სტალინის პირადი დაცვა მეორე ვერსიას ადასტურებს.** შეკრებილები ოპოზიციის მოქმედებას განიხილავდნენ და მათზე გამარჯვების სადღეგრძელო წარმოთქვეს. სწორედ მაშინ ჰკითხა მკვეთრი ტონით სტალინმა ნადეჟდას: „შენ რატომ არ სვამ?“ (ა. რიბინი. „სტალინის გვრდით“. მცველის ჩანაწერები. მ., 1992. გვ.7). განაწყენებული ნადეჟდა საღამოდან წავიდა, გზაში მას მოლოტოვის მეუღლე, **პოლინა ჟემჩუჟინა,** დაეწია და მასთან ერთად კრემლში დიდხანს სეირნობდა, ვიდრე ნადეჟდა არ დამშვიდდა. დილით კი ნადეჟდა ალილუევა საწოლში, გულმკერდში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით მკვდარი ნახეს. გვერდით პატარა ზომის პისტოლეტი ეგდო, რომელიც ძმამ, პავლემ, აჩუქა.



მიხეილ შოლოხოვი

ჩვენ ამ საიდუმლოს გამოცნობა არ ძალგვიძს, მაგრამ ნადეჟდა ალილუევას რამდენიმე პირადი პრობლემის დასახელება შეგვიძლია.

აი ისინიც:

* **არახელსაყრელი გენეტიკური მემკვიდრეობა**: ალილუევას გვარში ბევრი იყო ფსიქიკურად, ასე ვთქვათ, სუსტი ადამიანი.

* გამუდმებით აწუხებდა თავისა და კუჭის ტკივილები. ქმართან არსებული სულიერი, ოჯახური და პოლიტიკური დისტანცია.

* გაღიზიანებული იყო სტალინის გუნდის პოლიტიკური სვლებით.

* სტალინის მეუღლე ხშირად თავს ვერ იკავებდა და ქმარს სისულელეებზეც კი ეჩხუბებოდა, თავს ზოგჯერ უცხო პირების თანდასწრებითაც ვერ აკონტროლებდა. როგორც ვლადიმირ ალილუევი ამბობდა, რამდენჯერმე თავის მოკვლაც უხსენებია.

სტალინი ერთი საუკუნით უსწრებდა, როგორც თავის ეპოქას, ისე თანამებრძოლებს. რევოლუციურ თვითნებობას შეჩვეული ბრბო ვერ ეგუებოდა სახელმწიფო მშენებლობის მწყობრ რიტმს და კვლავ რევოლუციური ხერხებით ცდილობდა ცხოვრების გაგრძელებას. **სტალინმა არაერთხელ მიუთითა თანაპარტიელებს, რომ რევოლუცია დამთავრდა და რევოლუციური წესრიგით სახელმწიფოს მშენებლობა დაუშვებელია. როდესაც ტრიბუნიდან ვერ შეაგნებია ყოველივე ეს, ვერც თანაპარტიელებსა და ვერც თავისი ახლო გარემოცვის წევრებს, ტრიბუნიდან ჩამოვიდა და საქმეს მოჰკიდა ხელი.** სწორედ ამაზე მიუთითებს, სტალინის ინიციატივით, 1932 წლის 20 აგვისტოს მიღებული პოლიტბიუროს დადგენილება „სოციალისტური ქონების დაცვის შესახებ.

სტალინმა ამით ხმამაღლა განაცხადა, რომ რევოლუცია დამთავრდა — **„ხალხმა მიტინგებზე საკოლმეურნეო მინდვრებზე და სახარატო დაზგებთან არ უნდა მოიყაროს თავი. „არა მიტინგები, არამედ შრომა. თუ გვინდა, ავაშენოთ ახალი ქვეყანა და შევქმნათ ბედნიერი მომავალი“.**

ადამიანები, რომლებიც რევოლუციური ქაოსიდან მშვიდობიან აღმშენებლობაში ვერ გადაეწყვნენ, ან თავს იკლავდნენ, ან შორეულში „მიემგზავრებოდნენ“ და ეს თითქოს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. **სვეტლანა ალილუევა** თავის წიგნში წერს:

„იმ დროის ადამიანები უჩვეულოდ ემოციურები იყვნენ და გულწრფელად ვამბობ — თუ მათთვის ცხოვრება შეუძლებელი იყო, თავს იკლავდნენ“.

ნადეჟდა ალილუევას სიკვდილმა სინათლე მოჰფინა სხვა ადამიანების თვითმკვლელობასაც. ახალგაზრდა რევოლუციონერთა თაობის სიკვდილი რევოლუციის სიკვდილს ნიშნავდა. სტალინი და ნადეჟდა ალილუევა სხვადასხვა დროში აღმოჩნდნენ, პისტოლეტიდან გასროლილმა ტყვიამ დრო შუაზე გააპო.

**„რუსეთის იმპერიაში ფორმაციის შეცვლას, — წერდა გენიოსი მენდელეევი, — 100 მილიონი ადამიანის სიცოცხლე დასჭირდება“. სწორედ ეს „სიბრძნე“ გამოიყენეს შემდგომ, შაგინიანების მეთაურობით, ლიბერალებმა, როდესაც რეპრესირებულთა რაოდენობა 681 000-დან 100 მილიონამდე გაზარდეს.**

ასე რომ, ჯერ კიდევ ბევრი საინტერესო მოვლენის ახსნა და გაგება გველის წინ 1931-1941 წლების რუსეთის საიდუმლოებათა სამყაროდან.

**(გაგრძელება იქნება)**

**ნადეჟდა მავზოლეუმის გაყინული ტრიბუნიდან, ქვეყნის ხელმძღვანელობასთან ერთად, მეწარმეთა აკადემიის კოლონას ესალმებოდა. დემონსტრაციის შემდეგ იგი მივიდა მავზოლეუმის მარჯვენა ტრიბუნასთან, სადაც მისი შვილები იდგნენ, და შეჰპირდა, მათაც დასთან გაუშვებდა აგარაკზე. მეორე დღეს სტალინი და მისი მეუღლე ვოროშილოვთან იყვნენ მიწვეულნი ვახშამზე, სადაც მოულოდნელად კამათი დაიწყეს. კამათის რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, ნადეჟდამ ქმარზე იეჭვიანა; მეორე ვერსიის თანახმად კი, ქალი სტალინის უხეშმა შენიშვნამ გაანაწყენა. სტალინის პირადი დაცვა მეორე ვერსიას ადასტურებს**



მოვლენების კვალდაკვალ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რესპუბლიკელი კონგრესმენები როზენსტაინს ბრალს სდებენ გამოძიების განზრახ გაჭიანურებაში ტრამპის საწინააღმდეგო საინფორმაციო ფონის შესანარჩუნებლად, დონალდ ტრამპის მიმართ არაობიექტურ დამოკიდებულებაში, აგრეთვე, ჰილარი კლინტონის მიმოწერის საქმის გამოძიების მიჩუმათებაში.**

# რა რეკომენდაციები მისცეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს აშშ-ში



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკანიანი 24-26 ივლისს ვაშინგტონში გამართულ რელიგიის თავისუფლების საკითხზე საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდა. ამ ვიზიტის ფარგლებში ზალკანიანი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯონ სალივანს შეხვდა და... საქართველოს სტრატეგიული პარტნიორისგან ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის, აგრეთვე, ტერიტორიული მთლიანობის მორიგი (ეს უკვე მერამდენე) მხარდაჭერა მიიღო.**

თუმცა, გაუგებარია, რა სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობაზე გვესაუბრება „სტრატეგიული პარტნიორი", რომლის ნების გარეშეც საქართველოს ხელისუფლება არათუ საკადრო საკითხებს (გაიხსენეთ, როგორ დანიშნეს თავდაცვის მინისტრად თინათინ ხიდაშელი) ვერ აგვარებს, სწორედ მისი მითითებით წყვეტს, ვისთან უნდა დაიწყოს კოაბიტაცია, რომელი პოლიტიკური პარტია უნდა იყოს მთავარი ოპოზიციური ძალა და ა.შ. ლაპარაკი არ არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე — ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორი" რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომასაც კი გვიკრძალავს... სალივანმა საქართველოს მადლობა გადაუხადა ავღანეთში ნატოს მისია „გადამწყვეტ მხარდაჭერაში" შეტანილი წვლილისთვის. საქართველომ რამდენიმე ათეული ახალგაზრდის სიცოცხლე მიიტანა ზვარაკად ავღანეთში დასავლეთის ინტერესების დასაცავად, მაგრამ სანაცვლოდ რა მიიღო? — ნატოს კარზე უაზრო კაკუნი და მაპზე უკეთესის მოლოდინი წლების განმავლობაში. **რაც შეეხება რელიგიური თავისუფლების საკითხზე გამართულ კონფერენციაში საქართველოს წარმომადგენლის მონაწილეობას, ეტყობა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს რეკომენდაციები მისცეს, კიდევ უფრო შეზღუდონ მართლმადიდებლობა, რომლის დიდი დამსახურებაც არის ის, რომ დღეს საქართველო არსებობს. ამასთანავე, თავი უნდა დავანებოთ დანარჩენი კონფესიების წარმომადგენელთა „ჩაგვრას" და მათ მეტი თავისუფლება მივცეთ...**

# ამერიკელი კონგრესმენები ტრამპის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე პროკურორს იმპიჩმენტს უპირებენ



**11-მა კონგრესმენმა რესპუბლიკური პარტიიდან რამდენიმე დღის წინათ წარმოადგინა რეზოლუცია აშშ-ის გენერალური პროკურორის მოადგილე როდ როზენსტაინის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.**

რესპუბლიკელი კონგრესმენების ინიციატივამ, იმპიჩმენტი გამოუცხადონ გენერალური პროკურორის მოადგილე **როზენსტაინს**, რამდენიმე ამერიკელი სენატორის მწვავე პროტესტი გამოიწვია. როზენსტაინი კურატორობს მუშაობას სპეცპროკურორ **რობერტ მიულერისა**, რომელიც იძიებს რუსეთის შესაძლო ჩარევის საკითხს აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და მოსკოვისა და პრეზიდენტ დონალდ ტრამპის გარიგებას.

თუმცა რამე მტკიცებულება, რომ რუსეთი ჩაერია აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში, ჯერ არავის წარმოუდგენია. რესპუბლიკელი კონგრესმენები როზენსტაინს ბრალს სდებენ გამოძიების განზრახ გაჭიანურებაში ტრამპის საწინააღმდეგო საინფორმაციო ფონის შესანარჩუნებლად, **დონალდ ტრამპის** მიმართ არაობიექტურ დამოკიდებულებაში, აგრეთვე, **ჰილარი კლინტონის** მიმოწერის საქმის გამოძიების მიჩუმათებაში.




# უვიზო რეჟიმი და დემოგრაფია — საქართველოდან მიგრაციის საფრთხეები

**მიგრაცია საქართველოსთვის სერიოზული პრობლემაა. ერთი მხრივ, მოსახლეობა მცირდება, დაბალი შობადობის პირობებში ეს საკმაოდ საგანგაშო ფაქტორია, მეორე მხრივ, ევროკავშირის ქვეყნებთან ნანატრ უვიზო რეჟიმს შეიძლება საფრთხე დაემუქროს.**

**„საქსტატის" მონაცემებით, ბოლო 23 წლის განმავლობაში საქართველო 1 მილიონ 260,7 ათასმა ადამიანმა დატოვა, საცხოვრებლად კი გაცილებით ნაკლები ჩამოვიდა. 1994 წელს საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობა 4,9 მილიონ ადამიანს აღემატებოდა, 2018 წელს კი ქვეყანაში მხოლოდ 3,7 მილიონ ადამიანზე მეტი ცხოვრობს.**

2017 წლის მარტიდან საქართველოს მოქალაქეებმა შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მოკლევადიანი ვიზიტების (180-დან 90 დღე) უფლება მოიპოვეს. უვიზო რეჟიმის არასასიამოვნო შედეგი არის ის, რომ ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობამ მოიმატა. ამასთანავე, შეშფოთება გამოხატეს გერმანიამ, საფრანგეთმა, შვედეთმა და ისლანდიამ. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მარკ ჰულსტმა ბოლო სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი ქართველი **გერმანიაში** ეძებდა თავშესაფარს — 2018 წელს დაახლოებით 2500 ადამიანი. მათგან მიზანს მხოლოდ 1%-მა მიაღწია.**შვედეთში** თავშესაფარი საქართველოს 490-მა მოქალაქემ მოითხოვა, **ბელგიაში** — 471-მა.

„შვედეთი აცხადებს, რომ საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა და, კეთილი ინებეთ და საქართველოში დაბრუნდით, თუ ნებაყოფლობით არა, ზოგჯერ, სამწუხაროდ, საჭირო ხდება ძალის გამოყენება. ადრე საფრანგეთი იყო ლოიალური ქვეყანა თავშესაფრის მაძიებლებისთვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველომ ვიზალიბერალიზაცია მიიღო, საფრანგეთი ლოიალური მიდგომით აღარ მოქმედებს", — განაცხადა ჰულსტმა. მისი თქმით, გერმანიაში თავშესაფრის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ორ შემთხვევაში: ერთია უშუალოდ ლტოლვილის სტატუსი, რომელიც საქართველოს არც ერთ მოქალაქეს არ მიუღია, და მეორე — დროებითი ცხოვრების უფლება სხვადასხვა მიზეზის გამო. აქ, ძირითადად, საუბარია ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებზე. შვედეთში, გერმანიასთან შედარებით, უფრო მკაცრი კანონები მოქმედებს — ამ ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეებს არც ლტოლვილის სტატუსის, არც დროებითი ცხოვრების უფლების მიღება არ შეუძლიათ. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, გადადგას სერიოზული ნაბიჯები მიგრაციის ტალღის შესაჩერებლად. მან ურჩია საქართველოს ხელისუფლებას, წარმართოს აქტიური სოციალური კამპანია და მიაწოდოს მოქალაქეებს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ელოდებათ მათ ემიგრაციაში, რომ ევროპაში ცხოვრება მიზნის მიღწევის საშუალებას არ წარმოადგენს. გარდა ამისა, ჰულსტმა ისაუბრა საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაყალბებისგან მაქსიმალური დაცულობის მნიშვნელობაზე.

„მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პასპორტი ევროპაში დიდი ნდობით სარგებლობდეს. ის, ვინც ევროპაში ქართული პასპორტით მიემგზავრება, ხშირად არ არის საქართველოს მოქალაქე. ჩემი რეკომენდაციაა, რომ საქართველოს პასპორტი მაქსიმალურად იყოს დაცული, რათა მისი ბოროტად გამოყენება შეუძლებელი იყოს", — დასძინა ჰულსტმა.

გვერდი მოამზადა **დავით ბერიძემ**

# ყირიმის შემდეგ რუსეთი კონტინენტური ნაწილისა და სახალინის დამაკავშირებელი ხიდის აგებას იწყებს

**რუსეთის პრეზიდენტმა მთავრობას დაავალა, შეიმუშაოს სახალინთან დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის პროექტი. რუსეთის კონტინენტური ნაწილიდან კუნძულ სახალინზე გადასასვლელი ხიდის პროექტის რეალიზაცია 2021 წელს დაიწყება, მშენებლობას კი 5 წელზე მეტი არ დასჭირდება.**

ამჟამად მიმდინარეობს ორი ვარიანტის დამუშავება — კონტინენტსა და კუნძულს შორის ხიდის გადება ან გვირაბის გაყვანა. პარალელურად მუშავდება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის საკითხიც. გვირაბის არჩევის შემთხვევაში წყალქვეშ გაიყვანენ კაბელს. სახალინზე სატრანსპორტო გადასასვლელის აგების იდეა XIX საუკუნის ბოლოს გაჩნდა, მოსამზადებელი სამუშაოები 1930-იან წლებში დაიწყო, 1950 წელს კი მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ნეველსკის სრუტეში გვირაბი გაეყვანა, მაგრამ 1953 წლის მარტში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, პროექტზე მუშაობა შეწყდა.

არსებობს აგრეთვე სარკინიგზო მაგისტრალის იაპონიამდე გაყვანის ვარიანტი. შარშან რუსეთის ხელისუფლება სახალინსა და ჰოკაიდოს შორის სატრანსპორტო გადასასვლელის აგების ინიციატივით გამოვიდა.



ძველი მსოფლიო წესრიგის მომხრეებისთვის მნიშვნელოვანია თავი იგრძნონ ზენაციონალური პოლიტიკური გავლენის ყველაზე ძლიერ ჯგუფად. საკმარისია ნახოთ ჯორჯ სოროსის, ჰილარი კლინტონისა და თვით ბილ გეიტსის გამოსვლების იდეოლოგიური „შიგთავსი“, რომ მწვავედ იგრძნობთ მათ სურვილს, თავი დააყენონ არა მხოლოდ ზენაციონალურ ელიტაზე მაღლა, არამედ იყვნენ „პროგრესორების“ რაღაც კასტა, რომელიც რკინის ხელით წაიყვანს არაგონიერ ხალხებს საყოველთაო ბედნიერებისკენ ლიბერალური „პროგრესორების“ ხელმძღვანელობით.

ნეოლიბერალიზმის კრახი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არის კი დასავლეთში ე.წ. დამოუკიდებელი პრესა?

## დასრულდა «გლობალიზაცია სოროსის სახელმძღვანელოების მიხედვით»

**ბრიტანეთის ფინანსური ჟურნალისტიკის ფლაგმანი Financial Times-ის ექსპერტები მიკროეკონომიკური პარამეტრებითა და საფინანსო მონაცემების გაანალიზების დიდოსტატები არიან, პოლიტიკაზე კი იმ შემთხვევაში წერენ, როცა, რედაქციის აზრით, კონკრეტულმა პოლიტიკურმა სიახლემ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს თითოეული ბანკირის, ბიზნესმენის, ტრეიდერისა თუ ფინანსისტის ცხოვრებაზე.**



Financial Times-მა სწორედ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა რამდენიმე დღის წინათ, როდესაც დაწერა, რომ „დონალდ ტრამპსა და ვლადიმერ პუტინს ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნა სურთ“. თუმცა არაფერი უთქვამს, როგორ აპირებენ რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტები იმ მსოფლიო წესრიგის დემონტაჟს (ბრიტანული პრესის ვერსიით), რომელსაც აშშ-ის პოლიტიკური ელიტის რამდენიმე თაობა ქმნიდა.

**ახლა კი ვიმსჯელოთ საკითხზე, არის თუ არა დასავლეთში ე.წ. დამოუკიდებელი პრესა და ექსპერტთა თანამეგობრობა.**

Financial Times-ის სტატიის პარალელურად, თითქმის სინქრონულად, სპეციალურმა პოლიტიკურმა პორტალმა Politico-მ გამოაქვეყნა მასალა სათაურით — **„ტრამპის მიერ პუტინისკენ გადადგმული შემხვედრი ნაბიჯი განამტკიცებს ახალ მსოფლიო წესრიგს“,** მასში წერია თითქმის იგივე, რაც ტექსტში „ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის“ შესახებ. მასალაში მთავარ გმირებად კვლავ ფიგურირებენ ვლადიმერ პუტინი და დონალდ ტრამპი, რომლებმაც არა მხოლოდ ამერიკული მსოფლიო წესრიგის დემონტაჟი შეძლეს (უკვე ამერიკელი ჟურნალისტების ვერსიით), არამედ შექმნეს რაღაც ახალი, რომელიც ძალიან არ მოსწონს ამერიკელი ექსპერტების თანამეგობრობას. ამ ორი მასალის გამოქვეყნებისთანავე, საზოგადოებამ იხილა გავლენიანი ანალიტიკური ცენტრის Brookings Institution-ის, ანალოგიური შინაარსის ალარმისტელი (შემაშფოთებელი, საგანგაშო) მოხსენებაც.

ჟურნალ The Economist-ის შეფასებით, Brookings Institution-ი აშშ-ში ყველაზე პრესტიჟული ანალიტიკური ცენტრია და, როდესაც პატივსაცემი სტრუქტურა აქვეყნებს მასალას სათაურით: **„გავანადგუროთ მსოფლიოს ლიბერალური წესრიგი. ტრამპი, პუტინი და საფრთხეში მყოფი ჩრდილოატლანტიკური ალიანსი“,** ბევრს უჩნდება ეჭვი, რომ დასავლურ მედიურ და ექსპერტულ საზოგადოებაში აქტიურად იყენებენ ე.წ. დახურულ დირექტივებს, „ტექნიკურ დავალებებს“, რომლებსაც ადგენს ისეთი გავლენიანი პირი, რომ მის გამოყენებაზე უარს ვერავინ ამბობს. სურათის კიდევ უფრო ნათლად წარმოსაჩენად შეიძლება გავიხსენიოთ მსოფლიო პრესის რამდენიმე მასალა: **„ძირის გამოთხრის ოსტატები: ტრამპსა და პუტინს განზრახული აქვთ არსებული მსოფლიო წესრიგის დანგრევა“** — ეს არის კანადის წამყვანი გაზეთის — Globe and Mail-ის სტატიის სათაური. „ტრამპი მსოფლიო წესრიგის რეორგანიზაციას ცდილობს“ — იუწყება ბრიტანული The Guardian-ი, მაგრამ ტექსტში საყვედურებია გამოთქმული, როგორც ტრამპის, ისე პუტინის მიმართ.

სიის გაგრძელება შეიძლება, განსაკუთრებით, თუ მასში ჩავრთავთ ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც თეზისი მსოფლიოს წესრიგის განადგურებისა და მისი ანტილიბერალური მსოფლიო წესრიგით შეცვლის შესახებ სათაურში კი არ არის გამოტანილი, არამედ, უბრალოდ ციტირებულია ან მოხსენიებული სტატიის ტექსტში ან სიუჟეტებში ისეთი ტელეკომპანიებისა, როგორიც არის **„სი-ენ-ენ“**-ი.

**ამერიკული პოლიტიკური ელიტის ძალიან გავლენიანი სეგმენტი შეუპოვრად იყენებს თითქმის ყველა მედიურ თუ საექსპერტო რესურსს და ცდილობს დასავლურ აუდიტორიამდე მიიტანოს გარკვეული აზრი, რომელიც პუტინისა და ტრამპის მძაფრი „მხილებების“ გამო ზენაციონალურ ელიტას ეგზისტენციურ შიშს ჰგვრის.**

**პუტინის, ტრამპისა** და **სი ძინპინის** მიმართ წაყენებული ბრალდებებიდან შეიძლება საინტერესო მოზაიკა ავაწყოთ „მტკივნეული წერტილებისა“, რომლებზეც დაჭერა გავლენიანი მედიასაშუალებებისა და საექსპერტო ცენტრების ასეთ ნეგატიურ რეაქციას იწვევს. მაგალითად, მათ ძალიან აშფოთებთ ის ფაქტი, რომ ზემოჩამოთვლილი ლიდერები მხარს უჭერენ შეუზღუდავ ნაციონალურ სუვერენიტეტს, არადა, „მსოფლიო წესრიგი“, რომლის დემონტაჟსაც ეწევიან, ნებისმიერი სახელმწიფოს შეზღუდულ სუვერენიტეტს ითვალისწინებს, მათ შორის, აშშ-ის. უფრო მეტიც, **სახელმწიფოების სუვერენიტეტი იზღუდებოდა და იზღუდება არა მხოლოდ რაღაც საერთაშორისო შეთანხმებებით, ან გაეროს გადაწყვეტილებებით, არამედ გავლენიანი არაკომერციული ორგანიზაციების არავისგან არჩეულ ხელმძღვანელთა კოჰორტის, ჯორჯ სოროსის მსგავსი პოლიტიკური აქტივისტ-ოლიგარქების მიერ, აგრეთვე, ისეთი სტრუქტურების მიერ, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი — ჩამოთვლილთაგან ყველას შეეძლო და ახლაც შეუძლია სუვერენული სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევა, და მათთვის ხელის შეშლის მცდელობის შემთხვევაში ქვეყნებსა ან კონკრეტულ პოლიტიკოსებს „ცივილიზებული სამყაროს“ ჩარჩოებს მიღმა ტოვებდნენ — ასეთ შემთხვევაში ისინი განწირული იყვნენ „ფერადი რევოლუციების ან ფიზიკური განადგურებისთვის“.** პუტინს, ტრამპსა და სი ძინპიანს, აგრეთვე, ადანაშაულებენ პოლიტიკურ რეალიზმში.

ძველი მსოფლიო წესრიგის მომხრეებისთვის მნიშვნელოვანია თავი იგრძნონ ზენაციონალური პოლიტიკური გავლენის ყველაზე ძლიერ ჯგუფად. საკმარისია ნახოთ **ჯორჯ სოროსის, ჰილარი კლინტონისა** და თვით **ბილ გეიტსის** გამოსვლების იდეოლოგიური „შიგთავსი“, რომ მწვავედ იგრძნობთ მათ სურვილს, თავი დააყენონ არა მხოლოდ ზენაციონალურ ელიტაზე მაღლა, არამედ იყვნენ „პროგრესორების“ რაღაც კასტა, რომელიც რკინის ხელით წაიყვანს არაგონიერ ხალხებს საყოველთაო ბედნიერებისკენ ლიბერალური „პროგრესორების“ ხელმძღვანელობით, რომელთა იდეოლოგიაშიც, სინამდვილეში, არაფერი აღარ დარჩა ნამდვილი ლიბერალიზმისგან.

**როდესაც ტრამპი ან პუტინი საჯაროდ ლაპარაკობენ ისეთი ფენომენის არსებობაზე, როგორიც არის „ნაციონალური ინტერესები“ და მზადყოფნაზე, მოლაპარაკებები გამართონ მათთან, ვისთანაც აქვთ იდეოლოგიური განსხვავება, ისინი ანგრევენ სწორედ ამ „პროგრესორულ“ ჩარჩოს, რომელშიც მოაქციეს მსოფლიოს პოლიტიკური სისტემა ცივი ომის დასრულების შემდეგ.**

განრისხებული „პროგრესორების“ ტექსტებში გვხვდება მწარე საყვედურები აშშ-ის პრეზიდენტისადმი, რომელმაც თავისი მოქმედებებით ყველას დაანახვა, რომ მსოფლიოს ნეოლიბერალური წესრიგი ჩაფლავდა მის სამშობლოშიც კი — ვაშინგტონში.

სხვათა შორის, პრაგმატული ანალიტიკოსები წინასწარმეტყველებდნენ ლიბერალურპროგრესორული მსოფლიო წესრიგის აღსასრულს. 16 ივლისის ჰელსინკის შეხვედრამდე პროფესორი **ჰალ ბრენდსი** (სააგენტო „ბლუმბერგის“ კოლუმნიტი და ავტორი შესანიშნავი წიგნისა „ამერიკული სტრატეგია ტრამპის ეპოქაში“) ნაღვლიანად ამბობდა:

**„ამერიკული სტრატეგიის ახალი მიზანი არ იქნება კონკურენტი დიდი სახელმწიფოების ინტეგრაცია მსოფლიო გლობალურ წესრიგში. მიზანი იქნება დაცვა არსებული საერთაშორისო სისტემისა, წარმატებულის, მაგრამ არასრულყოფილის. ამ დასკვნის გათვითცნობიერება რთულია, იმიტომ, რომ სრულიად ეწინააღდეგება იმ ოპტიმიზმს, რომელიც დამახასიათებელი იყო იმ ეპოქისთვის, რომელიც დადგა ცივი ომის დასრულების შემდეგ“.**

დასკვნა მართლაც მწარეა, მაგრამ არა მათთვის, ვისაც ძალიან მოსწონს „გლობალიზაცია სოროსის სახელმძღვანელოების მიხედვით” ან „ისტორიის დასასრული ფკუიამას მიხედვით“, დანარჩენი დედამიწელებისთვის ეს ძალიან კარგი ახალი ამბავია. ისტორიის დასასრული, რომელზეც ბევრს ჩაგვჩიჩინებდნენ, დასრულდა მხოლოდ „ლიბერალური მსოფლიო წესრიგის“ კრახით. თუმცა წინ ბევრი საინტერესო რამ გველის.

**სახელმწიფოების სუვერენიტეტი იზღუდებოდა და იზღუდება არა მხოლოდ რაღაც საერთაშორისო შეთანხმებებით, ან გაეროს გადაწყვეტილებებით, არამედ გავლენიანი არაკომერციული ორგანიზაციების არავისგან არჩეულ ხელმძღვანელთა კოჰორტის, ჯორჯ სოროსის მსგავსი პოლიტიკური აქტივისტ-ოლიგარქების მიერ, აგრეთვე, ისეთი სტრუქტურების მიერ, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი — ჩამოთვლილთაგან ყველას შეეძლო და ახლაც შეუძლია სუვერენული სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევა, და მათთვის ხელის შეშლის მცდელობის შემთხვევაში ქვეყნებს ან კონკრეტულ პოლიტიკოსებს «ცივილიზებული სამყაროს» ჩარჩოებს მიღმა ტოვებდნენ — ასეთ შემთხვევაში ისინი განწირული იყვნენ «ფერადი რევოლუციების ან ფიზიკური განადგურებისთვის»**

**უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

იუბილე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქვეყნის ისტორიის ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ხელისუფლებაში არავის გახსენებია: არსად, არანაირად არ აღუნიშნავს, მისალოცი წერილითაც არ მიუმართავს რედაქციისთვის. გეგონება, 100-წლოვანი გაზეთებით იყოს დახუნძლული ბეჭდური სიტყვა საქართველოსი... იმაზე ცუდი რა უნდა იყოს, როცა სახელმწიფოს მეთაურნი, რომლებიც დემოკრატიის მზეს ფიცულობენ, სიტყვის თავისუფლებაზე პირჯვარს ისახავენ და ენ-დი-აის დასკვნები გულის ფიცარზე აწერიათ, ქართულ გაზეთებს არ კითხულობენ.**

# «საქართველოს რესპუბლიკამ» 100 წელიწადს გადააბიჯა

## გულწრფელი მილოცვა და ერთი კოვზი კუპრი

**2018 წლის 25 ივლისს საქართველოს უხუცესმა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოცემის მეასე წლის საიუბილეო თარიღი სპეციალური ნომრის გამოცემით აღნიშნა.**

ეს იყო და ეს.

ქვეყნის ისტორიის ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ხელისუფლებაში არავის გახსენებია: არსად, არანაირად არ აღუნიშნავს, მისალოცი წერილითაც არ მიუმართავს რედაქციისთვის. გეგონება, 100-წლოვანი გაზეთებით იყოს დახუნძლული ბეჭდური სიტყვა საქართველოსი.

სასიამოვნო გამონაკლისი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გაგზავნილი მისალოცი ადრესი.

გაატარეს!

უარესსაც ვიტყოდი, თუმცა **იმაზე უარესი რა უნდა იყოს, როცა სახელმწიფოს მეთაურნი, რომლებიც დემოკრატიის მზეს ფიცულობენ, სიტყვის თავისუფლებაზე პირჯვარს ისახავენ და ენ-დი-აის დასკვნები გულის ფიცარზე აწერიათ, ქართულ გაზეთებს არ კითხულობენ.**

საააკაშვილივით.

თვითკმარნი ხელისუფალნი თავიანთი ოპოზიციითურთ.

და ასეთ მანაღვლე რეალობაში მყოფი გაზეთის მთავარი რედაქტორი, დახვეწილი ინტელიგენტი **სპარტაკ ქობულია** იძულებულია, საიუბილეო ნომრის გამხსნელ წერილში ხელი გაიწვდინოს გაზეთის გადასარჩენად და საზოგადოებას შემწეობა სთხოვოს: **„საქართველოს რესპუბლიკა“ მუდამ ღირსი იყო საზოგადოებისგან (ხელისუფლებისგან) მეტი ყურადღებისა. გაზეთის მცირე ტირაჟი და მიზერული ფასი მხოლოდ სტამბის ხარჯებს ვერ ფარავს“. რედაქციის ჟურნალისტები და თანამშრომლები, ფაქტობრივად, საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ.**

მხოლოდ ენთუზიაზმზე.

უსახსრობის გამო გაზეთის დახურვის საშიშროება გარდაუვალ პერსპექტივად ისახება, რაც მორიგ სირცხვილად ჩაიწერება ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების ისტორიაში.

საიუბილეო ნომრის პირველ გვერდზე თეთრით შავზე დაბეჭდილია: **„დახმარების მსურველებს შეგიძლიათ, ნებისმიერი ოდენობის თანხა ჩაგვირიცხოთ შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB76015360!20100009 (შპს „ახალი საუკუნე“)“.**

### ღირსების რეტროსპექტივა

საიუბილეო ნომერში გამოქვეყნებული წერილები, რომლებიც რეტროსპექტივის პრინციპით არის შერჩეული კიდევ ერთხელ და უდავოდ ადასტურებს ქართული საგაზეთო პუბლიცისტიკის უმაღლეს დონეს, მრავალფეროვნებას, დახვეწილობას, აქტუალურობას და ორლესური მახვილის ეფექტს, რაიც მას ახასიათებდა ყველა სახელმწიფოებრივი ფორმაციის დროს განვლილი საუკუნის ჟამთა ცვლის მანძილზე.

ბედისა და უბედობის მატიანე იყო და რჩება, ისევე — როგორც ეროვნული პრობლემის მარადიული მცველი და მოდარაჯე: „...ეროვნული პრობლემა, ალბათ, ყველაზე რთული, ბოლომდე ჩაუწვდენელი და ბოლომდე ამოუხსნელი პრობლემაა, რამდენადაც ესეც ბუნების საიდუმლოებაა და მისი ამოხსნის მსურველისგან... საკუთარ სულში შეღწევაა საჭირო, საკუთარი თავის შეცნობა, რის შემდეგაც გაცილებით უკეთესნი და, რაც მთავარია, გაცილებით მეტის შემძლენი ვხდებით: უკეთესნი — თუნდაც იმ თვალსაზრისით, ერთნაირად რომ თანავუგრძნობთ უკვე როგორც ლომის, ისევე პეპლის ტანჯვას; ხოლო მეტის შემძლენი — რამდენადაც არ არსებობს ცოდნაზე უკეთესი იარაღი ნებისმიერი ბრძოლის გადასახდელად“, — ამბობს **ოთარ ჭილაძე** ამ გაზეთში ჯერ კიდევ 1987 წელს გამოქვეყნებულ და საიუბილეო ნომერში გამეორებულ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ესსეში „სიცოცხლისათვის“.

სწორედ „საკუთარ სულში შეღწევის“ გზით ეროვნული იდენტურობისა და ქვეყნის გმირული ისტორიის დაცვის მაგალითად წარმოგვიდგება **სპარტაკ ქობულიას** ვაჟკაცური ღირსებით დატვირთული წერილი „როცა სიკეთეს ბოროტების დამარცხება უძნელდება“. ექვსი წლის წინათ დაწერილი და გამოქვეყნებული ეს სტატია ყოფილი ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ თქმული მართალი სიტყვაა. გახსენება იმისა, რომ ნაციონალების აღვირახსნილობის ჟამს იავარქმნილი ეროვნული სიმბოლოების აღდგენა დღეს ხელისუფლებაში მყოფი თაობის ღირსების საქმეა და ვალი.

ნაცების ვანდალიზმის ყველა კვალი უნდა გაქრეს საქართველოს წმინდა მიწიდან. უნდა აღდგეს **ვახტანგ ონიანის** ეროვნული ღირსებით შემკული მონუმენტური ქანდაკება ამირანისა და **მერაბ ბერძენიშვილის** „დავით აღმაშენებელმა“ შესაფერისი ადგილი უნდა დაიმკვიდროს დედაქალაქის ცენტრში.

ბატონი სპარტაკი გვაიმედებს, რომ ეს საქმე აღსრულდება და „ქართველთა უდიდესი მოქანდაკის, ყველა ეპოქის ბეჭდაუდებელი ქართველი რაინდის **მერაბ ბერძენიშვილის** (ის თავის პუბლიცისტურ შედევრებს მხოლოდ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ბეჭდავდა), საფლავში ჩაყოლილი ოცნება აღსრულდება...

სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ქუთაისის დიდების მემორიალის აღდგენაზეც!

ეს იქნება იმის დასტური, რომ ქვეყნის ახალი ხელისუფლება ნაციონალების ძალადობას სიკეთით უპირისპირდება და ხალხის ხმას ჯეროვან პატივს მიაგებს“.

### უნიკუმების გაზეთი

ავტორებზე ვამბობ, ჟურნალისტებზე, ჭეშმარიტ პუბლიცისტებზე, რომლებიც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ქართული ჟურნალისტიკის ელიტაა, მეტიც — ეროვნული საგანძურია.

სპარტაკ ქობულიაზე უკვე ვთქვი.

ახლა — სხვებზე.

უპირველესად — **გურამ გოგიაშვილზე**, რომელიც ჩვენი ამქრის უხუცესი და მრავალმხრივ გამორჩეული აქსაკალია. უბადლო მცოდნე ქართულის, ბრწყინვალე ლიტერატორი და მთარგმნელი, რომლის ნაღვაწი არაერთხელ აღნიშნულა საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიებით.

„წაიკითხე ჩემი ნააზრევი, მკითხველო, უკეთუ ჩემთა სიტყვათა შიგან კმაყოფილებას პოულობ.

რამეთუ საეჭვოა, რომ ოდესმე კიდევ დაიბადოს ამქვეყნად ვინმე ჩემი მსგავსი“, — **ლეონარდო და ვინჩის** ეს სიტყვები წამძღვარებული აქვს აღორძინების ტიტანის გამონათქვამებისა და აფორიზმების კრებულს, რომელიც გურამ გოგიაშვილმა თარგმნა („ქართულად გადმოაენა“) და „საქართველოს რესპუბლიკის“ საიუბილეო ნომერში გამოაქვეყნა.

წაიკითხეთ და ეზიარეთ საოცრებას, სიბრძნესა და გონიერებას, რაიც ასე აუცილებელია განათლებადაცლილი და ცრულიბერალური პრინციპებით გაპრიმიტივებული და გაბითურებული ჩვენი საზოგადოებრივი აზრის გამოსაფხიზლებლად.

არც ჩვენს ხელისუფლებას აწყენს:

„იცი, რატომ არცრას არა ვწერ წყალქვეშ იმდენხანს გაძლების ჩემს ხერხზე, რამდენ ხანსაც უჭმელი გავძლებდი! არა, ამას სახალხოდ არ განვაცხადებ იმის გამო, რომ **ბოროტი ბუნება აქვთ ადამის შვილთ, რომელთაც ამ ხერხის სხვათა დასახოცად გამოყენება ძალუძთ...“**

**შიმშილით ხალხის დახოცვის ხერხზე ლაპარაკობს, და გამგები გაიგებს, რატომ ამოვარჩიე აქ და ვინჩის ბრძნულ დარიგებათა შორის მაინცდამაინც ეს ერთადერთი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“ არასოდეს იკეტებოდა ქვეყნის საზღვრებში და ყოველთვის ცდილობდა მსოფლიო კულტურის შედევრები გაეცნო ქართველი მკითხველებისთვის. პუბლიკაცია „ასე ამბობდა ლეონარდო და ვინჩი“ ამის კერძო მაგალითია. ერთ-ერთი მრავალთა შორის.

მივყვები გვერდების თანმიმდევრობას და მივადგები **ალეკო ასლანიშვილის** ნაშრომს „დიდი ბრალდება კართოფილისა და ქაშაყის თაობაზე, ანუ რა დანაშაულებისთვის დახვრიტეს ლ.პ. ბერია?“ სწორედ რომ ნაშრომს, რომელიც საქართველოს (და საბჭოთა კავშირის) ისტორიაში ურთულესსა და მასშტაბურ პარტიულ-პოლიტიკურ ინტრიგას ე.წ. მეგრელთა საქმეს შეეხება. ბატონი ალეკო, როგორც ერთადერთი თუ არა, პირველი ქართველი ჟურნალისტია, რომელმაც ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლების ბოლოს დაიწყო უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ამ პრობლემასთან დაკავშირებული გასაიდუმლოებული საარქივო მასალების შესწავლა და გამოსცა კიდეც უაღრესად საინტერესო, ანალიტიკითა და დაკვირვებებით გამორჩეული წიგნი. დაიმკვიდრა მკვლევარი ჟურნალისტის სახელი. სხვა წიგნიც აქვს გამოცემული ქართული ჟურნალისტიკის პრობლემებზე და თავადაც თვალსაჩინო პუბლიცისტია, მრავალპლანიანი და პრინციპული.

### კოლეგების თანადგომა

საიუბილეო ნომერი თავიანთი წერილებით დაამშვენეს ქართული ჟურნალისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელმა **არჩილ გოგელიამ** („ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი არა“); **თეიმურაზ ქორიძემ** („შექსპირის მოტივები ქართულ კანონშემოქმედებაში“); **ოთარ ტურაბელიძემ** („ჰესები ქართველმა ხალხმა უნდა აშენოს“); **ვაჟა დანელიამ** („ათენის ათინათი“); **თენგიზ გაჩეჩილაძემ** („საქართველოს რესპუბლიკაში“ სპორტიც 100 წლისაა“); **ეგლუჯა ბერიშვილმა** („არასოდეს ჩამორჩენილა ცხოვრების ფერხულს“); **იოსებ ჭუმბურიძემ** („არ ესმით, თუ არ უნდათ?“).

„...მკითხველები ხშირად თავად ვაქვეყნებთ ხოლმე ჩვენს საყვარელ გაზეთში ჩვენს საკუთარ მოსაზრებებს, რაც გაზეთს ნამდვილ სახალხო გამოცემად ხდის. სწორედ მკითხველისა და გაზეთის ორგანულ კავშირში აისახება ამ მიმზიდველი მედიუმის საჭიროება ხალხისთვის, უფრო სწორად, მისი გარდაუვალობა ქვეყნის სწორად განვითარების საქმეში. „საქარველოს რესპუბლიკა“ დღეს იუბილარია. მან ნიჭითა და სიმართლით იარა თავისი დასაბამიდან ამ ღირსშესანიშნავ თარიღამდე. იარა და კიდევ ივლის! დიდხანს და ღირსეულად“, — ასე მიესალმა იუბილარს წლების განმავლობაში აშშ-ში „განათხოვრებული“ და იქიდან „ემის“ პრემიით დაბრუნებული ქართველი ჟურნალისტი **ნუგზარ რუხაძე.**

საინტერესო წერილები გამოაქვეყნეს: **თამარ შაიშმელაშვილმა** — „დედამიწა ჩვენი სულების გარშემო ბრუნავს“, 2010 წლის 3 ივნისის პუბლიკაცია გოდერძი ჩოხელზე, რომელსაც ლამაზი ლექსით აგვირგვინებს:

**მაშინ ამაღლდა ზეცად**
**თეთრი ღრუბლების**
**მირქმით,**
**დედამ გაუთბო შუბლი**
**ჩუმმეამბორე ნისლით.**
**სევდად უნთია სული**
**ჟამგადამფრენი მერცხლის!**
**ჰა, დედამიწავ, შვილი —**
**გულს დაცემული ცრემლი!**

**გელა ქოქიაშვილმა** — „მართლაც რა ძალაა **ჰამლეტ გონაშვილის** ტკბილ ხმაში“: „ჰამლეტ გონაშვილის სიმღერის მოსმენის შემდეგ თქვენ უფრო ჰუმანური, კაცთმოყვარე, კეთილშობილი, მიმტევებელი, სულიერად მდიდარი და ამაღლებული შეიქნებით. ასეთი ზეციური და მაგიური ძალა აქვს დალოცვილ ქართულ სიმღერას... მის „ურმულსა“ და „ოროველას“ კინოფილმებსა და მასობრივ სანახაობებში იყენებენ, როგორც მისტიკური მოვლენის, ადამიანის ხმის შესაძლებლობის უნიკალურ გამოვლინებას“.

**P.S. ასეთად დავინახე იუბილარი რედაქციის მიერ წარმოდგენილი რეტროსპექტივა, რომელსაც დააკლდა ჩვენი აწ გარდაცვლილი კოლეგისა და მეგობრის, რუსლან რუსიას, გამობრწყინება.**

**რუსლანი ის კაცი იყო, რომელმაც ურთულეს ოთხმოცდაათიანებში, როცა პირველად დადგა გაზეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი, მკვეთრად დაეცა გამოცემის ტირაჟი, როცა „საქართველოს რესპუბლიკა“ გასახვევ ქაღალდზე იბეჭდებოდა და არარეგულარულად გამოდიოდა, იკისრა პასუხისმგებლობა, გარისკა და საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად ცეცხლმოდებული ჩრდილოეთ კავკასიიდან საგაზეთო ქაღალდი ჩამოიტანა.**

**იმ ქაოსიდან!**

**დღეს კვლავ დადგა საკითხი გაზეთის გადარჩენის.**

**მეორდება ისტორია.**

**„მეგონა სიცოცხლეს ვსწავლობ-მეთქი, თურმე კვდომას ვსწავლობდი“, — ბრძანებდა ლეონარდო და ვინჩი.**

**არმაზ სანებლიძე**

**ცნობისთვის:**

**ერთი კვირის თავზე, ანუ 2018 წლის 31 ივლისისთვის „საქართველოს რესპუბლიკის“ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხეს:**

**აკადემიკოსმა ეთერ ქემერტელიძემ — 100 ლარი,**

**გურამ ახრახაძემ — 200 ლარი,**

**გურამ საღარაძემ — 100 ლარი.**

**სულ ესაა!**




**ქვეყნის ისტორიის ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ხელისუფლებაში არავის გახსენებია: არსად, არანაირად არ აღუნიშნავს**

დაპირების მიხედვით, სამოთხეში უნდა ვცხოვრობდეთ. სამოთხეს ვინ ჩივის, სიღარიბეზე ერთი საფეხურით მაღლა რომ ვიყოთ, უდიდეს მიღწევად ჩავთვლიდით. დემოკრატიულ ქვეყანაში ხელისუფლებას, რომელიც დანაპირებს ვერ ასრულებს, აღარ ირჩევენ, მაგრამ ხელისუფლებას, რომელიც აუარესებს ცხოვრებას, პასუხისგებაში აძლევენ.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რამდენიმე შენიშვნა «მცირე მთავრობის» შესახებ

**„მცირე მთავრობა" მუშაობას შეუდგა. „ოცნების" ხელში უკვე მეოთხე მთავრობა. რას მოგვიტანს ახალი კაბინეტი, ამჯერად ბახტაძისეული? ოპტიმისტები ამბობენ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ვინაიდან პატივცემულ ბახტაძეს, ფინანსთა მინისტრობიდან შეამჩნიეს გონებამახვილური გადაწყვეტილებების მიღების უნარი, განსაკუთრებით მოსწონდათ საზოგადოებისთვის „საყვარელი" ბანკების მიმართ გამოთქმული შენიშვნები.**



ომარ მარგველაშვილი

პესიმისტები კი მიიჩნევენ, რომ არაფერი შეიცვლება, რის ვაი-ვაგლახით ჩავათავებთ წლებს ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე. მერე კი ბახტაძის ჩანაცვლების დროც დადგება.

ხელისუფლება, სანამ ქვეყნის სათავეშია, ყველაფერს აკეთებს საკუთარი თავის პატივისცემისთვის, თანაც მოჭარბებულად.

მოდიან და მიდიან, უფრო სწორად, მოჰყავთ და მიჰყავთ — არავინ იცის, რა დამსახურებისთვის, რა შეცდომებისთვის ან დანაშაულისთვის. ალბათ, გახსოვთ, ღარიბაშვილმა ცხელ-ცხელი სამომავლო გეგმების განდობის მეორე დღეს რომ შემოგვძახა ტელეეკრანებიდან — ჩემი წასვლის დრო დადგა და კარგად იყავითო.

მამაცხონებული, თუ წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, წინა დღით სამომავლო პროგრამას რატომ გვახვევდა თავს?!

ღარიბაშვილის წასვლის მოტივი ჯერაც არავინ იცის, გარდა ივანიშვილისა. ღარიბაშვილი კვირიკაშვილით ჩანაცვლდა. როგორც მაშინ ამბობდნენ, გაწონასწორებული, დინჯი მოხელით, ბანკ „ქართუში" დაფრთიანებულით, ისე, როგორც მისი წინამორბედი.

„ოცნება" კვირიკაშვილის „გაწონასწორებულობას" რომ უსვამდა ხაზს, ამით ღარიბაშვილის გაუწონასწორობლობაზე მიანიშნებდა.

გავიდა ორ წელიწადზე ცოტა მეტი და „გაწონასწორებულმაც", ისევე, როგორც მისმა წინამორბედმა, ტელეეკრანიდან გვაუწყა გადადგომის თაობაზე. არადა, მანამდე დაბეჯითებით გვიმტკიცებდა, რომ არსად წამსვლელი არ იყო.

კვირიკაშვილი უმალ ჩაანაცვლეს ბახტაძით, რომელიც ერთობ უცნობი იყო საქართველოს საზოგადოებისთვის. თავის ვრცელ ტელეინტერვიუში ივანიშვილმა გვითხრა, რომ ბახტაძე კარგად გაუძღვება საქმეს და წარმატებული პრემიერმინისტრი იქნებაო.

მესამედ გვესმის მისგან ასეთი შეფასება.

რა დამსახურებისთვის შეირჩა ბახტაძე, არვინ იცის. იცის ივანიშვილმა, რომელიც გვეუბნება, რომ „შეძლებს", მაგრამ ასე არ იყო წინა ორ შემთხვევაშიც?!

საზოგადოება ამ „სპექტაკლს" უყურებს და ტაშს უკრავს, ერთი პირის მიერ მონუსხული. არაფრად ვაგდებთ ამ გაუგებარ ექსპერიმენტებში გალეულ წლებს, გაუარესებულ ეკონომიკურ, გაუსაძლის სოციალურ ყოფას. ამ დროს **პრემიერმინისტრობიდან გადამდგარი მოხელე მშვიდად აგრძელებს ცხოვრებას, ცხადია, მატერიალურად უზრუნველყოფილი, ბიზნესში წილნაყარი. მაშინ, როდესაც დათრგუნული ქვეყანა და დაბეჩავებული ხალხი, სოციალური უსამართლობით გამოფიტული, სასოწარკვეთილია.**

ის, რაც სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის დროს ხდებოდა, ვერაფრით ჯდება დემოკრატიის ჩარჩოებში. ის, რაც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ხდება — მთავრობის მოყვანა-წაყვანა ხალხთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, უფრო მეტიც ინფორმირების უგულებელყოფა — დემოკრატია არ არის.

კვირიკაშვილი წაიყვანეს, როგორც ამბობენ, მიზეზი ხალხის ცხოვრების დონის მკვეთრი გაუარესებაა, ანუ სიღარიბე. ამ ამბავმა ისე შეძრა ერი და ბერი, თითქოს რაღაც ახალი გაიგესო. რა, განა ჩვენთვის უცნობია ის ამბავი, რომ ქვეყანა ღატაკია, უმუშევრობა მატულობს, იზრდება უცხოეთში წასვლის მსურველთა რაოდენობა, მოსახლეობა, განსაკუთრებით პენსიონერები, ლამის წელში გაწყდნენ, ბავშვები რომ შიმშილობენ?!

**დაპირების მიხედვით, სამოთხეში უნდა ვცხოვრობდეთ. სამოთხეს ვინ ჩივის, სიღარიბეზე ერთი საფეხურით მაღლა რომ ვიყოთ, უდიდეს მიღწევად ჩავთვლიდით. დემოკრატიულ ქვეყანაში ხელისუფლებას, რომელიც დანაპირებს ვერ ასრულებს, აღარ ირჩევენ, მაგრამ ხელისუფლებას, რომელიც აუარესებს ცხოვრებას, პასუხისგებაში აძლევენ.**

მძიმე ვითარების გამოსწორება ბახტაძეს დაევალა და ისიც შეუდგა მოღვაწეობას ახალი წინადადებებით, რომელთა შორის „მცირე მთავრობის" თემა ზომაზე მეტად არის რეკლამირებული. რას ნიშნავს „მცირე მთავრობა"? ბახტაძემ რაც გვითხრა, ეს სიახლე, პირდაპირი გაგებით, სამინისტროების შემცირებაა — მექანიკურად, თვალის ასახვევად.

**მძიმე ვითარების გამოსწორება ბახტაძეს დაევალა და ისიც შეუდგა მოღვაწეობას ახალი წინადადებებით, რომელთა შორის «მცირე მთავრობის» თემა ზომაზე მეტად არის რეკლამირებული. რას ნიშნავს «მცირე მთავრობა»? ბახტაძემ რაც გვითხრა, ეს სიახლე, პირდაპირი გაგებით, სამინისტროების შემცირებაა — მექანიკურად, თვალის ასახვევად**

სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ასეთი, ერთობ ვოლუნტარისტული მიდგომა უდავოდ ზედაპირულია. ამ პროცესში პატრონი არ გამოუჩნდა რამდენიმე სამინისტროს, მათ შორის, კულტურის, რომელიც განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში შეტენეს, ანუ ჰუმანიტარული დარგის ახალ მინისტრთა საბჭოში.

კულტურის სამინისტრო, რომელიც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს დარგებს კურირებდა, ისტორიას ჩაბარდა. გამოდის, რომ ხელისუფლებას აღარც ის დარგები აინტერესებს და აღარც კულტურა, რომელმაც მსოფლიოში გაიტანა საქართველოს სახელი. განათლების სამინისტროს შეკედლებული კულტურა კი არა, ცალკე სამინისტროდ არსებულიც ვერ მართავდა დარგს.

**რა გაეწყობა, არც კულტურა უნდათ და არც განათლება. დარწმუნებული ვარ, 2 წლის შემდეგ შეკვეცილ სამინისტროებს კიდევ უფრო შეკვეცენ და დაგვრჩება პრემიერმინისტრი და თითო-ოროლა ვიცეპრემიერი.**

გახსოვთ, ალბათ, შევარდნაძის პერიოდი, როგორ გააუქმეს მშენებლობის სამინისტრო და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც დეველოპერულ მაფიას ხელს უშლიდა. რა მივიღეთ? — ძალადობა მშენებლობაში, უკონტროლობა, არაპროფესიონალიზმი, ერთმანეთს „მიწებებული" საცხოვრებელი კორპუსები, რომელთა ხარისხის, უფრო სწორად, უხარისხობის თაობაზე ბევრს წერდნენ და წერენ სპეციალისტები. დედაქალაქმა სახე დაკარგა და ერთ „საწილე რაიონს" დაემსგავსა.

**დავემშვიდობეთ კულტურის სამინისტროს და მასთან ერთად — კულტურას. ვინღა მიხედავთ კულტურის ძეგლებს, ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, თეატრებს, ესტრადას, სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომელთა გარეშეც საქართველო რა საქართველოა?! იქნებ სწორედ ეს უნდა დღევანდელ მედასავლეთე ხელისუფლებას და მის ევროატლანტიკურ მისწრაფებას?!**

ისტორიის, ტრადიციის, ხელოვნების, სულიერებისა და კულტურის გარეშე დარჩენილი ქვეყანა რა ქვეყანაა?!

ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ სახელმწიფო ხარჯების შემცირება დიდად წაადგება გაუარესებული სოციალური პრობლემების მოგვარებას, ისევე, როგორც შავი ფერის ჯიპების თეთრით შეცვლა.

ხარჯების შემცირება მაშინ იქნებოდა ეფექტიანი, თუ დაზოგილს მიზნობრივად გამოიყენებდა ხელისუფლება და არ დახარჯავდა ძვირადღირებულ არაფრისმომცემ უცხოურ ვოიაჟებში, აქ ჩამოსული სტუმრებისთვის ზღაპრულ პურმარილებში; არ გაიზრდიდა ხელფასებს, დანამატებს და პრემიებს.

ხელისუფლებამ ფულის დაზოგვის მიზნით სამინისტროების რაოდენობა შეამცირა, მაგრამ სიტყვაც არ თქვა ქუთაისიდან თბილისში პარლამენტის გადმოტანაზე. არადა, იქ პარლამენტის არსებობა, პარლამენტართა და აპარატის მუშაკთა წინ და უკან სიარული, ავტომანქანების საწვავი და ბინების დაქირავება მილიონები უჯდება სახელმწიფო ბიუჯეტს.

მომჭირნეობაზე ლაპარაკობენ და პეკინის ქუჩაზე ველომოყვარულთა ძვირადღირებული ტრასა გააკეთეს. ვისთვის და რისთვის?

**ეს ქალაქის ყოფილ მერს თუ ეგონა, რომ ჰოლანდიასავით სახელმწიფო მოხელე ველოსიპედით მივიდოდა სამსახურში, მწარედ ცდებოდა, ვინაიდან საველოსიპედე ახალგაზრდობა (და ასეთია მთელი მთავრობა) ტროლეიბუსისხელა ჯიპებზე არის წამომჯდარი. ვინ გადასვამს მათ ველოსიპედზე?!**

კალაძის, ქალაქის მერის, გასაგონად ვიტყვი: ხალხმა შავჯიპიანი მოხელე ავტომობილის ფერის გამო კი არ შეიძულა, — ფასის გამო. შავსა და თეთრს ერთი და იგივე ფასი აქვს. კალაძე სხვა ქუჩებზეც გვპირდება ველოტრასის მოწყობას, რაც ფუქსავატურად ფულის განიავებას ნიშნავს, გარდა ამისა, მავნებელია იქ ველოსიპედით ნავარდი, მძიმე გამონაბოლქვის გამო. ნუთუ ძნელია იმის შეგნება, რომ „მთაგორიან" თბილისში ველოსიპედი სატრანსპორტო საშუალებად არ გამოდგება?!

მსგავს პროექტებში უჭკუოდ ფულის გადაყრა აპარტახებს ქვეყანას. გაიხსენეთ ყოფილი ფინანსთა მინისტრის, ხადურის, ხელგაშლილობა ან რამდენს ხარჯავს მერია უცხოური დეკორატიული მცენარეების შესაძენად და საახალწლოდ თბილისის მოსართავად. თავი შეიკავეთ მსგავსი უაზრო ხარჯებისგან და დანაზოგიც გაჩნდება.

„მცირე მთავრობა" არ შეხებია ისეთ საკითხს, როგორიცაა მარეგულირებელი კომისიების დაფინანსება. იქ გაცილებით მეტი საბიუჯეტო თანხა იხარჯება, ვიდრე სამინისტროებში. ჯერაც არავის დაუყენებია მარეგულირებელი კომისიების ყოფნა-არყოფნის საკითხი. იმიტომ ხომ არა, რომ შემდეგ რა ეშველება იქ „დასაქმებულ" მაღალხელფასიან ნათესავ-მეგობრებს?

ჩემი აზრით, მარეგულირებელთა საქმე მინისტრთა კაბინეტის აპარატმა უნდა იტვირთოს.

ამას წინათ გავეცანი პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილის წერილს საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე. ვეთანხმები მის მოსაზრებას უცხოეთში საელჩოების შეკვეცის თაობაზე, განსაკუთრებით, ისეთ ქვეყნებში, რომლებთანაც საქართველოს არავითარი პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირი არ აქვს და არც ექნება.

სხვა მრავალი მაგალითის მოყვანაც შეიძლება, მაგრამ არის „მცირე მთავრობა" იმის გამთვალისწინებელი, რაც აქ დავწერე?

„მცირე მთავრობამ" მუშაობა დაიწყო. შეპირებებიც გაჩნდა — ფართო და მრავალმხრივი. ვნახოთ, რას მოგვიტანს მორიგი ექსპერიმენტი.

დაბოლოს.

პრემიერმა და მცირე მთავრობამ მოღვაწეობა მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციით დაიწყო. განა რომელიმე ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ჩვენი მომავალი თაობის დამღუპველი გადაწყვეტილება „ზემდგომებთან" შეთანხმების გარეშე მიიღო?!

**«ის, რაც სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის დროს ხდებოდა, ვერაფრით ჯდება დემოკრატიის ჩარჩოებში. ის, რაც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ხდება — მთავრობის მოყვანა-წაყვანა ხალხთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, უფრო მეტიც ინფორმირების უგულებელყოფა — დემოკრატია არ არის»**

**ომარ მარგველაშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, პროფესორი**

საკითხავი აი ეს არის...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როგორი ადამიანი სჭირდება ახალ დროს? ვინ უნდა აღზარდოს საზოგადოებამ? დროა, შეიგნონ, რომ პატიოსნება, გულწრფელობა, გატაცება, ერთგულება, მაგრამ არა ოქროსადმი, არამედ კაცობრიობის მაღალი იდეალებისადმი, დანაშაული კი არა, არამედ ძალაა აუცილებელი სახელმწიფოსათვის, სასარგებლო საქმეა ხალხის განვითარებისათვის“.**

# საქართველოს მიზნები მხოლოდ ზომიერების გზით მიიღწევა

„რა ჭამა ჩვენმა მთავრობამ იმდენი, რომ ჩვენსავე სამშობლოში ჩვენვე ვიჩაგრებით?!“ — ეს ერთი რიგითი ქართველის სამართლიანი გულისწყრომაა; ისეთის, რომლის მსგავსთა მხრებზეც ოდითგან დგას საქართველო, რადგან უყვარს და რუდუნებით უფრთხილდება ყველაფერ ქართულს — ტრადიციებს; მიწას; ძეგლებს; თითოეულ ჩუქურთმას, საუკუნეების წინათ ქართველი ოსტატის ხელით გამოკვეთილს... სტუმარიც უყვარს და სათანადო პატივს მიაგებს, თუმცა დღეს ჯაყოსავით შემოსახლებული უცხოელების მიმართ კეთილგანწყობას ნამდვილად არ ამჟღავნებს. ძველი ქართული გამონათქვამიც კი არსებობს ასეთი: „როგორც მოსვლით გამახარე, ისე წასვლით გამახარეო“... დღეს ჩვენ მოსვლით იმდენჯერ გვახარებენ არაბები, ირანელები, თურქები თუ ათასი ჯურის გადამთიელები, რომ, როგორც ჩანს, „ვებრალებით“ — მეტისმეტი სიხარულისგან გული არ გაუჩერდეთო, და წასვლის სიხარულისგან „გვზოგავენ“.

მაგრამ, იმ რიგითი ქართველისთვის, ზემოთ რომ ვახსენე, პოეტის თქმისა არ იყოს, ძნელი ასატანია, დადიოდეს და ფიქრობდეს: ეს არ არის საქართველო!

მართლაცდა: „რა ჭამა ჩვენმა მთავრობამ იმდენი, რომ ჩვენსავე სამშობლოში ჩვენვე ვიჩაგრებით?!“

ქართველ ერს წარსულში საკმარისად გვყავდა გონიერი კაცები, რომელთაც „ერის წყლული აჩნდათ წყლულად“ და მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება ერისთვის „ტანჯვის ცრემლის“ მოწმენდას ცდილობდნენ. ისინი დღესაც შესანიშნავი მრჩეველნი და დამკვალიანებლები იქნებოდნენ, თუ ვინმე ჩაუღრმავდება მათ ნააზრევს.


ნიკო ნიკოლაძე

„დროსგასწრებულ მოაზროვნეს“ უწოდებდნენ ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც დიდი ენთუზიაზმით ეხმიანებოდა მსოფლიოში მიმდინარე ყველა პროცესს, რომლებსაც სწორად, ხშირად კრიტიკულადაც აშუქებდა კიდეც. ნიკო ნიკოლაძე მაქსიმალისტი იყო, თუმცა ყველაფერში ზომიერებას ანიჭებდა უპირატესობას, განსაკუთრებით — ქვეყნის ეროვნული და პოლიტიკური პრობლემების მოგვარების საქმეში. **„ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიღწევნებაო“.**

და რას ნიშნავს **ზომიერება** დღეს?

სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი არ გვაქვს.

და იმასაც ამტკიცებდა ბატონი ნიკო, რომ **გადაჭარბებული რადიკალიზმი დამღუპველია** ქვეყნისთვის: **„გონიერი კაცი და ერი თავისუფლებას თუ ავტონომიას მით იძენს, რომ ანგარიშიანი მართვით ჯერ თავის შინაურ, მერე სამრეწველო, შემდეგ საზოგადო, ბოლოს პოლიტიკური საქმეების საშუალებით იგვარებს უმაღლეს სახელმწიფო საკითხს“.**

**გადაჭარბებული რადიკალიზმი** ღუპავს დღესაც ქვეყანას.

ევროპული განვითარების კურსი კი მას საქართველოსთვის იდეალურ ვარიანტად მიაჩნდა, მაგრამ ეს ის ევროპული კურსი არ არის, რომლისკენაც დღეს ქვეყანას ექაჩებიან ლიბერალები, ვაიქართველები.

მოვუსმინოთ ნიკო ნიკოლაძეს: **„ერთი და იგივე ძალა მართავს ქვეყნიერების ფიზიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას: ის, რომელიც მთვარეს აბრუნებს დედამიწის ირგვლივ და მათ ორივეს მზის გარშემო, ორიენტაცია შთაგონებით არ ხერხდება, ხალხი, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, თავისთავად მუდამ იქეთ იქცევს პირს, საიდანაც მზე სხივს ჰფენს და ღვივის. საქართველო წარსულში ორიენტაციას ყოველთვის იქეთ მიმართავდა ხოლმე, საიდანაც სინათლე და მოძრაობა მოდიოდა. შემცდარია, ვინც ფიქრობს, ვითომც რომელიმე მეფეს, წოდებას ან თაობას თავის ნებაზე შეძლებოდეს საქართველოს აქეთ და იქეთ მიბრუნება. სანამ განათლება და ცხოვრება ბიზანტიაში ენთო, საქართველოსაც მზესუმზირასავით თვალი იქეთ ეკავა, როცა სპარსეთი აყვავდა ინდოეთის კულტურაზე დაწაფებით, ჩვენი აღორძინებაც მისკენ მიიმართა, აზრი მისკენ გვქონდა, პეტრე დიდისა და ეკატერინე მეორის ამაგმა რუსეთი რომ გააჩაღა, საქართველოც ძალაუნებურად მან წარიტაცა ფიზიკის კანონით. როცა სხვადასხვა ძალა ერთ და იმავე საგანს თავისკენ უქაჩავებს, ამ საგნის მდებარეობას სწყვეტს მებრძოლი ძალების უძლიერესობა, — საგანს, უნდა თუ არ უნდა, ყოველთვის მომრევი გადითრევს“.**

როგორი ადამიანი სჭირდება ახალ დროს?

გასულმა საუკუნემ ახალი რეალობის, საზოგადოებრივ, სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურულ სიახლეთა რეალობის წინაშე დააყენა ქვეყანა. ახალ ქვეყანას ახალი მაჯისცემა გაუჩნდა, ამან წამოჭრა საკითხი: **„როგორი ადამიანი სჭირდება ახალ დროს? ვინ უნდა აღზარდოს საზოგადოებამ? დროა, შეიგნონ, რომ პატიოსნება, გულწრფელობა, გატაცება, ერთგულება, მაგრამ არა ოქროსადმი, არამედ კაცობრიობის მაღალი იდეალებისადმი, დანაშაული კი არა, არამედ ძალაა აუცილებელი სახელმწიფოსათვის, სასარგებლო საქმეა ხალხის განვითარებისათვის“.**

**„ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინახა, რომ საზოგადოებრივი წესი და წყობა ადამიდამ შეუცვლელი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის თურმე კაცის ხელით შექმნილა და კაცის ხელითვე შეიცვლება“.**

XXI საუკუნის გარიჟრაჟზეც იგივე კითხვა გაჩნდა ჩვენ წინაშე: როგორი ადამიანი სჭირდება ახალ დროს?

მოდი ჯერ ვიკითხოთ, როგორია დღევანდელი ქართველი.

ერთნი არიან დაბნეული, უიმედო, ხელჩაქნეული...

მეორენი — გაზულუქებული, თუმცა უთავმოყვარეო და უცხოთა ყურმოჭრილი მონები... სამშობლოს მათთვის კიტრის ფასი აქვს, თუმცა არც მათ აქვთ ფასი სამშობლოსთვის...

**«ამ გასაჭირში, როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი. წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა. უნდა მოვახერხოთ, გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოეთს ვთხოვდეთ საყიდ საქონელს... უნდა გაიხსნას უამრავი ფაბრიკა-ქარხანა»**

მესამენი კი — ქუდზე კაცის დაძახების მოლოდინში გარინდულნი, იმედის თვალით უცქერიან მომავალს. სწამთ, რომ **„სამარცხვინო და სათაკილო ქვეყანაზე მარტო უსაქმურობა და მუქთა პურის ჭამაა“;** იციან შრომის ფასი და ის, თუ რა გადაარჩენს ქვეყანას.

**„სანამ ჩვენ არ მოვარხებთ, ისე მოვაწყოთ საქმე, რომ მეტი ღირებულების საქონელი გავიტანოთ, ვიდრე შემოვიტანოთ, მანამდე ჩვენი ვალუტა იქნება სუსტი და დაცემული“,** — ცდილობდა თანამემამულეების დარწმუნებას ნიკო ნიკოლაძე. მიაჩნდა რა სახელმწიფოს გაძლიერების ბერკეტად საკუთარი წარმოების აღორძინების აუცილებლობა, ეროვნული ვაჭრობისა და ეროვნული მრეწველობის განვითარება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა, მეზობელ ქვეყნებთან კავშირის გაუმჯობესება, სამამულო მაღალგანვითარებული ეკონომიკის ჩამოყალიბება. **„ამ გასაჭირში, როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი, წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა, უნდა მოვახერხოთ, გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოეთს ვთხოვდეთ საყიდ საქონელს“;** უნდა „გაიხსნას უამრავი ფაბრიკა-ქარხანა“.

დიდი მოაზროვნე ამტკიცებდა, რომ „საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა ხალხის პოლიტიკური კულტურის დონის ამაღლებით, მისი ზნეობრივი და გონებრივი განვითარების წყალობით უნდა მოხდეს“.

დღეს ჩვენი ვალუტის გასაძლიერებლად და საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ეს კიდევ ერთი სასარგებლო და ყურადსაღები რეკომენდაციაა.

ნიკო ნიკოლაძეს ქვეყნის გადარჩენისთვის აუცილებლობად მიაჩნდა ქვეყანაში მრავალპარტიული მმართველობის არსებობა. **„ერთსულოვანი, ერთფეროვანი საკრებულო, კამათისა და პარტიათა ბრძოლის გარეშე სხვა არაფერია, თუ არა ცარიელი ქაღალდის ფურცელი, რომელზეც, ვაი, რომ არავის აქვს საწერი“.** ერთფეროვანი, ერთპარტიული საკრებულო **„არაფერს წარმოადგენს, სრულიად არაფერს, ქიმერისა და უნაყოფობის გარდა. მასში არაა ცოცხალი მუშაობა და სასარგებლო, ნაყოფიერი შრომა ჯან-ღონით, ცოდნითა და იდეებით, ენერგიითა და მტკიცე რწმენით სავსე ადამიანებისათვის“.**

როცა ნიკო ნიკოლაძე ქვეყნის მმართველობაში მრავალპარტიულობის აუცილებლობაზე საუბრობდა, ვერც კი წარმოიდგენდა ისეთ მრავალპარტიულ მართველობას, დღეს რომ გვაქვს საქართველოში; ისეთ პარლამენტსა და მთავრობას, რომლებშიც პარტიების წარმომადგენლები კრილოვის იგავის გმირებივით სხვადასხვა მხარეს წეწენ ქვეყანას, ოღონდაც ხელი მოითბონ, ჯიბე გაისქელონ.

ასე „ესმით“ მათ პატრიოტიზმი!

ნიკო ნიკოლაძე, როგორც ეროვნულ-დემოკრატი, ოპოზიციაში ედგა სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას, მისი გამოსვლები ყოველთვის საქმიანი და კონსტრუქციული იყო: **„ჩვენ როდესაც ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ არა იმიტომ, რომ გითხრათ, ჩამოდექით და ჩვენ დავსხდებით თქვენს სკამებზეო, ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი მამულის და თავისუფლების განმტკიცება, ჩვენ მტრულად კი არ ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ ძმურად!..“**

დღეს პარლამენტის სხდომების ტელეეთერით პირდაპირი ტრანსლაციისას საპირისპიროში ვრწმუნდებით, როდესაც ქვეყნის კანონმდებელნი ერთმანეთთან ქიშპობით სწორედ ამას ამბობენ: „ჩამოდექით და ჩვენ დავსხდებით თქვენს სკამებზეო“.

დიდ რეფორმატორს საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა და გაძლიერება მიაჩნდა უპირველეს პრიორიტეტად. ის გამუდმებით ფიქრობდა ქვეყანაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და საზღვარგარეთ გატანის საქმეზე, რკინიგზებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. **„როგორც დაარსდა ჩვენი ქვეყანა, როგორც გამოცხადდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, უნდა დაგვეწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ შევქმნათ ნამდვილი დამოუკიდებლობა ჩვენი რკინიგზის, მიმოსვლის, ჩვენი მრეწველობისა და მეურნეობის განვითარებით!..“**

მას მიაჩნდა, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ჰიდრორესურსების წყალობით და მათი გეგმაზომიერი ათვისებით შესაძლებელი იქნებოდა „აუცილებელი რევოლუცია ეკონომიკურ წეს-წყობაში, რევოლუცია ფინანსებში, მრეწველობაში“.

„დღესასწაული მოელის ჩვენს მთიან ქვეყანას!.. — წერდა იგი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში, — აი, მაშინ გაუთენდება აღდგომა ჩვენს მთებს! რამდენი მთის მდინარე, რამდენი ჩანჩქერი, რამდენი მოძრავი ძალა გვაბადია! ეს ყველაფერი გამოიყენება. ეს აუარებელ ჩარხებს, დაზგებს, მანქანებს აამოძრავებს. მილიონ ოჯახში, რომელნიც შინაურ ხელობას, შინაურ ცხოვრებას დაუბრუნდებიან. აქამდის ხალხი ჩვენი წინაპრების სადგომიდან მთებიდან ძირს მიელტვოდა ვაკეს დასაკავებლად, სადაც ხვნა-თესვა უფრო უადვილდებოდა. ეხლა კი პირიქით — ვაკედან მთებისკენ, მოძრავ ძალისკენ ავა“.

ნიკოლაძე თვლიდა, რომ ამავე ჰიდრორესურსების წყალობით შესაძლებელი გახდებოდა რკინიგზის დამოუკიდებელი დენის წყაროთი უზრუნველყოფაც: „როცა ის გვექნება ხელში, მაშინ ჩვენ გვექნება ნამდვილი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა“.

ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ ქვეყნის გაძლიერებისათვის აუცილებელია ბაქო-ბათუმისა და გროზნო-ფოთის ნავთობსადენის მშენებლობა ისე, რომ ორივე ნავთობსადენმა აუცილებლად გაიაროს საქართველოს ტერიტორიაზეო. მისი სიტყვით, **„ჩვენ უნდა გავაკეთოთ მილი გროზნომდის იმისთვის, რომ ბაქოს სათამაშონი არ გავხდეთ, როგორც დღესა ვართ“.** ნ. ნიკოლაძის ამ და სხვა პრაქტიკულ პროექტებს სკეპტიკურად და ირონიულადაც კი უყურებდნენ მთავრობის წარმომადგენლები, მაგრამ ის მაინც დაუღალავად შრომობდა და ეძებდა უცხოელ ინვესტორებს.

აქ უნებლიეთ გაგახსენდათ, ალბათ, მკითხველო, ის გაზსადენები, რომელთა გაყვანამ და გახსნამ სიხარულის კურცხლები აყრევინა ყველა გულანთებულ ქართველს: ავშენდით! გავკეთდით! აწი რაღა გაგვიჭირდებაო...

მაგრამ...

მაგრამ ბუნებრივი აირიც გაგვიძვირეს და ელექტროენერგიაც, ლამის უფასოდ რომ გვექნებოდა, გვეგონა....

და დავრჩით ასე — პირშიჩალაგამოვლებულები.

სამაგიეროდ გაკეთდნენ ინვესტორები და ჩვენი შადიმანებიც, ალბათ!

ამასობაში კი მავანნი, რომლებსაც ხმლითა და მახვილით არ აკარებდნენ ქვეყნის საზღვრებს ჩვენი სახელოვანი წინაპრები, ჭილყვავივით შემოესივნენ საქართველოს; მოვიდნენ ტურისტებად, სტუმრებად, მოგზაურებად, ინვესტორებად, ბიზნესმენებად... და უკან, თავიანთ სამშობლოში, აღარ უნდათ გაბრუნება, რადგან მოსწონთ აქაურობა, შეიძინეს მიწები, სხვა უძრავ-მოძრავი ქონება და ცდილობენ დამკვიდრებას.

აქაც დავკარგეთ ზომიერება. დიდმა ნიკომ კი — „ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიღწევნებაო“.

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

დედაქალაქის ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**XIX საუკუნის 30-იან წლებში ერევანსკის მოედნის შუაგულში გასაყიდი შეშის ურმების გასაჩერებელი იყო, კვირაობით კი დიდი და აურზაურიანი ბაზრობა იმართებოდა. რა არ იყიდებოდა აქ: მწვანილი და ფართალი, ავეჯი და ოთხფეხი საქონელი, ქათიბი და მუნდირი, შეშა და თივა, ყარამანიანის პორტრეტები და ბუკინისტური წიგნებიც.**

მოედანმა თავისი არსებობის მანძილზე არაერთი სახელი გამოიცვალა. თავდაპირველად შტაბის მოედანს უწოდებდნენ.

1825 წლიდან ამიერკავკასიის ჯარების სარდალი, ხოლო 1827 წლიდან კავკასიის მეფისნაცვალი იყო გენერალი პასკევიჩი. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში პასკევიჩმა სასტიკად დაამარცხა თურქეთის მრავალრიცხოვანი არმია და გაათავისუფლა მისგან მიტაცებული ქართული ტერიტორიები – ახალციხე და ახალქალაქი, აგრეთვე, თურქები გარეკა სომხეთის დედაქალაქ ერევნიდან. 1828 წელს რუს გენერალ პასკევიჩს ერევნის ციხესიმაგრის აღების გამო ერევნის გრაფის — პასკევიჩ-ერევანსკის წოდება მიანიჭეს.

1851 წელს მოედანზე დასრულდა თეატრისა და ქარვასლის შენობა, ამიტომ მოედანს ერთხანს თეატრალურს უწოდებდნენ. როცა 1856 წელს პასკევიჩი გარდაიცვალა, მის პატივსაცემად ცენტრალურ მოედანს თბილისში ყოფილი მეფისნაცვლის — გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის სახელი უწოდეს.

ამის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, ამ მოედანს თბილისში შემოკლებით ერევანსკის მოედანს უწოდებდნენ. ხოლო უფრო გვიან, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, დაუმკვიდრდა სახელი ერევნის მოედანი.

1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად მოედანს სახელი შეეცვალა და თავისუფლების მოედანი ეწოდა. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ მას ჯერ ზაკფედერაციის მოედანი (ამიერკავკასიის მოედანი) ერქვა (ამიერკავკასიის სფსრ-ის შექმნის გამო), შემდეგ კი — ლენინის მოედანი. ძალიან მოკლე დროით მოედანმა იარსება ბერიას მოედნის სახელით (1953 წლამდე). 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ინიციატივით მოედანს დაუბრუნდა ძველი სახელი — თავისუფლების მოედანი.

# თავისუფლების მოედანი


ერევნის მოედანი


ლენინის მოედანი

თბილისის მთავარ მოედანს დაახლოებით ორი საუკუნის ისტორია აქვს. მოედანი არცთუ შორეულ წარსულში ქალაქის გალავნის გარეთ მოქცეულ უკაცრიელ ადგილს წარმოადგენდა, მეფეთა ბაღებით გარშემორტყმული და ლეღვის ხეებითა და შირაზის ვარდებით დამშვენებული. გალავნის კედელი დაახლოებით დღევანდელი მოედნის აღმოსავლეთ მხარის განაშენიანების ხაზს გასდევდა (ოდნავ სიღრმეში) და პუშკინის ქუჩის გასწვრივ ეშვებოდა. იქ კი, სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ერწყმის მოედანს, ქალაქის ერთ-ერთი მთავარი კარიბჭე **კოჯრის კარი** იყო. აქედან ორი გზა იწყებოდა: ერთი ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა (ამჟამინდელ რუსთაველის გამზირის ხაზზე), მეორე კი კოჯრისკენ მიდიოდა დღევანდელი ლეონიძის ქუჩის გაყოლებით.

XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის — **პლატონ იოსელიანის** ცნობით, დღევანდელი მოედნის ჩრდილოეთ მხარეზე, XVII საუკუნის მიწურულს **მეფის ქარვასლა** მდგარა. იგი საკმაოდ დიდი ყოფილა და ოთხმოცამდე სადგომს მოიცავდა. მისივე ცნობით, ქარვასლა თურქებს დაუნგრევიათ 1724 წლის შემოსევისას. ვახუშტისა და XVIII საუკუნის 80-იან წლებში შედგენილ თბილისის გეგმებზე მოედნის ტერიტორია სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ბაღებითაა გარშემორტყმული. ვახუშტის მიხედვით, აქ იყო მეფის, დედოფლისა და მამასახლისის ბაღები, ხოლო პიშჩევიჩის 1785 წლის გეგმაზე, მეფისა და დედოფლის ბაღების გარდა, გიორგი ბატონიშვილის ბაღიც არის აღნიშნული. ვახუშტი ბატონიშვილს ამ ადგილებში ერთადერთი შენობა აქვს ნაჩვენები, რომელსაც იგი **ბეჟანის ქარვასლას** უწოდებს. იგი დაახლოებით იქ იდგა, სადაც ქალაქის თვითმართველობის შენობა.

ვრცელ მინდორს **სოლოლაკის ხევი** (გვიანდელი **ავანაანთ ხევი**) კვეთდა. ხევს სოლოლაკის ქედის ფერდობიდან წამოსული ნიაღვარი ჩაუყვებოდა მტკვრისკენ. ძალიან ღრმა და განიერი ხევი იყო.

ერევანსკის მოედანზე ხევის არსებობისას მოედანი პრაქტიკულად ორად იყო გაყოფილი. უფრო სწორად კი, მოედანი რეალურად 1824-1825 წლებში აგებული „საქალაქო სახლის" (მოგვიანებით „კავკასიის კორპუსის შტაბი") წინ ჩამოყალიბდა (დღევანდელი პუშკინის სკვერის ტერიტორიაზე). იგი სამი მხრიდან მოშენებული იყო, ხოლო სამხრეთიდან ხევი საზღვრავდა, რომელიც მოგვიანებით თეატრის შენობამ ამოავსო. **შედეგად თეატრსა და საქალაქო პოლიციის შენობას შორის გაჩნდა ახალი მოედანი, რომელსაც უწოდებდნენ სწორედ „თეატრალურს".** უკვე 1934 წელს, როდესაც დამწვარი თეატრის შენობა აიღეს, მოედანი გაერთიანდა და შეიქმნა ის ურბანული სივრცე, რომელსაც დღეს უკვე თავისუფლების მოედანი ჰქვია.

1847-1851 წლებში გადაიხურა სოლოლაკის ხევის ერთი ნაწილი (ლეონიძის ქუჩა და მოედანი). ეს გამოწვეული იყო ამავე წლებში მოედანზე თეატრისა და ქარვასლის მონუმენტური შენობის აგებით (იტალიური კლასიციზმი; არქ. ჯოვანი სკუდიერი). ერევანსკის მოედნის ქვეშ გაიყვანეს ვეებერთელა ხვრელი წყლის გასასვლელად.

1850 წლის გაზეთ „კავკაზში" ვკითხულობთ: „26 ივლისს, ნაშუადღევის 5 სთ-ზე თბილიში მოვიდა კოკისპირული წვიმა, წყალმა სოლოლაკში მოიტაცა ძროხა, გაატარა ერევნის მოედნის ქვეშ გაყვანილ ვეებერთელა ხვრელში და ჩაიტანა მუხრანის ხევთან". ეს ხევი იწყებოდა სოლოლაკის ყელიდან (ამაღლების ეკლესიის ტერფი, ამჟამად დავითაშვილის ქუჩა), კვეთდა გუდოვიჩის (ჭონქაძის), რტიშჩევის (ჯაფარიძის), პასკევიჩის (მახარაძის), სერგიევის (მაჩაბლის) დაუსახლებელ ქუჩებს, გზას იკაფავდა ერევნის მოედნისკენ და ჩადიოდა მტკვარში მუხრანის (ბარათაშვილის) ხიდის ქვეშ.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ერევანსკის მოედნის შუაგულში გასაყიდი შეშის ურმების გასაჩერებელი იყო, კვირაობით კი დიდი და აურზაურიანი ბაზრობა იმართებოდა. რა არ იყიდებოდა აქ: მწვანილი და ფართალი, ავეჯი და ოთხფეხი საქონელი, ქათიბი და მუნდირი, შეშა და თივა, ყარამანიანის პორტრეტები და ბუკინისტური წიგნებიც.

პუშკინის ქუჩაზე ძველად ჩაიხანები და მიკიტნის დუქნები იდგა, სადაც სხვადასხვა აზარტული თამაშით ერთობოდნენ. ქუჩებში საზანდარი თავისუფლად მღეროდა ქალაქურ მუსტაზადებს.

როცა ვორონცოვის ბრძანებით 1847 წელს მოედანზე თეატრი და ქარვასლა ააგეს, ბაზარი ცოტა ქვევით დასწიეს, სწორედ იქ, სადაც ახლა პუშკინის სკვერია. ბაზრის ხალხის მოსაზიდად და გასართობად ბალაგანები იყო გამართული. აქ იაფფასიანი ცირკის არტისტები ოინბაზობდნენ. „ივერიაში" 1899 წელს პეტრე უმიკაშვილი წერდა, რომ ერთ მხარეს ჯამბაზი გადიოდა თოკზე, მეორე მხარეს ცნობილი აბელა იდგა ოჩოფეხებზე და ხალხს აცინებდა. ამ უბანს ჩოჩქოლი და ღრიანცელი არ აკლდა. დღე ბაზრობა იყო, საღამოთი – ცირკი. პოლიცია, რომელიც ჯარში ნამყოფი ინვალიდებისგან შედგებოდა, ყურსაც არ იბერტყავდა ქალაქში წესრიგის დასაცავად. ერევნის მოედანი სრულიად მოუვლელი და უყურადღებოდ იყო მიგდებული. უჩვეულო ბაზარს ზედ ერთვოდა ჭუჭყი, ტალახი. ქვაფენილები ცოტა მოგვიანებით გაჩნდა.

ერევნის მოედნის ეს ბაზარი 1885 წლამდე ბოგინობდა. 1885 წლის 23 ივნისიდან ბაზარი ვერაზე გადაიტანეს. მოვაჭრეებს ყაზახები ძალისძალათ ერეკებოდნენ. ურმები, პოვოსკები გარეკეს ვერაზე, კვერცხის, ქათმისა და მაწვნის გამყიდველებიც მიაყოლეს.

ბაზრის ადგილზე ბაღი გაშენდა, რომელსაც ხალხი **ახალ ბაღს** უწოდებდა. 1892 წლის 25 მაისს ერევანსკის მოედნის ახალ ბაღში ქართული საზოგადოების შეწირულობის ხარჯზე დაიდგა **პუშკინის ბრინჯაოს ბიუსტი** (მოქანდაკე რ. ხუდოროვიჩი), რის შემდეგაც მას პუშკინის სკვერი დაერქვა. ბაღის ხშირი სტუმრები იყვნენ სემინარიის მოწაფეები, რომლებიც თავისუფალ დროს საუბრობდნენ პოეზიაზე, პოლიტიკაზე.

მოედნის ინტენსიური განაშენიანება XIX საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო. მოედნის დღევანდელი მოშენება, ერთი-ორი ნაგებობის გარდა, XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა და სტილისტურად საკმაოდ ჭრელ სურათს ქმნის.

1824-1825 წლებში აიგო საქალაქო სახლი (შემდგომ კავკასიის კორპუსის შტაბი). 1825 წელს იაკობ ზუბალაშვილის მიერ ვინმე თურქესტანიშვილისგან გამოსყიდულ მიწის ნაკვეთზე აშენდა სასტუმრო „პალასი". 1838 წელს შენობა საეკლესიო უწყებამ შეიძინა სასულიერო სემინარიის განსათავსებლად.

1830-იან წლებში მოედნის სამხრეთ მხარეზე, იქ, სადაც ადრე **ბეჟანის ქარვასლა** იდგა, ააგეს ქალაქის პოლიციის განყოფილების შენობა (ყოფილი მერია), პოლიცმეისტერის კანცელარიით.

**1851 წელს ერევანსკის მოედანზე, ქალაქის პოლიციის წინ გაკეთდა შადრევანი.** წყალი გამოყვანილი იყო სოლოლაკის წყაროებიდან. 1878-1879 წლებში პოლიციის შენობა საფუძვლიანად გადაკეთდა და გადმოვიდა საქალაქო სახლი. 1921 წლიდან შენობაში განთავსდა სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭო, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ – თბილისის მერია, მოგვიანებით — თბილისის საკრებულო.

თეატრი-ქარვასლის შენობის წინ, შესასვლელთან ლითონის ლომები დადგეს. 1874 წელს, ხანძრის შემდეგ, აღადგინეს მარტო ქარვასლა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1930-იან წლებში, მოედნის ძირფესვიანი რეკონსტრუქცია ჩატარდა, რამაც იმსხვერპლა ქარვასლის შენობაც (1934 წ.). 1956 წლის 21 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც 1991 წელს ხალხის თანდასწრებით მოანგრიეს. მისი ადგილი მოგვიანებით შადრევანმა დაიკავა.

2006 წლის 23 ნოემბერს მოედანზე საზეიმოდ გაიხსნა სვეტზე აღმართული **წმინდა გიორგის** ქანდაკება (რომელიც მოქანდაკე ზურაბ წერეთლის საჩუქარია ქალაქისთვის). 27-ტონიანი 9 მეტრი სიმაღლის ქანდაკებაზე ორი კგ ოქრო დაიხარჯა.

მოედნის მოპირდაპირე მხარეს, გალავნის გასწვრივ ერთ და ორსართულიანი სახლები აშენდა, იმდროინდელი თბილისისთვის დამახასიათებელი შეკიდული აივნებით, რომელთაც აჟურული ორნამენტებით შემკობილი მოაჯირები და ტიმპანები ჰქონდა. ერთ ასეთ სახლში, რომელიც ყოფილი მეგობრობის მუზეუმის ადგილას იდგა, 1829 წელს ალექსანდრე პუშკინი გაჩერებულა. ეს სახლები XIX საუკუნის მეორე ნახევარში სხვა ნაგებობებმა შეცვალა, რომელთა უმრავლესობამ დღემდე მოაღწია. 1967 წელს მოედნის ქვეშ ამოქმედდა მეტროსადგური.

1991-1992 წლების ე. წ. თბილისის ომის დროს მოედანზე რამდენიმე შენობა განადგურდა. 1992 წელსვე გამოცხადდა საავტორო უფლებების მოსაპოვებელი არქიტექტურული კონკურსი დანგრეული კვარტლის რეკონსტრუქციაზე, რომელიც განხორციელდა კიდეც 1999 წლიდან 2 საცხოვრებელი სახლის აშენებით (ლეონიძის ქ.) და საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი კორპუსის რეკონსტრუქციით (არქ. გიორგი გეგეშიძე). თუმცა იმავე წელს გამოცხადდა ახალი კონკურსი უკვე მრავალფუნქციურ ნაგებობაზე, უშუალოდ მოედნის მიმდებარედ. შედეგად 2002 წელს მოედანზე გაიხსნა ახალი სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტი". 2017 წლის ნოემბერში მოედანზე უნივერმაღ „თბილისის ადგილას" გაიხსნა სავაჭრო ცენტრი „გალერია თბილისი".

„გალერია თბილისის" არქიტექტურული დიზაინი ცნობილ ებრაულ კომპანიას — Moshe Tzur Architects-ს ეკუთვნის, რომელსაც ევროპის დედაქალაქებში მრავალი წარმატებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტი აქვს განხორციელებული. „გალერია თბილისის" პროექტი უნიკალურია იმითაც რომ მის შენობაში ინტეგრირებულია „თავისუფალი" და „ალ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული" თეატრები. „გალერია თბილისი" თავისი მასშტაბით, ფუნქციური დატვირთვითა და იერ-სახით დედაქალაქის ახალი ღირსშესანიშნაობაა.


თავისუფლების მოედანი

კანაბისის ეპოპეა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„განა შეიძლებოდა ამ გადაწყვეტილების მიღება საქართველოში, სადაც 3,5 მილიონი ან უფრო ნაკლები მოქალაქე შეგვრჩა? ვის დასჭირდა? ეს ძალიან ჰგავს პოლიტიკურ პროვოკაციას, რომელიც პრეზიდენტის არჩევის წინ დესტაბილიზაციის მიზნით მოუწყვეს ქვეყანას, ხალხს. მინიმუმ 400 ათასი ნარკომანია საქართველოში, ამდენი ხმის მიღება ნებისმიერ პარტიას წაადგება“.**

# საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ჩვენი ხალხის ამოსაწყვეტი გადაწყვეტილება მიიღო

**ასე აფასებს საზოგადოებრიობა გუშინ ტელესივრცეში გავრცელებულ ინფორმაციას მარიხუანის (კანაბისის) ლეგალიზაციის შესახებ, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დააკანონა. ოფიციალურ ტექსტში განმარტებულია, თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს მოულოდნელი ბედნიერება: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მარიხუანის მოხმარება წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ ქმედებას“ *(სტილი და პუნქტუაცია დაცულია).* რამდენად ღრმად არის ჩახედული ეს ფრიად პატივსაცემი უმაღლესი სამართლებრივი ინსტანცია საკითხში, რომლის შესახებაც იღებს გადაწყვეტილებას, ერთი დეტალიდანაც ჩანს, სადავო საგნის დასახელებიდან თუნდაც: „მარიხუანა“ სლენგია, როგორც პლანი, ანაშა, ხოლო ბოტანიკური სახელია კანაბისი. გაეროს 1961 წლის კონვენციაში ჩაწერილია — ნარკოტიკული საშუალება კანაბისი. მთავარი მაინც სხვაა — ცრულიბერალური პრინციპის შემოპარება თავისუფალი განვითარების უფლების საფარით. მოწევ და განვითარდები(!)**



**«ჩვენთან ჩატარებული კვლევების მიხედვით (ლეჟავა, გაბიანი, ზურაბიშვილი), ყოველი მე-4, მე-5 ადამიანი, რომელიც მოიხმარს კანაბისს, შემდეგ ძლიერ ნარკოტიკებზე გადადის. აქვე დავაზუსტებ, რომ მძიმე და მსუბუქ, ძლიერ და სუსტ ნარკოტიკებად გრადაცია მიღებული არ არის. ნარკოტიკი შეიძლება იყოს ან ბევრი, ან ცოტა. ნარკოტიკების ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითი გავლენა მეტ-ნაკლებობით არის განპირობებული»**



შეშფოთდნენ და ჩაფიქრდნენ პარლამენტის წევრები: „ძალიან მკაცრი რეგლამენტაცია იქნება საჭირო იმ ნორმების ჩასანაცვლებლად, რომლებიც დღეს გააუქმა საკონსტიტუციო სასამართლომ. არ უნდა მივიღოთ, რომ მარიხუანა არის უსაფრთხო პროდუქტი. ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალება, მოხმარება ლეგალური იქნება თუ არალეგალური, არის ზიანის მომტანი ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ეს ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ განსაკუთრებით მოზარდ თაობას. მათ ნათლად უნდა იცოდნენ იმ რისკების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ნებისმიერი ნარკოტიკის მოხმარებასთან“, — აღნიშნა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ.

„საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებით რეგულაციებს არ გამორიცხავს. პარლამენტი დაუყოვნებლივ დაიწყებს საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობას“, — აცხადებს პარლამენტის პირველი ვიცესპიკერი **თამარ ჩუგოშვილი.**

„ეს გადაწყვეტილება დღეს გახდა ცნობილი და, ბუნებრივია, გახდება პარლამენტის მსჯელობის საგანი“, — ამბობს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **ნინო გოგუაძე.**

მოკლედ, საკონსტიტუციო სასამართლომ კანაბისის (მარიხუანის) მოხმარებაზე ყველა სანქცია გააუქმა: „პიროვნების თავიუფალი განვითარების“ კარიბჭე განიხვნა და — ანტრე, ბატონო, დაბოლმილ ედემის ბაღში!

— ამ ფაქტს პოლიტიკურ შეფასებას პოლიტიკოსები მისცემენ, მე სამართლებრივ ჭრილში განვიხილავ, — **განაცხადა „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგემ, პროფესორმა ჯემალ ჯანაშიამ და განაგრძო:**

— სიტუაცია ძალიან რთულია. როცა ასეთ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას იღებს სამართალშემოქმედი ორგანო, მან უნდა გაითვალისწინოს შედარებითი სისხლის სამართლის მეცნიერების ანბანი, ანუ ის ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული გარემო, რომელშიც აღნიშნული საზოგადოება, ერი ცხოვრობს. ეს ფაქტორები ზეგავლენას ახდენს საკანონმდებლო ნორმებზე, შინაარსზე და ა.შ.

გადაწყვეტილება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო, სრულად არის მოწყვეტილი ამ ფაქტორებს და წარმოგვიდგება როგორც თეორიული, აბსტრაქტული და იდეალისტური დოკუმენტი. იგი აბსოლუტურად არ ითვალისწინებს საქართველოში დღეს არსებულ ვითარებას.

ეს გადაწყვეტილება, კარგა ხანია მწიფდებოდა. 2015 წლის 24 ოქტომბერს **ბექა წიქარიშვილმა** საქართველოს პარლამენტს მოუგო დავა, რომლის საგანი იყო 260-ე მუხლის მეორე ნაწილი და ეხებოდა ე.წ. მარიხუანას.

„კანაბისის ეპოპეა“ ოთხ წელიწადს გაგრძელდა და მაინცდამაინც 2018 წლის საზაფხულო არდადეგების დაწყების წინა დღეს ნაჩქარევად მიიღეს, ვითომ არ შეიძლებოდა ერთი თვით მაინც გადაეწიათ, რათა პარლამენტს, რომელიც ამ პრობლემაზე მუშაობდა, დაემუშავებინა თავისი პოზიცია კონსენსუსის საფუძველზე.

— **ფაქტის წინაშე დააყენეს?**

— ასე გამოდის. რატომ მოიქცნენ ასე, ვერაფერს გეტყვით.

„ბექა წიკლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკითხის განხილვისას, კოლეგიის წევრი იყო **მერაბ ტურავა**, რომელმაც გუშინ გამოაცხადა ეს „ისტორიული“ გადაწყვეტილება, ოთხი წლის წინათ კი თავი შეიკავა. მაშინ საკონსტიტუციო სასამართლომ დააკანონა, რომ 70 გრამი კანაბისი (ასანთის 15 კოლოფი) შეიძლება ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდეს და ამის გამო მას პასუხს არავინ მოსთხოვს. მერაბ ტურავამ ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა. ოთხი წლის თავზე კი შეიცვალა დამოკიდებულება და ხმა მისცა „მარიხუანის“ ლეგალიზებას.

**გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ 1994 წელს დაადგინა, რომ ნარკოტიკული საშუალებების, მათ შორის, „მარიხუანის“ ხმარების გამო პიროვნების დასჯა, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთით არ ეწინააღმდეგება პროპორციულობის კონსტიტუციურ პრინციპს, გამომდინარე იქიდან, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს გაცილებით სერიოზული უარყოფითი შედეგები, რომლებიც ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეებია“.** ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ კანაბისის შენახვა-მოხმარება საფრთხეს უქმნის საზოგადოებას მაშინაც კი, როცა ეს მესამე პირისთვის გადაცემას არ ითვალისწინებს.

**— რას ნიშნავს, ბატონო ჯემალ, ჩვენს პირობებში კანაბისის ლეგალიზაცია?**

— ეს ნიშნავს, რომ ჩვენ საქართველოში ვითომ ვერ ვიცავთ ნარკოტიკების მომხმარებლებს, რომლებზეც პოლიცია და სხვა ძალოვანი სტრუქტურები გარკვეულად ზემოქმედებენ, არაადამიანურად ეპყრობიან და არღვევენ მათ უფლებებს.

— **ე.ი. მოწიეთ და შეგერგოთო!**

— ჩვენთან ჩატარებული კვლევების მიხედვით (ლეჟავა, გაბიანი, ზურაბიშვილი), ყოველი მე-4, მე-5 ადამიანი, რომელიც მოიხმარს კანაბისს, შემდეგ ძლიერ ნარკოტიკებზე გადადის. აქვე დავაზუსტებ, რომ მძიმე და მსუბუქ, ძლიერ და სუსტ ნარკოტიკებად გრადაცია მიღებული არ არის. ნარკოტიკი შეიძლება იყოს ან ბევრი, ან ცოტა. ნარკოტიკების ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითი გავლენა მეტ-ნაკლებობით არის განპირობებული.

წლეულს, იანვარში აშშ-ის იუსტიციის მინისტრმა, გენერალურმა პროკურორმა **ჯეფერსონ სეშენსმა** განაცხადა, რომ „მარიხუანა“ არის დანაშაულის სათავე. აშშ-ის 25 შტატში დაშვებულია „მარიხუანის“ გაყიდვა. ეს არის საპილოტე პროგრამა, რომელიც მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს, და არკვევს, ახდენს თუ არა კანაბისის მოხმარება დადებით გავლენას ადამიანის ორგანიზმზე. საპილოტე ნიშნავს საცდელს, არაოფიციალურს. გაეროს ოფიციალურ სიაში კი, როგორც ვთქვი, კანაბისი შეტანილია, როგორც აკრძალული ნივთიერება.

უკვე ნახსენები კვლევებით დადგინდა, რომ 73 პროცენტი ახალგაზრდებისა, რომლებიც მოიხმარენ ჰეროინს, ოპიუმს, კოკაინს და ა.შ., აცხადებენ, რომ პირველი ნარკოტიკული საშუალება, რომელიც გასინჯეს, იყო კანაბისი.

კანაბისის ლეგალიზების პრობლემა 1993 წელს იტალიაშიც იდგა. მოაწყვეს რეფერენდუმი და უმნიშვნელო უმრავლესობით გაიმარჯვეს ლეგალიზების მომხრეებმა. იტალიამ მაშინ შეძლო ამ პრობლემის დაძლევა თავისი განვითარებული ეკონომიკის, სოციალური დონის წყალობით.

ჩვენ ასეთ ლეგალიზებას ვერ გავუძლებთ, რადგან ამისთვის საჭიროა დიდი რაოდენობით ფინანსების დახარჯვა, რაც აუცილებელია სრულფასოვანი და ეფექტიანი კონტროლის, პრევენციის, მკურნალობის მექანიზმების შესაქმნელად. ამის გაუთვალისწინებლად გადაწყვეტილების მიღება ჩვენი ერისთვის დამღუპველი იქნება. საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობა, გამჭოლი საზღვრები, უკონტროლო ტერიტორიები, მკურნალობის სისტემის არქონა და ა.შ. კიდევ უფრო ამწვავებს პრობლემას და ძნელად გადასაწყვეტს ხდის. დავუმატოთ ამას კატასტროფული ვითარება, რომელიც ნარკომომხმარებლების ოდენობის ზრდასთან არის დაკავშირებული. საქართველო ინტრავენური მომხმარებლების რაოდენობით მსოფლიოში მესამე ადგილზეა: პირველზეა სეიშელის კუნძულები, მეორეზე — რუსეთი, მესამეზე — ჩვენ.

**განა შეიძლებოდა ამ გადაწყვეტილების მიღება საქართველოში, სადაც 3,5 მილიონი ან უფრო ნაკლები მოქალაქე შეგვრჩა? ვის დასჭირდა? ეს ძალიან ჰგავს პოლიტიკურ პროვოკაციას, რომელიც პრეზიდენტის არჩევის წინ დესტაბილიზაციის მიზნით მოუწყვეს ქვეყანას, ხალხს. მინიმუმ 400 ათასი ნარკომანია საქართველოში, ამდენი ხმის მიღება ნებისმიერ პარტიას წაადგება.** მე ასე მგონია.

კანაბისის აკვანი არის ჩინეთი და თურქმენეთის სტეპები, არც ერთ ამ ქვეყანაში ლეგალიზებული არ არის. პირიქით, უმკაცრესი ზომებია დაკანონებული. ჩვენ ისეთი რა გვჭირს, თავი რომ გამოვიდეთ?!

საზოგადოების ჯანსაღმა ძალებმა, ვფიქრობ, უნდა ითავონ, პრეზიდენტის არჩევნებთან ერთად, რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩატარება თემაზე — ეთანხმება თუ არა ქართველი ერი საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას.

ასეთი წინადადება ორიოდ წლის წინათ წამოვაყენე. მაშინ ჩემი მოწინააღმდეგე იყო „გირჩი“, რომლის ხელმძღვანელი გუშინ ისეთი გახარებული იყო, ისეთი გაბრწყინებული სახე ჰქონდა, თითქოს ესესაა, მეორე დიდგორის ომიდან გამარჯვებული გამოვიდა.

**— მაშ, რა ვქნათ ჩვენ, თავმოყვარე ქართველებმა, რომლებსაც ტოტიდან ტოტზე მოხტუნავე ციყვებმა გირჩები თავზე დაგვაყარეს და გაიმარჯვეს?**

— არ უნდა ავყვეთ ემოციებს, სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ, რათა ჩვენი ამოკიდებულების გათვალისწინებით პარლამენტმა რაც შეიძლება მალე დააწესოს შეზღუდვების ფართო სპექტრი იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც კანაბისს (და სხვა ნარკოტიკებს) მოიხმარენ; რათა მთავრობამ შექმნას და აამოქმედოს კონტროლის მექანიზმი, სამედიცინო მომსახურების, რეაბილიტაციის ცენტრები, რომლებიც შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობს „თეთრი სიკვდილის“ ეპიდემიის თანდათან აღკვეცას საქართველოში.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**დედა ლოცულობდა, ნაცვლად იმისა, რომ გამოეძახა პოლიცია. თავის ღმერთს ევედრებოდა, უფალს ეხსნა ქმარი მასში ჩასახლებული „დემონისგან“. ეს ხდებოდა აშშ-ის აიდაჰოს შტატში, ლესტერ კესტერის ქრისტეს ეკლესიის სექსტანტების ოჯახში.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით



## რეზერვაცია ზნეობრიობისთვის

**ჟურნალისტებმა ნორვეგიისთვის აბსოლუტურად „ველური“ გამონაკლისი აღმოაჩინეს აგდერ-კომუნის რაიონში, სადაც ცხოვრობენ სრულიად ნორმალური ქალები და კაცები, რომლებმაც სასწაულებრივად შეინარჩუნეს ტრადიციული ღირებულებები და უარყვეს ერთნაირსქესიანთა გარყვნილება. ამაზე წერდა ნორვეგიული გაზეთი „აფტენპოსტენი“.**

როგორც ჩანს, ამ ქვეყნის გენდერ-ტექნოლოგებს გული სწყდებათ, რომ ნორვეგიაში ჯერ კიდევ არის ადგილები, სადაც შემორჩენილია ტრადიციული ფასეულობები, რომელთა აღმოფხვრა ისე სწრაფად ვერ შეძლეს, როგორც, მაგალითად, ოსლოში. ამიტომ აცხადებენ ეს გენდერ-ტექნოლოგები, რომ ძალას არ დაიშურებენ ამ „ველურ ადგილებში“ ლგბტ-თემის იდეების დასანერგავად.





ეტყობა, ამ მონდომების შედეგია, რომ ასეთ რაიონებში მცხოვრები ბავშვების განათლების დასამუხრუჭებლად სასწავლო კვირა 4 დღით შემოფარგლეს — ოთხშაბათი მათ დამატებით უქმე დღედ გამოუცხადეს. ამ დამსჯელ ღონისძიებას აგდერის რაიონის მოსახლეობა სიხარულით შეეგება, რადგან საშუალება მიეცათ, მეტი დრო გაატარონ თავიანთ შვილებთან და განუმტკიცონ ტრადიცია-ღირებულებებისადმი ერთგულება.

## გერმანიაში პედოფილების პატივისცემისკენ მოუწოდებენ

**მომხსენებელმა ვიურცებურგის უნივერსიტეტიდან — მირიამ ჰეინემ Technology Entertainment Design-ის ყოველწლიურ კონფერენციაზე განაცხადა, რომ „პედოფილია ბუნებრივი სექსუალური ორიენტაციაა,** ისეთივე, როგორც, მაგალითად, ჰეტეროსექსუალობა. არავინ მიიჩნევს თავს პედოფილად. განსხვავება პედოფილიასა და სხვა სექსუალურ ორიენტაციებს შორის გამოიხატება იმაში, რომ ამ სექსუალური ორიენტაციის აღმოფხვრა კატასტროფით დამთავრდება“.

ამიტომო, — ამბობს ეს გერმანელი ქალბატონი, აუცილებლად უნდა დაიძლიოს ნეგატიური დამოკიდებულება პედოფილიის მიმართ. „ჩვენ მათ ისეთივე პატივი უნდა ვცეთ, როგორიც სხვა ადამიანებს“, — განაცხადა ჰეინემ.

აფსუს, რა გვარს აფუჭებს!





## მამა თავის გოგონებს აუპატიურებდა, დედა კი უყურებდა და ლოცულობდა





**დედა ლოცულობდა, ნაცვლად იმისა, რომ გამოეძახა პოლიცია. თავის ღმერთს ევედრებოდა, რათა უფალს ეხსნა ქმარი მასში ჩასახლებული „დემონისგან“. ეს ხდებოდა აშშ-ის აიდაჰოს შტატში, ლესტერ კესტერის ქრისტეს ეკლესიის სექსტანტების ოჯახში.**

დაპატიმრების შემდეგ მამამ დაადასტურა თავისი ცოლის ვერსია და განაცხადა, რომ „დემონების“ გავლენის ქვეშ იყო მოქცეული; აღიარა, რომ 2010 და 2016 წლების განმავლობაში აუპატიურებდა თავის 4 მცირეწლოვან გოგონას. მას სასჯელად შეუფარდეს გირაო 500 ათასი დოლარის ოდენობით, სარას კი — 25 ათასი დოლარის ოდენობით.

სექტის ყოფილმა წევრმა, ლესტერის ნათესავმა, სასამართლოზე განაცხადა, რომ ქრისტეს ეკლესია ქმნის იდეალურ პირობებს ბავშვების გასაუპატიურებლად.

## დედა ნებას რთავდა მამაკაცებს, ეძალადათ მის ორი წლის გოგონაზე





**ძნელია დაიჯერო, რომ არსებობენ ასეთი ადამიანები. აი, ეს ფაქტი გვიდასტურებს, რომ უზნეობას საზღვარი არ აქვს.** არკანზასში მცხოვრები **აზი უოტსონი** ნებას რთავდა მამაკაცებს, ეძალადათ მის ორი წლის გოგონაზე. მშვიდად ისმენდა, როგორ ყვიროდა გამწარებული ბავშვი „მამა, მტკივა. რატომ ხარ ბოროტი!“ მამას ეძახდა უცხო კაცებს, რომლებთანაც დედამისი გარიგებული იყო. ამ საზიზღარი ფაქტის შესახებ წერს გაზეთი Mirror.

გოგონა ვენერიული სნეულებით დაავადდა, მის სისხლში აღმოაჩინეს ამფეტამინი (ნარკოტიკი). ეს საშინელი ამორალიზმი გამჟღავნდა მას შემდეგ, რაც გოგონა თავის ერთი წლის ძმასთან ერთად ერთმა ოჯახმა იშვილა.

თავიდან აზიმ, ქალის ბოიფრენდმა, აღიარა დანაშაული, შემდეგ კი განაცხადა, რომ არ იცის, რატომ შეეყარა ბავშვს ვენერიული სნეულება.

## მასწავლებელი — მოსწავლის საყვარელი

**23 წლის თეილერ ბოლკანმა სასიყვარულო რომანი გააბა თავის მოსწავლესთან, რომელიც ბოლოს სექსუალურ ურთიერთობაში გადაიზარდა. ეს წყვილი ერთმანეთს ქალის სახლში ხვდებოდა, — იუწყება Daily Star.**

მოსწავლემ, რომელმაც თავიდან არ ისურვა ჩვენების მიცემა, რადგან უყვარს თეილერი, ბოლოს მაინც აღიარა, რომ მათ ჰქონდათ სექსუალური ურთიერთობა. მასწავლებელმაც აღიარა ყველაფერი. თეილერი სარეაბილიტაციო კურსის გასავლელად გაგზავნეს. მკურნალობის დამთავრების შემდეგ მას ბრალდებას მოუხსნიან. ეს მოხდება 2020 წელს.



მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლე მათი რომანის პერიოდში სრულწლოვანი იყო, მასწავლებლის ქმედება შეფასდა, როგორც სექსუალური ძალადობა, რადგან თეილერი მასწავლებლად მუშაობდა იმ სკოლაში, რომელშიც ბიჭი სწავლობდა.

## მშობლებმა სამი წლის გოგონა შიმშილით მოკლეს







**ცოლ-ქმარს, რომლებმაც სამი წლის გოგონა შიმშილით მოკლეს, სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილი ემუქრება. სადისტებმა არა მარტო სიცოცხლე მოუსპეს უმწეო ბავშვს, არამედ — უარესი, გაუგონარი და წარმოუდგენელი დანაშაული ჩაიდინეს: შიმშილით დაოსებულ ბავშვს საჭმელით აღიზიანებდნენ და მის წვალებას ვიდეოკამერით იღებდნენ.**

პატარა **ანჟელინა კოსტელო** გარდაცვლილი იპოვეს 2017 წლის ივლისში, მას შემდეგ, რაც მშობლებმა პოლიციას შეატყობინეს, რომ იგი აღარ სუნთქავდა, იუწყება People.

თავ-პირი, მკლავები და ფეხები ბავშვს დალურჯებული ჰქონდა, დასერილი და დაწყლულებული. 25 წლის **მილერ კოსტელოსა** და 23 წლის **ბრენდა ემილს** დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის ბრალდება წაუყენეს.

გამოძიების ვერსიით, ანჟელინას სისტემატიურად აწამებდნენ. ამას ადასტურებდა მშობლების სადისტური ქმედების ვიდეოჩანაწერები. ერთ-ერთ ჩანაწერში ბავშვი კვებას თავის და-ძმებს, თვითონ კი შიმშილთი იტანჯება. დედა აწვდის კვერცხს და უცებვე პირიდან აცლის: „ჰა-ჰა, შენთვის საჭმელი არ დარჩა“. დეტექტივმა ბავშვის გარეგნობა შეადარა ხოლოკოსტს გადარჩენილი ადამიანის გარეგნობას.

სასამართლო სხდომაზე დედამ აღიარა, რომ გარდაცვლილი ბავშვის იარების დასაფარად გამოიყენა კოსმეტიკური საშუალებები. მაგრამ არც ცოლმა, არც ქმარმა თავი დამნაშავედ არ ცნეს.

პრობლემა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ტყე საკუთრებაში უნდა გადაეცეს კერძო სექტორს — მოსახლეობას უნდა დაუბრუნდეს 1921 წელს წართმეული მამაპაპისეული საგვარეულო ტყეები. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ, ვისაც როგორ უნდა, ისე მოიქცევა. ტყეს გააკონტროლებს 2 სუბიექტი: კერძო მესაკუთრე და სახელმწიფო (დღეს ამას მხოლოდ სახელმწიფო ცდილობს უშედეგოდ), რაც მნიშვნელოვანად გააადვილებს ტყის დაცვისა და კონტროლის ღონიძიებების გატარებას. ამ ფუნდამენტური პრინციპის გაზიარება-გატარების შემდგომ საბაზრო ძალების გათვალისწინებითა და ინსტიტუციური ცვლილებებით შესაძლებელია, მივაღწიოთ რაციონალურ შედეგს, როგორც ტყით სარგებლობის, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით“.**



**რამაზ გერლიანი:**

# გამოსავალია «მწვანე ამნისტია» და მერე — სწორი პოლიტიკა

**26 ივლისიდან იმერეთის, აჭარის, კახეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში ერთდროულად დაიწყო საგამოძიებო მოქმედებები. სპეცოპერაციამ დიდი ხმაური გამოიწვია მესტიის რაიონში, მოსახელობა წინ აღუდგა სამართალდამცველებს და წინააღმდეგობის გაწევა სცადა, რის გამოც ადგილზე სპეცდანიშნულების რაზმის დამატებითი ბრიგადა ჩავიდა.**

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სვანეთში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე ბრიფინგი გამართა და განაცხადა: „ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური კვლავაც გამოიყენებს ყველა სამართლებრივ ბერკეტს, შეასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებებს და გამოავლენს და აღკვეთს ხეტყის უკანონო მოპოვება-რეალიზაციის ფაქტებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები მთელი ქვეყნის მასშტაბით ინტენსიურად ატარებენ ღონისძიებებს ხეტყის უკანონო მომპოვებელთა, გაყალბებული დოკუმენტების გამოყენებით ხის მასალის რეალიზატორთა და კანონდარღვევით მოქმედი ხის სახერხი საამქროების გამოვლენა-მხილების მიზნით. ბოლო პერიოდში გაიზარდა ხეტყის უკანონოდ ჭრის შემთხვევები, შესაბამისად, საგამოძიებო სამსახურის საქმიანობა ამ მიმართულებით განსაკუთრებით გააქტიურდა.

საგამოძიებო ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარეობს ხის გადამამუშავებელი და რეალიზატორი საწარმოების საქმიანობის კანონიერების შემოწმება, ასევე, რეგისტრაციის გარეშე მოქმედი ხის სახერხი საამქროების გამოვლენა. ანალოგიური ღონისძიებები უნდა განხორციელებულიყო სოფლებში: ჭუბერსა და ხაიშში, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ ხელი შეუშალა საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, რის გამოც ხსენებულ სოფლებში საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების უსაფრთხოებისა და საგამოძიებო მოქმედებების შესრულების მიზნით, საჭირო გახდა სპეციალური დანიშნულების რაზმის მობილიზება, რომლის კანონით დაკისრებული უშუალო ფუნქცია-მოვალეობაა საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ხელშეწყობის უზრუნველყოფა“.

ტყე რომ ნამდვილად იჭრება და ნადგურდება, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ზოგიერთ რაიონში ხეტყის ბიზნესი ერთადერთი შემოსავალია. სვანეთში თითქმის ყველა ოჯახს აქვს სახერხი და იქვე კუსტარულად ამუშავებენ ხის მასალას, რომელიც ბაზარზე გამოტანილზე გაცილებით იაფია...

**რა გამოსავალი უნდა მოძებნოს ხელისუფლებამ, რათა ეს ბიზნესიც არ დაზარალდეს, მოსახეობას ლუკმაპურის შოვნის წყარო ჰქონდეს და ბუნებაც არ გაჩანაგდეს? — ამ შეკითხვით მივმართეთ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, სვანეთის მკვიდრ რამაზ გერლიანს.**

— გამოსავალი „მწვანე ამნისტია“ და მერე სწორი პოლიტიკაა.

მსოფლიოს ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკის წესებიდან და კანონზომიერებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საჭიროა, დამკვიდრდეს ტყეზე კერძო საკუთრების ინსტიტუტი.

ტყე უნდა გადაეცეს კერძო სექტორს საკუთრებაში — მოსახლეობას დაუბრუნდეს 1921 წელს წართმეული მამაპაპისეული საგვარეულო ტყეები. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ, ვისაც როგორ უნდა, ისე მოიქცევა. ტყეს გააკონტროლებს 2 სუბიექტი: კერძო მესაკუთრე და სახელმწიფო (დღეს ამას მხოლოდ სახელმწიფო ცდილობს უშედეგოდ), რაც მნიშვნელოვანად გააადვილებს ტყის დაცვისა და კონტროლის ღონიძიებების გატარებას. ამ ფუნდამენტური პრინციპის გაზიარება-გატარების შემდგომ საბაზრო ძალების გათვალისწინებითა და ინსტიტუციური ცვლილებებით შესაძლებელია მივაღწიოთ რაციონალურ შედეგს, როგორც ტყით სარგებლობის, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით.

დღეს ყველა რეგიონში (ბორჯომი, ადიგენი, სამეგრელო, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, კახეთი და ა.შ.), სადაც მიმდინარეობს ხის მერქნის დამუშავება, პრობლემაა უკანონო ჭრა და დამუშავება. ტყის რესურსი ჩანაგდება, იზრდება ჩრდილოვანი საწარმოო ბრუნვა, რაც კორუფციის მასტიმულირებელია. თითოეულ მუნიციპალიტეტში მუშაობს ასობით (ზუსტი სტატისტიკა არ გვაქვს) მცირე და საშუალო ე.წ. ხის დამამუშავებელი სახერხი. არალეგალურად წარმოებული ნახევარფაბრიკატი (ფიცარი, განძელი, შპალი და ა.შ.) არის შედარებით დაბალი ღირებულების, რაც ლეგალურად წარმოებულ ხის მასალას უწევს კონკურენციას (ლეგალური მეწარმეები ხეტყის ფონდების მფლობელ და დამამუშავებელ ამ საბაზრო პროცეში, ნებსით თუ უნებლიეთ, ერთვებიან, ვინაიდან არალეგალურად წარმოებული მერქნის თვითღირებულება იაფია, აკლდება რა 1 კუბ. მეტრზე ფონდის ღირებულება და გადასახედები, პლუს სხვა ტიპის ვალდებულებები).

## «ხეტყის წარმოება ჩრდილოვანი სფეროდან უნდა მოექცეს ლეგალურ სფეროში, რაც ვერ მოხერხდება მხოლოდ კონტროლით»



ლეგალური მსხვილი სახერხებიც ნაწილობრივ ჩრდილოვანი მეთოდებით მუშაობენ, რათა დააბალანსონ საწარმოო დანახარჯები და შემორჩნენ საბაზრო კონკურენციას — არალეგალურად დამუშავებული ხეტყე ხშირად მათი გავლით ხვდება ბაზარზე.

გასაგები მიზეზების გამო, არალეგალურად ნაწარმოები მასალა იყიდება იაფად, შესაბამისად, მასზე მოთხოვნა გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა თანაბარ პირობებში ლეგალურად წარმოებული მასალაზე. იჩეხება მეტი ტყის ფართობი მარტივი ეკონომიკური მიზეზის გამო — რაც უფრო დაბალია ფასი, მით მეტია მოთხოვნა...

პრობლემას ქმნის ხეტყის დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენები, ვინაიდან ჩრდილოვანი წარმოების მერქნიდან გამოსავლიანობა არ აღემატება 35-50%-ს, ხოლო დანარჩენი რესურსი, ამ ტიპის წარმოებისთვის გამოუსადეგარი, ფაქტობრივად, „ნადგურდება“, ხშირად კვალის დაფარვის მიზნით; რადგან ეშინიათ მონიტორინგის, ნარჩენებს წვავენ, ზოგჯერ კი ყრიან მდინარეებსა და ხევებში.

საქართველოში ბოლო 27 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს ტყით სარგებლობა-დამუშავება და არც ერთ რეგიონში არ არსებობს ხეტყის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც მეტ-ნაკლებად უნარჩენოს გახდის წარმოებას.

გამოსავალი ის იქნება, რომ ხეტყის წარმოება ჩრდილოვანი სფეროდან გადავიდეს ლეგალურ სფეროში, რაც ვერ მოხერხდება მხოლოდ კონტროლით. ვინაიდან ე.წ. ფონდები შედარებით გამსხვილებული სახით იყიდება, ხელმიუწვდომელია მცირე ზომის ან საოჯახო მეურნეობებისთვის, რომლებიც ხეტყის დამუშავებისა და მოპოვების ფართო სეგმენტს წარმოადგენს. მცირე ფონდების შეძენა შესაძლებელი უნდა იყოს.

უნდა გამარტივდეს გადახდის სისტემა, თუნდაც ე.წ. ფეი-ბოქსის აპარატიდან ან ინტერნეტით მარტივი ჩარიცხვით, ელექტრონული გადარიცხვა ინტერნეტქსელიდან კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირის სასარგებლოდ, რაც შეამცირებს კორუფციას.

გამარტივდეს საჭრელად განკუთვნილი ხის დანომვრის პროცედურა და ჭრის მთავარ ცენზად დაწესდეს ხის გარშემოწერილობა. სიმაღლე, სტანდარტი (დიფერენცირებულად ტერიტორიების მიხედვით — რეგიონი-რაიონი-კვარტალი). პარალერურად, ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივებასთან ერთად, გამკაცრდეს უკანონო ჭრაზე დაწესებული ადმინისტრაციული მექანიზმები. საჭიროა ჩრდილოვნი საწარმოების ლეგალიზაცია.

## «საქართველოში ბოლო 27 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს ტყით სარგებლობა-დამუშავება და არც ერთ რეგიონში არ არსებობს ხეტყის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც მეტ-ნაკლებად უნარჩენოს გახდის წარმოებას»



შედეგად მივიღებთ ლეგალურ ეკონომიკაში მოქცეულ სეგმენტს, ხოლო დასამუშავებელი (მრგვალი მორი) და დამუშავებული (ფიცარი) ხეტყის გასაყიდი ფასი მოიმატებს (სხვათაშორის, დანახარჯები მნიშვნელოვანად არ გაეზრდებათ, პირიქით, დაეზოგებათ უკანონო ჭრა-დამუშავების ირიბი თუ პირდაპირი „საფასური“), ვინაიდან წარმოება ხდება ლეგალური, მწარმოებლები ნაკლები ჭრით და წარმოებით იმავე ან მეტ შემოსავალს მიიღებენ ჯამში (არალეგალურად თუ ხის მჭრელი მოქალაქე 10 მ2 მორიდან იღებდა 600-900 ლარს, ხოლო დამამუშავებელი 5 მ2 ფიცრიდან — 1200-1400 ლარს, ლეგალიზების შემდგომ — 7 კუბით მიღებს 700-1000 ლარს და დამამუშავებელი 5 კუბით — 1800-2200 ლარს პლუს ლეგალურად ნარჩენების რეალიზებით შემოსავალი, რომელსაც დღეს ყრიან მდინარეებში ან წვავენ და აზიანებენ გარემოს).

ზემოხსენებული პოლიტიკა გამოიწვევს ხეტყის მასალაზე მოთხოვნის შემცირებას (ფასის ზრდის გამო, ლეგალური მეტი ღირს), შედეგად მივიღებთ ნაკლებ მოჭრილ ხეს რაციონალურად გამოყენებულ მერქანს და ნაკლებად გაჩანაგებულ ტერიტორიებს.

საკითხავია, ეს პრობლემას ხომ არ შეუქმნის იმ დარგებს, რომლებიც იაფი ხეტყის მასალას გამოიყენებდნენ?

დაბალი ფასის პირობებში სამშენებლო ობიექტს ხშირად ფიცრით ღობავენ, ეს ყველას გვინახავს თუნდაც დედაქალაქში. იაფი ჯდება და იმიტომ. მაგრამ, თუ ფიცარი გაძვირდა და ალტერნატივაც ამ სახის შავ მასალაზე გაჩნდა დაპრესილი ნარჩენების ფურცლის სახით, მშვენივრად გამოიყენებს დაინტერესებული პირი ან კომპანია, ვინაიდან მნიშვნელობა არ აქვს, ობიექტი ფიცრით იქნება თუ სხვა რამით შემოღობილი, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ფასს.

ეს შეცვლის მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ მაჩვენებლებს? — მოკლე პერიოდში უმნიშვნელოდ. ასევე არ შეიცვლება მშპ-ში ისედაც მცირე წილი ამ რესურსისა, ვინაიდან მშპ ფულად ფორმაში გამოიხატება. შემცირდება ექსპორტიც (ნახევრად დამუშავებული), თანხობრივად კლება ნაკლებად მოხდება; ხოლო გრძელვადიან პერიოდში ხეტყის რესურსების ექსპორტიდან შემოსული თანხა გაიზრდება, მათ შორის, ახალი პროდუქტების გაჩენის ხარჯზე.

სატყეო სეგმენტის ესპერტთა აზრით, საქართველოში ტყის მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა, იჭრება ძალიან ბევრი ხე. ჭრა უნდა შემცირდეს, ჭრის შემცირების შედეგად გაჩენილი დეფიციტი უნდა შეივსოს ალტერნატივებით.

ბიზნესის ხელშეწყობა უნდა მოხდეს ხის წარმოების შედეგად მიღებული ნარჩენების ათვისებით, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობით — მოსაპირკეთებელი მასალა, ყუთების მასალა, დაპრესვის შედეგად მიღებული მასალები, ენერგოეფექტიანი საწვავი და ა.შ.

**საუბარი ჩაიწერა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**ლატვიელებმა კრუმინში სათადარიგო მოთამაშით შეცვალეს, ჩვენს კალათბურთელებს კი რეზერვი ამოწურული ჰქონდათ; თანაც აბაშიძე, კაკაურიძე და ალთაბაევი 4-4 საჯარიმოთი დარჩნენ მოედანზე. ყველაფრის მიუხედავად, ქართველმა კალათბურთელებმა გმირობა ჩაიდინეს: დარჩენილ დროში ანგარიშში 2-ქულიანი სხვაობა შეინარჩუნეს და ლატვიელები დაამარცხეს — 88:86.**

სპორტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო წლებში ქართული ფეხბურთის საყოველთაო წარუმატებლობის ფონზე გაცილებით წარმატებით ასპარეზობენ მორაგბეები და კალათბურთელები. „ბორჯღალოსნებმა“ მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი მსოფლიოს 12 საუკეთესო გუნდს შორის და თავგამოდებით ცდილობენ, მეტს მიაღწიონ. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საკალათბურთო ნაკრები ბოლო ხანს წარმატებით ასპარეზობს, ფიბას 2018 წლის სარეიტინგო სიაში მოკრძალებულ 26-ე ადგილზეა, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, არ არის ზღვარი...**

# ქართველი კალათბურთელების გმირობა — როგორ დაამარცხა 3-მა ქართველმა 5 ლატვიელი

თუმცა ცალკეული ქართველი კალათბურთელის წარმატება გასაოცარია. ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა **ზაზა ფაჩულიამ** აშშ-ის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონობა წელს მეორედ მოიპოვა და ამ უაღრესად პრესტიჟული შეჯიბრების, პრაქტიკულად, მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ბეჭედს დაეუფლა. ევროპაში კი, კერძოდ, ესპანეთში, შესანიშნავად ითამაშა მეორე ქართველმა, ბასკეთის დედაქალაქ ვიტორიას „ბასკონიას“ კაპიტანმა **თორნიკე შენგელიამ**.

ქართველ კალათბურთელებს სხვა დროსაც და სხვა თამაშებშიც გამოუჩენიათ თავი, მაგალითად, **ზურაბ საკანდელიძემ** და **მიხეილ ქორქიამ** 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე, სადაც სსრკ-ის ნაკრებმა ფინალში ამერიკელები დაამარცხა, დიდი წვლილი შეიტანეს გამარჯვებაში და ოლიმპიური ოქროს მედლები მოიპოვეს, მაგრამ იმას, რაც 59 წლის წინათ, 1959 წლის 10 აგვისტოს გააკეთეს ქართველმა კალათბურთელებმა მოსკოვში გამართულ სსრკ-ის ხალხების II სპარტაკიადაზე, ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება.

აი რას წერდა ამ მატჩზე გაზეთი „ლელო“ 1959 წლის წინათ:

**„ეს იყო ფანტასტიკური მატჩი, რომელსაც ვერ დაივიწყებს მაყურებელი. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი რამ ისტორიას არ ახსოვს... სპორტის ცნობილი მიმომხილველი იური ოზეროვი ამბობს: „ყოველთვის არაჩვეულებრივი რამ უნდა გააკეთონ თბილისელებმა. მინახავს, 4 კალათბურთელი გამკლავებია 5-ს, მაგრამ 3 კალათბურთელის მიერ 5-ის წინააღმდეგ მოგებული მატჩი, ისიც ასეთ ბრძოლაში, გაუგონარი ამბავია... ასეთი პროპორცია კალათბურთში იგივეა, რაც ერთი სამის წინააღმდეგ კრივში...“**

ამ ისტორიულ და განსაცვიფრებელ მატჩში თავდაპირველად დაწინაურდნენ ლატვიელები, რომელთა რიგებში გამოირჩეოდა რიგის ასკ-ის (არმიის სპორტული კლუბი) ცენტრალური თავდამსხმელი, იმ მომენტში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის 2-გზის მფლობელი და სსრკ-ის 4-გზის ჩემპიონი (1955-1958) **იანის კრუმინში** (სიმაღლე — 218 სმ).

ძირითადი დროის ამოწურვის შემდეგ ანგარიში იყო 64:64. გამარჯვებული ვერ გამოავლინა ვერც პირველმა და ვერც მეორე დამატებითმა 5-წუთიანმა ტაიმებმა, მესამე დამატებითი 5-წუთიანი ტაიმის დასაწყისში **ვლადიმერ უგრეხელიძემ** მე-5 პერსონალური ჯარიმა მიიღო და თამაშს გამოეთიშა. მოედანზე 5 ლიტველის წინააღმდეგ დარჩა 4 ქართველი: **გურამ აბაშიძე, ლევან მოსეშვილი, თამაზ კაკაურიძე** და **ვლადიმერ ალთაბაევი.** ყველაფრის მიუხედავად, ქართველმა კალათბურთელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, შემდეგ კი 4 ქულით დაწინაურება — 88:84. თამაშის დასრულებამდე წუთი იყო დარჩენილი, როცა იანის კრუმინშმა ანგარიშის სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა. რამდენიმე წამის შემდეგ ლატვიელმა კრუმინშმა და ლევან მოსეშვილმა 5-5 პერსონალური ჯარიმის გამო მოედანი დატოვეს.

ლატვიელებმა კრუმინში სათადარიგო მოთამაშით შეცვალეს, ჩვენს კალათბურთელებს კი რეზერვი ამოწურული ჰქონდათ; თანაც აბაშიძე, კაკაურიძე და ალთაბაევი 4-4 საჯარიმოთი დარჩნენ მოედანზე. ყველაფრის მიუხედავად, ქართველმა კალათბურთელებმა გმირობა ჩაიდინეს: დარჩენილ დროში ანგარიშში 2-ქულიანი სხვაობა შეინარჩუნეს და ლატვიელები დაამარცხეს — 88:86. ამ სპარტაკიადაზე კალათბურთის ტურნირში მოსკოვის ნაკრებმა გაიმარჯვა, საქართველო მეორე იყო, მესამე — ლიტვის ნაკრები.

ქართული კალათბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება თბილისის „დინამოს“ ანგარიშზეა. „დინამომ“, რომელიც იმხანად სსრკ-ის რამდენიმეგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი იყო, 1962 წლის 29 ივნისს ჟენევაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდის „რეალი“ დაამარცხა 90:81 და ამ საპატიო ჯილდოს დაეუფლა. იმ მატჩში თავი გამოიჩინა **ვლადიმერ უგრეხელიძემ** — „პტიცამ“, რომლის ანგარიშზეც 14 ქულა იყო.

**ნიკა კორინთელი**


საქართველოს ნაკრები, იგივე თბილისის „დინამო“ 1950-იანი წლების ბოლოს


1962 წელს „დინამომ“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიგო


გურამ აბაშიძე

**იმას, რაც 59 წლის წინათ, 1959 წლის 10 აგვისტოს, გააკეთეს ქართველმა კალათბურთელებმა მოსკოვში გამართულ სსრკ-ის ხალხების II სპარტაკიადაზე, ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება**



NBA-ს ბეჭედი „გოლდენ სტეიტისთვის“


გურამ მინაშვილი


ვლადიმერ უგრეხელიძე — „პტიცა“

# ტრამპმა ევროკავშირთან თავისი გაიტანა

**პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და ევროკომისიის მეთაურ ჟან-კლოდ იუნკერის მოლაპარაკებები კარგად დასრულდა — გამოცხადდა სავაჭრო ომის შეწყვეტა, ამასთანავე, თითოეული მხარე დარწმუნებულია, რომ სწორედ მან მოიპოვა გამარჯვება და პარტნიორისგან მაქსიმალური დათმობა მიიღო.**



**შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ტრამპი და იუნკერი მეგობრულ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ. ცოტა ხნის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა სოციალური ქსელ „ტვიტერში“ გამოაქვეყნა ტვიტი.**

„აშკარაა, რომ ევროკავშირს, რომელსაც წარმოადგენდა იუნკერი, და თქვენი მონა-მორჩილის მიერ წარმოდგენილ ამერიკის შეერთებულ შტატებს უყვართ ერთმანეთი“, — დაწერა ტრამპმა.

არადა, ცოტა ხნის წინათ ვაშინგტონმა და ბრიუსელმა ერთმანეთი საყვედურებითა და მუქარებით აავსეს.

გაჩაღდა სავაჭრო ომი და ევროპული კომპანიები, რომლებიც მონაწილეობენ პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ში შესაძლებელი იყო, დაზარალებულიყვნენ რუსეთისთვის ახალი სანქციის დაწესების გამო. პრევენციის მიზნით ტრამპმა დაიმუქრა, რომ ავტომობილების შეყვანაზე 20%-იან საბაჟო გადასახადს დააწესებდა. ბრიუსელმა საპასუხო ნაბიჯები მოამზადა.

იუნკერთან შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე ტრამპმა ძალიან განიცადა კომპანია Google-ს 5 მლრდ დოლარით დაჯარიმება ევროკავშირის მიერ. **„ისინი აშშ-ს იყენებდნენ, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება“,** — ასეთი იყო ტრამპის მუქარა, რომელიც სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

მოლაპარაკებებამდე ერთი დღით ადრე კი „გარიგებების ოსტატმა“, როგორც საკუთარ თავს უწოდებს აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი, **იუნკერს** მოულოდნელად შესთავაზა, ორივე მხარეს ეთქვა უარი საბაჟო გადასახადებისა და ნებისმიერი სახის სავაჭრო ბარიერების დაწესებაზე.

ამან ბრიუსელის ორჭოფობა გამოიწვია, მაგრამ სწორედ ამერიკის ლიდერის ინიციატივა დაედო საფუძვლად მიღწეულ შეთანხმებას. მოლაპარაკებების შედეგების შესახებ ერთობლივ განცხადებაში ლაპარაკია 4 ძირითად პუნქტზე:

**პირველი** — ეს არის თანხმობა ყველა საბაჟო ტარიფისა და ბარიერის გაუქმებაზე, აგრეთვე, სამრეწველო საქონლის (ავტომობილების გარდა) სუბსიდიებზე უარის თქმა.

**მეორე** — ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიული თანამშრომლობის განმტკიცება, რაც ითვალისწინებს აშშ-დან ევროპაში თხევადი ბუნებრივი აირის შეტანის მატებას.

**მესამე** — სტანდარტების სფეროში დაახლოება.

**მეოთხე** — ძალების გაერთიანება გლობალურ ვაჭრობაში არაკეთილსინდისიერი პრაქტიკისგან ამერიკული და ევროპული კომპანიების დასაცავად.

ფოლადისა და ალუმინის იმპორტზე ტრამპის მიერ დაწესებული საბაჟო ტარიფების გაუქმებაზე ლაპარაკია მხოლოდ ერთობლივი განცხადების ბოლოს: მხარეებს განზრახული აქვთ ამ პრობლემის მოგვარება.

ნათელია ბოლო პუნქტის (საერთაშორისო ვაჭრობაში არაკეთილსინდისიერი პრაქტიკისგან კომპანიების დაცვა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ჩართვით) აზრი. ინტელექტუალური საკუთრების მიმართ თავისუფალი და უცერემონიო დამოკიდებულება, ტექნოლოგიების მითვისება. ამ ცოდვებში ამერიკის შეერთებულ შტატებს არაერთხელ დაუდანაშაულებია ჩინეთი. რეალურად ეს ნიშნავს, რომ ბრიუსელი ვალდებულებას იღებს, ბარიერები შეუქმნას ჩინურ კომპანიებს ევროპისკენ მიმავალ გზაზე.

**ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს მოლაპარაკებების შედეგებს სხვადასხვანაირად აფასებენ. თანხმდებიან, რომ სავაჭრო ომის შეწყვეტა ყველასთვის ხელსაყრელია, მაგრამ ევროპაში გამარჯვებულად ასახელებენ იუნკერს, აშშ-ში — ტრამპს.**

„სავაჭრო კამათში პირველმა შეთანხმებამ წარმატება მოუტანა ევროკავშირის ხელმძღვანელ იუნკერს: აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ მას დიალოგის გამართვა მოუწევს ბრიუსელთან. და ეს მხოლოდ დასაწყისია. ჟან-კლოდ იუნკერმა თქვა, რომ სურს, გააფორმოს გარიგება. და მან დადო ეს გარიგება. ეს მოხდა იმის გამო, რომ დღეს დონალდ ტრამპი ისეთი ძლიერი აღარ არის, როგორიც იყო ადრე“, — წერს გერმანული გამოცემა Tagesshau.

ამ გამოცემის მიმომხილველის აზრით, ევროპამ გაცილებით მეტი მოიგო, ვიდრე ამერიკამ, როდესაც ამერიკა აიძულა, საბაჟო გადასახადების პოლიტიკისთვის გადაეხედა, „პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დიდი გამარჯვება მოიპოვა, როცა ევროკავშირთან შეზღუდულ სავაჭრო გარიგებას მიაღწია. სავაჭრო ომის თავიდან ასაცილებლად ევროკავშირმა ბევრი რამ დაუთმო ამერიკის შეერთებულ შტატებს“, — წერს ამერიკული გამოცემა Breitbart-ი.

მოლაპარაკებების შედეგების ზედაპირული გაცნობაც კი საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ აშშ-მა კონკრეტული და ხელშესახები შედეგები მიიღო. ამერიკული სოიოს ექსპორტის გაზრდა ევროპაში ეს არის სწორედ ის, რაც სურდა ტრამპს. ამით მან უზრუნველყო ამერიკელი ფერმერების მხარდაჭერა.

ამერიკული თხევადი ბუნებრივი აირის ექსპორტის გაზრდა ევროკავშირში — ესეც ძველი ამოცანა იყო, რომლის გადაჭრას ტრამპი ცდილობდა, და ეს მიზანიც ახლოს არის. ევროკავშირში დაიწყო ტერმინალების მშენებლობა აშშ-ის თხევადი ბუნებრივი აირის მისაღებად.

ევროპას კი აქტივში ჯერჯერობით აქვს მხოლოდ დაპირებები. ამერიკული საბაჟო გადასახადების დაწესება გადაიდო მოლაპარაკებების დასრულებამდე. და, თუ გავითვალისწინებთ, რა სწრაფად იცვლის პოზიციას „გარიგებების ოსტატი“, ამას წარმატებას ვერავინ უწოდებს.

**უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ბეჭდაუდებელი ვახტანგ ბალავაძე



ვახტანგ ბალავაძე (მარცხნიდან მეორე) ირანელ და თურქ მოჭიდავეებთან ერთად

**გარდაიცვალა ვახტანგ ბალავაძე, ბეჭდაუდებელი ქართველი ფალავანი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ჭიდაობის ოქროს ხანის დაწყება საქართველოში და ყოფილ საბჭოთა კავშირში. შემთხვევით არ მოიხსენიებდნენ მას, როგორც საერთო განძს პოსტსაბჭოთა დამოუკიდებელ სახელმწიფოებში.**

იმთავითვე აღნიშნავდნენ, რომ ქართველებმა ჭიდაობის ტექნიკა ახალი ილეთებით გაამდიდრეს და, თუნდაც ამ თვალსაზრისით, ვახტანგ ბალავაძე ყველაზე გამორჩეული იყო. მისი ჭიდაობის მანერა ეტალონად იყო მიჩნეული.

ბალავაძემ მსოფლიო ჩემპიონობა პირველად 1954 წელს მოიპოვა, მაშინ, როცა ამ საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირი პირველად მონაწილეობდა. ეს მოხდა ტოკიოში. საბჭოთა კავშირის სპორტის ისტორიაში ვახტანგ ბალავაძე შევიდა, როგორც პირველი მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. 1957 წელს სტამბოლში მან გაიმეორა ეს შედეგი; ორჯერ ვერცხლის მედალი მოიპოვა, 1956 წელს მელბურნის ოლიმპიადაზე მესამე ადგილი დაიკავა.

სპორტული ჟურნალისტი **მურად კანაევი** წერს:

„კორიფესთან ერთად, საბჭოთა ჭიდაობის სკოლის მთელი ეპოქა ისტორიის კუთვნილება გახდა. ვახტანგ ბალავაძე ერთ-ერთი იყო მათგან, ვინც საძირკველი ჩაუყარა სპორტის ამ სახეობას და ეს საძირკველი ისეთი მყარი აღმოჩნდა, რომ თავისუფალი სტილით მოჭიდავეები, ახლა უკვე სუვერენული ქვეყნების სპორტსმენები, კვლავაც დომინირებენ მთელ მსოფლიოში“.

**ზარბეგ ბერიაშვილმა** გაიხსენა, რომ, როცა მოჭიდავეების დიდ ოჯახში, როგორც საქართველოს ნაკრების წევრი შევიდა, ვახტანგ ბალავაძე ახალგაზრდებისთვის ღვთის სწორი იყო: **„ჩვენი მწვრთნელი იყო სპორტდარბაზში და კაცობის მასწავლებელი — ცხოვრებაში. მიზანმიმართული იყო ყოველთვის, თუ რამეს აკეთედა, სულითა და გულით იყო იმ საქმეში ჩართული. მხოლოდ ჭიდაობაში კი არა, როცა გასართობად ფეხბურთს ვთამაშობდით, მაშინაც: გადაცემას თუ გააფუჭებდა, ან ბურთს თუ ვერ გაიტანდა, სასწაულად განიცდიდა. საოცარი უნარი ჰქონდა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების, ყველას სიხარული თუ გაჭირვება გულთან ახლოს მიჰქონდა. ეხმარებოდა, როგორც შეეძლო, და ყველას სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული. ყველგან, განსაკუთრებით კი თურქეთში, სადაც ჭიდაობას განსაკუთრებით აფასებენ, უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა, შეიძლება ითქვას, რომ იქ უფრო პოპულარული იყო, ვიდრე საქართველოში. წესიერი ცხოვრებით იცხოვრა და ასეთად დარჩება ჩვენს გულში“.**

**გურამ საღარაძემ** აღნიშნა, რომ ვახტანგ ბალავაძის მიერ ქართული ჭიდაობის ისტორიაში დატოვებული კვალი არასოდეს წაიშლება: **„იგი მანათობელი ვარსკვლავივით მიგვიძღოდა და ჩვენც ვცდილობდით, ამ უბადლო ფალავანისთვის მიგვებაძა. ჭიდაობის საოცარ ტიტულებთან ერთად, რომლებიც მან მოიპოვა, გამორჩეული იყო, როგორც ინტელექტუალური პიროვნება ჭიდაობის სამყაროში. უშუალო, კომუნიკაბელური, სიკეთით სავსე ადამიანი დაკარგა მოჭიდავეების დიდმა ოჯახმა.**

აცხონოს ღმერთმა!“

„საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტები თანაუგრძნობენ ოჯახს ბატონი ვახტანგის, ამ უბადლო პიროვნების, გარდაცვალების გამო.

მისი სახელი ყოველთვის იბრწყინებს ქართველ მამულიშვილთა ცის კაბადონზე.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894